1954/2

# დროშა

№ 9 სექტემბერი 1954

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა



უკრაინის სსრ პავილიონი.



საქართველოს სსრ პავილიონში მნახველები ათვალიერებენ ექსპონატებს.



ბელორუსიის სსრ პავილიონი.

ყაზახეთის სსრ პავილიონი.



აზერბაიჯანის სსრ პავილიონი.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 9 (38) სექტემბერი 1954 წ.

გამომცემლობა „კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

## პიონერების შეკრება თბილისში, ლენინის მოედანზე

კარლო კალაძე

კიჟინით უცებ შესძრა ნაღარამ
მშვიდი ქალაქის შვიდივე ხიდი,
მთებზე არბენილ ქუჩებს ახარა
დიდი შუადღე, სიცოცხლე დიდი!

ვრცელ მოედანზე ნაპერწკლებს ისვრის
მკვირცხლი ხალისი ათასთვალება
და პიონერულ სიმღერა-კისკისს
ეფრქვევა ციდან მზის ბრწყინვალება.

ყოველ კუთხიდან მოსულან მარშით,
დროშებიც გაშლით მოუტანიათ,
სილაღე ღვივის ბავშვების ხმაში:
აქ ხომ ლენინის მოედანია!

სამარადისო დიდება ლენინს! —
რომ ქვეყნის გული გაახალისა, —
წითელ ყელსახვევს მაღლა აფრენილს
აჰყვა ხმა დაფის და ნაღარისა!

დე, ამ შეკრებას გრძნობდეს თბილისი,
დე, გრძნობდეს თუ რა შთაგონებითაც
მოისწრაფოდნენ გზებით, რკინიგზით
ფეხზე წამომდგარ მთა-გორებიდან!

სუნთქვა აქამდე გამოჰყვა მტკვრისპირს
ახალ ბაღების, ახალ მდელოსი
და მოედანზე ტაშის ხმა ისმის
ტოტებშრიალა საქართველოსი!

დროშებს ნიავი არხევს ნელინელ,
ახალ თაობას ვუმზერ და ვიცი:
ჩვენს მერმისს, ისე, ვით ნორჩ ლენინელს
უნდა აქ დასდოს თავისი ფიცი!

აქ, მათთან ერთად ხელამართული
მოედნის ბოლოს ჭადრებიც დგანან,
ჩვენი სიმღერა, ჩვენი ქართული
იმათ შრიალშიც არ ისმის განა?!

დაეჯერებათ მოხუც მოწმეთაც,
რომ ჩრდილქვეშ მისი ნაკვალევია —
ვისაც სიყრმითვე ლენინზე მეტად
ქვეყნად არავინ არ ყვარებია...

სამარადისო დიდება ლენინს! —
გზა ჩვენც აქედან გვაქვს გაკვალული.
სტალინის სახელს სიყრმითვე შვენის
მისი დიდი და ღრმა სიყვარული!

და მზემაც შუქი აქ დააფრქვია,
მერმისი დროშებს კვლავ აქ მოიტანს, —
დიდი ლენინის სახელი ჰქვია
ხალხის გულივით გაშლილ მოედანს!

5708



ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.
მთავარი პავილიონი. →

გარეკანის პირველ გვერდზე:
სკოლისაკენ!
ფერადი ფოტო მ. ზარგარიანისა

# ინსტიტუტი ეხმარება სოციალისტურ სოფელს

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ლევან ყანჩაველის კაბინეტში ვისხედით. ვსაუბრობდით ინსტიტუტის მუშაობის გარშემო, მისი პროფილის, მისი დანიშნულების შესახებ. კარი გაიღო და მობოდიშებით შემოვიდა კოსტუმში გამოწყობილი საშუალო ხნის კაცი. მისი მზისაგან გარუჯული სახე, ქცევა და ლაპარაკის იერი ამტკიცებდა, რომ იგი რაიონიდან იყო ჩამოსული. ხელში ორი ქაღალდის პარკი ეჭირა. ეს კაცი აგრონომი გამოდგა. იგი ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურიდან იყო. კოლმეურნეობის ლუფის ნათესები დაზიანებულა. „ავადმყოფობას" ფართოდ გაუდგამს ფესვები. დაზიანებულა როგორც საკოლმეურნეო, ისე საკარმიდამო ნათესები.

აგრონომ ვახტანგ თოდუას ადგილობრივად მრავალი აგროღონისძიება ჩაუტარებია, უცდია მრავალი საშუალება, მაგრამ ვერაფერი ვერ უშველია ნათესებისათვის. მან პროფესორს განუმარტა ისიც, თუ როგორ იქნა წინასწარ დამუშავებული მიწა. ახლა ინსტიტუტში ჩამოუტანია სალი და დაზიანებული ადგილების მიწის ნიმუში, მცენარის ძირები და ნაყოფი.

ვახტანგ თოდუა ლაპარაკობდა, როგორც გამოცდილი და დაკვირვებული სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. მას ნარაზენის ჩაის ტექნიკუმი აქვს დამთავრებული და უკვე მრავალი წელია, რაც კოლმეურნეობაში აგრონომად მუშაობს.

კაბინეტში მრავალმა მუშაკმა მოიყარა თავი, გამადიდებელი შუშებით სინჯავდნენ ფესვებს, ფესვების ყელს, მცენარის ლართხს. ნათლად ჩანდა, რომ ფესვების ყელი იყო დაზიანებული. აშკარა იყო მავნებლის მოქმედება. დირექტორმა მთელი მასალა ლაბორანტს გადასცა და დაავალა ზუსტად დაედგინა, რა სახის დაავადებასთან გვქონდა საქმე. აგრონომ ვახტანგ თოდუას კი მისამართი დაატოვებინეს და დაპირდნენ, სამი დღის შემდეგ გაუგზავნიდნენ ვრცელ პასუხს: რისგან იყო დაზიანებული ლუფის პლანტაციები და რა ღონისძიება უნდა ჩაეტარებიათ მავნებლების მოსასპობად.

ხშირია შემთხვევა, როცა რომელიმე რაიონში განგაშს ასტეხენ: „მოსავალს კარგი პირი უჩანდა, შესანიშნავად გამოიყურებოდა ჯეჯილი, მაგრამ უცებ მცენარემ სიმწვანე დაჰკარგა, დაჭკნა და ათეულ ჰექტარზე პურეული გაფუჭდა". ადგილზე ვერ გამოურკვევიათ, რამ გამოიწვია პურეულის ასეთი გაფუჭება. მიმართავენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რათა გაგზავნილ იქნას კომისია ნათესების მდგომარეობის შესამოწმებლად. კომისიას ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკიც თან მისდევს. ადგილზევე ადგენენ, რომ ნათესის გაფუჭების მიზეზი მავნებელია. იღებენ სათანადო ზომებს, რათა ეს მავნებელი სხვა სალ ნათესებზე არ გადავიდეს.

ასეთი პრაქტიკული ურთიერთობა აქვს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს წარმოებებთან; ასე ეხმარება იგი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებს მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

ინსტიტუტი არა მარტო იკვლევს, არამედ აწესებს წამლობასაც, იმუშავებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

ბრძოლა ჩაის პლანტაციის მავნებლების წინააღმდეგ. სურათზე — პლანტაციის ფუმიგაცია.



ხეხილისა და ციტრუსოვანი კულტურების მავნე მწერების საწინააღმდეგოდ იყენებენ ნავთობის ზეთის ემულსიებს, რომელსაც აქამდე საპონზე ამზადებდნენ. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა საპონი შესცვალეს სულფიტ ცელულოზის ექსტრაქტით, რომელიც ქაღალდის მრეწველობის ნარჩენია და წინათ



მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ლევან ყანჩაველი სწავლობს ლიმონის მცენარის ავადმყოფობას.

მდინარეში ყრიდნენ. ახალი ექსტრაქტი მდგრადია, არ ფუჭდება და მავნებლებზე უფრო აქტიურად მოქმედებს. ახალი ექსტრაქტის დამზადებით ინსტიტუტმა სახელმწიფოს ნახევარი მილიონი ეკონომია მისცა.

არა ნაკლებ ეფექტური გამოდგა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის რ. ყიფიანის მიერ დამზადებული „დდტ" და ჰექსაქლორანის კონცენტრული სუსპენზიები, რომლებიც 50-60%-დე ტოქსიკურ საწყისს შეიცავს.

ინსტიტუტის დანიშნულებაა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ტყის ჯიშების ავადმყოფობათა და მავნებლების შესწავლა, მათი არეალის დადგენა, ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესწავლა, გავრცელების არეს გამოკვლევა, მათ წინააღმდეგ ღონისძიებათა კომპლექსის დადგენა, მცენარეთა დაცვის პრაქტიკაში გამოსაყენებელი შხამების კონსტრუირება და დადგენა, ამავე დროს წარმოებისათვის ფართო კონსულტაციის ჩატარება.

მიუხედავად ამისა ინსტიტუტის მიერ მცენარეთა მავნებლებთან საწინააღმდეგოდ შემუშავებულმა „დდტ" და ჰექსაქლორანის შენაზავმა ფართო გამოყენება ნახა ცხოველთა-პარაზიტების წინააღმდეგაც, იგი ქეცსაც შლის, არ აღიზიანებს ცხოველის კანს, ამავე დროს ცხვრის მატყლს უნარჩუნებს ხარისხიანობას.

ახალი შენაზავი მეცხოველეობის ინსტიტუტის სპეციალური კომისიის მიერ შემოწმებულია კუმისის, სოღანლუღის, დიღმის, ზემომაჩხაანის კოლმეურნეობებში. გამოცდამ ცხადყო ამ შენაზავის უპირატესობა ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

იგი ფართოდ იქნება გამოყენებული საცხოვრებელი ბინების დამუშავებისათვისაც.

ინსტიტუტს არა აქვს მექანიზაციის განყოფილება.



ფიტოპათოლოგიის განყოფილებაში. უფროსი მეცნიერ-მუშაკები თინა წაქაძე და ნატალია საყვარელიძე ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

მიუხედავად ამისა მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის საქმეში მანქანების გამოყენებას ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკებთან ერთად ინსტიტუტის მეცნ. მუშაკმა რ. ყიფიანმა შექმნა მანქანა ჩაის შპალერების ფუმიგაციისათვის. მანქანას უკან მისდევს მოგრძო კარავი, რომელიც იჭერს შხამიან გაზებს. ხელით მოწამვლასთან შედარებით ეს მეტად ეფექტური გამოდგა, მაგრამ სასურველი იყო უფრო სრულყოფა მექანიზაციისა. საჭირო გახდა უკარვო მანქანის კონსტრუირება. ინსტიტუტმა საკონსტრუქტორო ბიუროსთან ერთად შექმნა ასეთი მანქანა, რომელიც კარვის გარეშე მოქმედებს. საწამლავ ნივთიერებას ახლა ბუჩქს ძირში აფრქვევენ. შხამიან გაზებს დაიჭერს თვითონ ბუჩქი, იგი გასწევს კარვის მაგიერობას.

ინსტიტუტი მცენარეთა დაცვის საკითხებზე სცემს წიგნებს, ბროშურებს, პლაკატებს. აწყობს კოლმეურნეობებში გამსვლელ სამეცნიერო სესიებს. შეფობა აქვს აღებული სიღნაღის რაიონის ქვემომაღაროს შრომის სახელობისა და თბილისის გარეუბნის მახარაძის სახ. კოლმეურნეობებზე.

ინსტიტუტის მეცნიერული მიღწევები ფართოდ ინერგება ცხოვრებაში. ეს მიღწევები დიდ დახმარებას უწევენ სოციალისტურ სოფელს.

ქ. სანადირაძე

ფოტო რ. აკოფოვისა

ზურაბ ლორთქიფანიძე

## წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში

ხეები დგას კასრის სისხო,
დაბურულ ტევრს მეც გავხედე.
ამ ეზოში შემხვდეს, ვფიქრობ,
საუკუნე მეცხრამეტე.
ფოთოლთ რხევა სმენას თაფლავს,
ტკბილი, ტკბილი ტკბილ მაჭარზე,
ეს ჩურჩული შეასწავლა
ალბათ ნინო ჭავჭავაძემ.
მაღალ-მაღალ ურიცხვ ძარით
შემოვიდა ბაღში რთველი.
დღედაღამე მოსჩქეფს ღვარი
დღის ფერი და ღამის ფერი.
იწნიხება, ცვარი ღილად
სახელურზე ჯდება მარტოდ.
მანქანებო, მაინც ფრთხილად
სურნელებამ არ დაგათროთ.
ქვეშ ჩავდივართ, აი უკვე
ეს მესამე სართულია,
გეგონება დაიქუხებს
კასრი ძირს რომ გართხმულია.
რთველი არის დაწყებული,
უსაქმოდ რად გაწვებიან,
ერთმანეთზე ჩახვეული
ბელლის სისქე კასრებია.
გზად ცარიელ კასრებს ვსინჯავთ,
მოლოდინის ეშხი თუთქავთ.
უზარმაზარ წელზე დინჯად
სალტე ქამრად შემოურტყამთ.
ბრიგადირი ღვინის რჩევით
გართულა და ცდილობს მიქოს,
ოთხკუთხედი სასმურებით
ღვინოს მაწვდის საჭაშნიკოდ.
შიგ ჩავხედე...
თავის ეშხით
თითქო ჭიქის ფსკერზე იწვა;
ვაზის ფესვით
მუხის ფესვით
შეკერილი დედამიწა...
თითქმის მიწის ყოველ გოჯას
ვერ ვცილდები, ვარდი მხვდება.
ფეროვნებამ თვალი მომჭრა,
მორჩა, ღამე გამიტყდება.
ეს რა ჩრდილთა რხევა მშვიდად
შვენის ეზოს ფარჩებიანს,
ჭავჭავაძის ქალიშვილთა
ლანდი ხომ არ დარჩენილა...
ყვავილების მაღალ ბორცვთან
სიო ფოთლებს ეძალება.
ამ ეზოდან ფეხის მოცვლა
მთვარეს ჩემებრ ეზარება.

ალექსანდრე შანიძე

## ჰყვავის სოფლები

წალკოტივით მოქარგულა
მრავალნაირ ფერადებით.
ზოგან ზვრების ზონარებით,
ზოგან ღრუბლის პერანგებით,
შემოსილი მწვერვალები,
ცამდე ტანად აშოლტილნი.
თვალს იტაცებს, გახალისებს,
რომ შეხედავ ყოველ დილით.
ყამირები გადაუხნავთ,
შრომით ხარობს კაცის გული.
ყვავის ტბეთი, ბარეული
და შრიალა ბუგეული...
ო! რამდენი გოგონები
თვალცქრიალა გედებია,
ვრცელ ბაღნარებს სიმღერებით
მერცხლებივით ედებიან.
აქ მდელონი შრიალებენ,
უწინ ნარბევ-ნაგვალევი.
თავთავებით დაფარულა
ტრაქტორების ნაკვალევი...
დაილოცე საქართველოვ,
ბარაქით და შრომის მადლით.
წარმტაცია, საყვარელი
შენი მიწის თითო ადლი.

# ვარიანელი მეხილეები

ილო ალაზნელი

1953 წლის სექტემბერი იდგა. უჩვეულო სიხარულს განიცდიდა სტალინის სახელობის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მთელი კოლექტივი. მათ სახელმწიფოს 3.600 ტონა ხილი ჩააბარეს და 5.200 ათასი მანეთი მიიღეს. გეგმის ზევით მოიყვანეს ათეულობით ტონა კურკოვანი ხილის (ბალი, ქლიავი) მოსავალი და მთლიანად—267 ტონის რაოდენობით—გორის საკონსერვო ქარხანას ჩააბარეს. პროდუქციის თვითღირებულება 25 პროცენტით შეამცირეს და 1.437 ათასი მანეთი მოგება მისცეს სახელმწიფოს.

შრომა დაუფასდათ ვარიანელ მეხილეებს. 1953 წლის სამეურნეო შედეგების მიხედვით საბჭოთა მეურნეობას მიეკუთვნა მეორე საკავშირო ფულადი პრემია—11.700 მანეთის რაოდენობით, მეურნეობის მოწინავე ადამიანებზე გაიცა 192.000 მანეთი ფული.

* * *

საყურადღებო ღონისძიებებს ახორციელებენ ვარიანელი მეხილეები: ხილის მოკრეფის შემდეგ, როცა აცივდება და მავნებლები ზამთრის ბუდეებს მიაშურებენ, იწყება ამ ბუდეებისა და დაცვენილი ფოთლების მოგროვება და მოსპობა. შემდეგ ინდივიდუალური მიდგომით აწარმოებენ ხეხილის სხვლას. ზედმეტი ამონაყრებისაგან ათავისუფლებენ კრონის შიგნითა ნაწილებს, რადგან იგი მნიშვნელოვნად აფერხებს ჰაერის მოძრაობას და ხელს უშლის ნაყოფის ზრდას. გასხვლისთანავე ნარგავთა შტამებს ჩამობანენ ხუთპროცენტიანი ხსნარით, ათეთრებენ თიხანარევი კირით. შემდეგ იწყება ფართობებში ნაკელის, სუპერფოსფატის, კალიუმის მარილის, ორგანული და მინერალური სასუქების ნარევების შეტანა. ნიადაგის განაყოფიერებისათვის სხვა ხერხებსაც მიმართავენ. ბაღის შერჩევითს ნაკვეთებში თესავენ ერთწლიან და მრავალწლიან ბალახებს.

დიდი ყურადღება ექცევა ნიადაგში ტენიანობის დაგროვებას. დიდი ხანი არ არის, რაც აქ შემოიღეს ბაღის ზამთრობით რწყვაც, ეს განსაკუთრებით სასარგებლო გავლენას ახდენს გაზაფხულზე—მცენარის დაყვავილების დროს. ზუსტად იცავენ რა მინერალური სასუქებით ნიადაგის დამატებითი გამოკვების თანამიმდევრობასა და საბჭოთა აგროტექნიკის მდიდარ მიღწევებს, ხეხილის ბაღი ჯანმრთელად გამოიყურება და ნაყოფიც საუკეთესო ხარისხისაა...

გაზაფხულზე, როცა მზის თბილ სხივებზე ხეხილის ნარგავები საყვავილე კვირტებს დაბერავენ, მეურნეობის მთელი კოლექტივი წარმატებით აჩაღებს ლაშქრობას მავნებელთა განადგურებისა და მიწის მომდევნო სამუშაოების (ნარგავთა ძირების გამობარვა, რიგთა შორის ხვნა და სხვ.) ჩატარებისათვის. გულისხმიერად წარმოებს მწვანე სხვლა საზრდელი ყლორტების სანაყოფე კვირტებად გადასაყვანად. საზრდელ ყლორტებს კვეცავენ 3-5 კვირტზე. ამ ღონისძიების შედეგად, რომელიც უფრო და უფრო ინერგება მეურნეობაში, 3-4 წლის შემდეგ მცენარე გაცილებით მეტ ნაყოფს იძლევა.

სხვადასხვა დაავადებათა წინააღმდეგ, გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში, რამდენჯერმე ახდენენ კომბინირებული ნაზავის შესხურებას. ზუსტად იცავენ აგროტექნიკის მონაცემებს. ცალ-ცალკე ფართობების მიხედვით გრაფიკით აწარმოებენ მცენარეებზე მინერალური ზეთების ემულსიის შესხურებას და „დდტ"-ს შეფრქვევას, იგი მწერების მოსპობასთან ერთად ხელს უწყობს ნაყოფს დამსხვილებასა და სილამაზის გაუმჯობესებაში. მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ტარდება რიგთაშორის ფარცხვა, კულტივაცია და სხვა სამუშაოები.

* * *

... ის იყო საწარმოო თათბირი დამთავრდა. მეურნეობის მუშები და აგრონომ-სპეციალისტები დირექტორის კაბინეტიდან გამოდიოდნენ, რომ თბილისიდან ტელეფონმა დარეკა. დიმიტრი ჯაბაურმა ყურმილი აიღო და თათბირის მონაწილეთ ანიშნა, ხმაური შეწყვიტეთო.

— დიახ, დიახ, ჯაბაური გისმენთ! როგორ?.. სასიხარულო ამბავია, ამხანაგო ილია, სასიხარულო!.. ყველას გადავცემ, ყველას.—აღტაცებით უპასუხა ჯაბაურმა და ამხანაგებს ახარა, რომ „სამტრესტის" სისტემის რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებიდან მხოლოდ მათი—ვარიანის მეურნეობაა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატი.

ეს ამბავი მეურნეობაში ელვის სისწრაფით გავრცელდა. დაფასებული შრომა ყველას ახარებდა. განსაკუთრებით ხარობდნენ გამოფენის კანდიდატები,—აგრონომები: ვლადიმერ სულაძე, თამარ ხაფავა, ირაკლი დავითაშვილი, ბრიგადირ-აგროტექნიკოსები: სამსონ პაპელაშვილი, გიორგი საათაშვილი, მერგოლური—გიორგი მაზმიშვილი, მუშა ქალი—ეპრაქსია სუკასიანი და სხვები. ვარიანელმა მეხილეებმა იკისრეს წელს უფრო მეტი მონდომებით, სიყვარულით დაამუშაონ ხეხილის ბაღები და საგრძნობლად გადააჭარბონ გასული წლის შედეგებს.

# კინგიშჰესი

ამას წინათ სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის, კიროვის სახელობის, შვერნიკის სახელობისა და გაზეთ „კომუნისტის" სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელების კოლმეურნეებმა სასიხარულო მოვლენა იდღესასწაულეს — ამუშავდა კინგიშჰესი, უდიდესი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური აჭარაში. იგი აგებულია მდინარე კინგიშზე, სოფელ კვირიკეს მახლობლად, მისი საპროექტო სიმძლავრე 550 კილოვატია. სადგურის ამუშავების პირველსავე ღამეს სოფლებში ასობით ელნათურა აკაშკაშდა. ელექტროდენი მიიღო, აგრეთვე, სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმამ.



დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდათ კინგიშჰესის მშენებლებს, მთის ფერდობზე მაგარ ქანში 1100 მეტრის სიგრძეზე გაიყვანეს ბეტონით მოსახული სადერივაციო არხი, 66 მეტრი სიმაღლიდან წყალი რკინის მილებით მიექანება ტურბინებისაკენ. სადგურის შენობა დიდი და ლამაზი ნაგებობაა. მისი იატაკი შორენკეცითაა მოგებული, ეზო მოასფალტებულია, სადგურს 10 მუშაკი ემსახურება, უმრავლესობა ამ სოფლის მკვიდრნი, რიგითი კოლმეურნეებია, მათთვის აგებულია საუცხოო საცხოვრებელი სახლი.

პ. სახეჩიძე



ბეწვის ხიდი ორპირა კლდეზე.

ფოტო გ. ძაჯაიასი

# მაღალ მთებში

ი. მუხაძე

დაიწყო რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე საინტერესო ლაჯანურის ჰესის უზარმაზარი სამშენებლო უბნის მშენებლობა.

აქ დღე და ღამე ხმაურია და სოფელი ხალხითაა სავსე. ჰაერს, და ხშირად სახლის ფანჯრებსაც, ზანზარი გააქვთ გამუდმებული გუგუნისა და გრიალისაგან. რა მანქანა გინდათ, რომ აქ არ იყოს: ექსკავატორები, ბულდოზერები, სკრეპერები, გზისსატკეპნები. ისინი რიონისა და ლაჯანურის ხეობაში ახალი გზების გაყვანაზე მუშაობენ. მათ დასახმარებლად ხშირად ამფეთქებელთა ბრიგადა მოდის ხოლმე, რადგან სალი კლდეების მონგრევა მხოლოდ დიდი რაოდენობის ამონალის გამოყენებით ხდება შესაძლებელი.

ყველაფერი, რასაც ჩვენი ქვეყანა აგზავნის სამთო ჰესის ასაგებად, ავტომობილთა ქარავნებმა უნდა გადაზიდონ იმ გზით, რომელიც ჯერ რიონის, მერე ლაჯანურისა და, ბოლოს, ცხენისწყლის ნაპირებზე მიიკლაკნება. ქვემოთ, რკინიგზის სადგურთან უამრავ მექანიზმებით, ასაწყობი სახლებით, ხიდების ფერმებით ტვირთავენ ავტომანქანებს.

როცა მშენებლობაზე ახალი მოხალისეები მოდიან მკაცრ და დაუნდობელ ბუნებასთან ორთაბრძოლაში ჩასაბმელად, მათ უპირველეს ყოვლისა უამბობენ, რომ საპატიო წიგნში ყველაზე ადრე შეტანილი არიან კომკავშირელი შოფრები — რევაზ ქორქოლიანი, გოგი გრძელური და გივი ნათობიშვილი.

მართლაცდა, შოფრებზე ადრე აბა ვინ გაიკვლია აქეთკენ ყინულის ხორგებითა და ნამსხვრევი ლოდებით ჩახერგილი გზა. მათზე ადრე ვერავინ შესძლო ეს, მაგრამ მათთან ერთად კი 1953 წლის პირველ იანვარს იქ პირველნი მივიდნენ მშენებლობის უფროსი, სტალინური პრემიის ლაურეატი გიორგი წულეისკირი და ინჟინერი, მომავალში პარტბიუროს მდივანი, კონსტანტინე ჩაგუნავა. ინჟინრებმა და შოფრებმა სახელდახელოდ დადგეს თან ჩამოტანილი პატარა სახლი, დაანთეს პირველი კოცონი, მიულოცეს ერთმანეთს ახალი წელი და პირველივე სადღეგრძელოთი წარმატება უსურვეს ყველაზე დიდი ჰიდროენერგეტიკული ნაგებობის მშენებლობის დასაწყისს საქართველოში.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ამბობენ, ბუნებაც კი სხვანაირი გახდაო ლაჯანურში. მშენებლებმა მდინარის კალაპოტი ერთი მეოთხედი კილომეტრით გვერდზე გადაუშვეს, აღმართეს დამცველი კედელი, დაავეს ხიდები, ააგეს საცხოვრებელი სახლები და მალე აქ მოზრდილი დაბა გაჩნდა.

მრავალი ასეული, სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანი სამ ცვლად მუშაობს ლაჯანურის სამშენებლო უბნებზე, სადაც თავი მოიყარა აუარებელმა საინტერესო ადამიანმა. აქ არიან ძველი ოსტატები, რომლებსაც პირველად როდი უხდებათ მუშაობა ჰესის მშენებლობაზე, აქ არიან კოლმეურნეები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ ჩაებნენ სამგორის გრანდიოზულ მშენებლობაში და თავისი ბედი ბუნების გარდაქმნისა და გაუმჯობესების საქმეს სამუდამოდ დაუკავშირეს. აქ არიან სხვადასხვა ქალაქების კომკავშირელებიც. სულ სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების, სხვადასხვა კულტურისა და ჩვევების ადამიანები შეხვდნენ აქ ერთმანეთს.

დიდი მუშაობა აქვთ ჩასატარებელი მშენებლებს, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერს სწყვეტენ გვირაბები — პირდაპირი, მოკლე გზები, გაყვანილი მდინარე ცხენის-წყლისთვის, რომელიც ნაწილობრივ გადაყვანილი უნდა იქნას ლაჯანურში. გვირაბების გათხრის ტემპზეა დამოკიდებული ტურბინების ამუშავების ვადები. ამიტომ სანგრევებში გაიგზავნა ძველი ოსტატებისა და ახალგაზრდა მოხალისეებისაგან შერჩეული ყველაზე საიმედო და ყველაზე გამბედავი ადამიანები.

მხარდამხარ მუშაობენ ძმები დიმიტრი და ივანე სერდობინცევები, რომლებმაც უკვე რვა ელექტროსადგურის მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა, საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეები დავით ოთარაშვილი და ნიკოლოზ ჩიტრიკაშვილი, რომლებიც მშენებლობის ოსტატობას სამგორში დაეუფლნენ, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირელები — გურამ ჭოხონელიძე, ანატოლი სახაროვი, სერგო ფეიქრიშვილი.

მეორე მთის წიაღში არა ნაკლებ წარმატებით მუშაობენ კომუნისტი ალექსი ონიანი, მოხუცი ბრიგადირი ისიდორე ფახიროვი, ტექნიკოსი შოთა გურიცკი და კომკავშირელი გოგონები კლავდია ბუხტინა და მარგარიტა სვინინა.

კომკავშირელებმა ტარასი კაჭარავამ და სერგო ფირცხალავამ აითვისეს პირველი ქანსატვირთავი მანქანა. წინათ რასაც 20 კაცი ძლივს ასწრებდა ორ ცვლაში, ახლა ტარასი და სერგო მანქანით აკეთებენ სამ საათში.

...აპრილის ერთ საღამოს თბილისის სადგურის ბაქანზე ჩვენ გავიცანით ჭაბუკი გივი გოჩაშვილი. იგი ნავთლუღში ცხოვრობდა და ძმასთან—ვასოსთან ერთად საავეჯო კომბინატის მშენებლობაზე მუშაობდა. მაგრამ აი, გივიმ გაიგო, რომ მიუვალ ადგილებში, სადაც ზაფხულობითაც კი ახლო-მახლო თოვლი დევს, შენდება დიდი ელექტროსადგური. რასაკვირველია, მან მოისურვა იქ წასვლა, უნდოდა ისეთივე სახელოვანი გამხდარიყო, როგორიც იყვნენ შორეული აღმოსავლეთის ტაიგის, მთა მაგნიტნაიას ტრამალების, არქტიკის თეთრ საბურველში გახვეული თვალუწვდენელი სივრცეების დამპყრობი გმირი კომკავშირელები. ახლა შეიძლებოდა ხორცი შესხმოდა წიგნებში წაკითხული ამბებით აღძრულ ოცნებას. მეტი დამაჯერებლობისთვის თავის განცხადებას გივიმ კომკავშირული ორგანიზაციის შუამდგომლობაც დაურთო. თბილისელი კომკავშირელების პირველივე ჯგუფთან ერთად იგი მთებში წავიდა...

მეორედ გივი გოჩაშვილს უკვე ლაჯანურის ნაპირზე შევხვდით, მშენებელთა ცენტრალურ დაბაში. ჭაბუკმა დაუფარავი სიამაყით მიგვიწვია თავის ოთახში, ახალ ორსართულიან სახლში.

— როგორაა საქმე, გივი, მოგწონს ახალი ადგილი?

— აი, ძმას ვეძახი, ჩამოვიდეს ჩვენთან სამუშაოდ... — გივიმ გამომიწოდა რვეულიდან ამოხეული ფურცელი. — წაიკითხეთ!

„სალამი ძმაო ვასო! სალამი მაღალი მთებიდან, საქართველოს ყველაზე დიდი მშენებლობიდან. მე აქ ვმუშაობ ახალგაზრდა მებეტონეებისა და ხუროების ბრიგადაში. მრავალნაირი ბრიგადაა ჩვენს მშენებლობაზე, მაგრამ, ვფიცავ ყველაფერს, ჩვენისთანა არც ერთი არაა. ყველას სურვილი აქვს მოხვდეს ოსტატ ივან ეფიმოვიჩ ზიაბკინთან. ოცი წელიწადია ივან ეფიმოვიჩი მუშაობს სხვადასხვა ელექტროსადგურების მშენებლობაზე. ჩვენმა მთავრობამ იგი დააჯილდოვა ლენინის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით. მან ყველაფერი იცის. პირველი შეხედვით ძალზე მკაცრი ადამიანი გეგონება, ნამდვილად კი ყველას მამაშვილურად გვეპყრობა. გულმოდგინედ გვასწავლის და ზრუნავს იმაზე, რომ არაფერი შემოგვაკლდეს. ყოველდღე ორი ნორმის შესრულება ჩვენთვის ვალდებულებად იქცა.

მთელმა ჩვენმა ბრიგადამ გადაწყვიტა ვისწავლოთ საღამოს სკოლაში. სკოლისთვის ახალი შენობა ავაგეთ. მე მერვე კლასში ჩამრიცხეს. თავისუფალ დროს ფრენბურთის გუნდში ვთამაშობ. გარდა ამისა, ჩემი მეზობელი ტოლია სახაროვი ჭადრაკს მასწავლის.

ვასო, იქნებ შენც წამოხვიდოდი აქეთკენ სამუშაოდ. მართალია, მუშახელი ახლა აღარ გვაკლია, მაგრამ კომკავშირული ორგანიზაცია თუ ძალიან შეეხვეწება, ჩვენი მთავარი ინჟინერი, ვფიქრობ, უარს არ იტყვის. პასუხი სასწრაფოდ მომწერე".

....შეიძლება მთავარი თავისებურება ამ ვეება მშენებლობისა იმაში მდგომარეობდეს, რომ ახალ გზებთან, ახალ საცხოვრებელ სახლებისა და გვირაბების პირველ კილომეტრებთან ერთად სამ ცვლად აგებენ დაწყებითი და საშუალო სკოლების, სახელოსნო სასწავლებლისა და ტექნიკუმის შენობებს. მშენებლობის მთავარი ინჟინერი კონსტანტინე დადიანი ერთნაირად მოითხოვს ახალგაზრდებისაგან, როგორც დღიური ნორმის შესრულებას, ისე გაკვეთილების წესიერად მომზადებას. სპეციალურ ბრძანებაში მოხსენებული არიან ვაჟები და ქალები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს საღამოს სკოლის რვა კლასი.

...სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებიან მთების გულში ლაჯანურჰესის მშენებლები, უბრალო და მამაცი ადამიანები, რომლებიც ყოველდღე საქმით ადასტურებენ იმას, რომ საბჭოთა ადამიანისთვის დაუძლეველი არაფერია ამქვეყნად.

ილო მოსაშვილი

# გზა მომავლისა

## ერეკლეს მონოლოგი

(III მოქმ.)

ე რ ე კ ლ ე — (მდუმარე მისჩერებია ღრუბლიან ცას, რომელსაც ხანგამოშვებით ელვა ანათებს)

ირგვლივ ღამეა, მეფობს ბნელეთი,
ლამის წყვდიადმა შთანთქას ხმელეთი...
ჩემი ქვეყანა მტრებით მოცულა,
შუქს ვთესავდი და, — ღამე მოსულა!
რამდენი ვკაფე მომდგარი მტერი, —
ვერ დავასვენე ქართველი ერი...
ვერ გავუწიე მშობელს შვილობა,
ვერ მოვურჩინე ძველი ჭრილობა.
დღესაც მივდივარ მკლავშემართული,
რომ ვასახელო ხმალი ქართული...
ჩალაბხანს გავტეხ, სპარსელებს დავძლევ,
მაგრამ ჩემს მამულს რა ნუგეშს ვაძლევ?
ახალი მტერი არ გვაცლის ლოდინს,
სპარსელის კვალზე — ოსმალო მოდის...
რა ჰქნას ქართველმა კაცმა ბედშავმა,
მისი გუთანი ჟანგმა შეჭამა!..
რა ჰქნან მწუხარე ქართვლის დედებმა,
მათ გულსაც ცრემლის ჟანგი ედება!
ჩრდილოეთს მიტომ მივაპყარ თვალი,
რომ ხარ-სახნისმა შესცვალოს ხმალი...
რომ აღარ იყოს ჩემი მამული
კვლავ ცრემლითა და სისხლით ნამული.
ღმერთო, შენ იყავ ჩემი მსაჯული,
იხსენ ქართველი ერი — ტანჯული!
როგორც ერთგულმა ხარმა უღელში —
შენს სამსახურში დავლიე დღენი,
სამშობლოვ ჩემო, მამულო ჩემო,
მეფე ვარ, მაგრამ მონა ვარ შენი!
(შორი ლაშქრული მოისმა, სმენად იქცა).
აი, ლაშქრული!.. იავნანა ჩემი — ეს იყო
პატარა ქართველს იგი ესმის დღესაც აკვანში...
როდისღა უნდა დაისვენო, ჩემო ქვეყანავ?
(ლაშქრული ახლოვდება, მკაფიოდ ისმის).

„ე რ ე კ ლ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი,
განა უბრალო კახია?
რკინის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია!“

(სწრაფად შემოტრიალდა).

გესმის? გეძახის, ჩემო თავო, შენი ლაშქარი...
ისევ ნაბადი, ჟუნაგირი, ტეხა ღამისა...
ისევ ბრძოლაში დამშეული ხმლების ყიჟინა!
დარეჯან, ქალო... იარაღი, მიგვიანდება!


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ილო მოსაშვილის ხსოვნას

გარდაიცვალა ილო მოსაშვილი.

სიკვდილის შავმა ფრთამ ახლა უკვე ქართველი მწერლების ოჯახს ჩამოუქროლა და მისი ერთ-ერთი დამამშვენებელი გამოსტაცა.

დიდუბის პანთეონში, იქ, სადაც დიდხანს ნიკოლოზ ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას ძვლები განისვენებდნენ, ილო მოსაშვილი პირნათლად მოიყვანა შთაგონებული პოეტისა და მგზნებარე პატრიოტის ღვაწლით განათებულმა გზამ.

მოკლე იყო ეს გზა, მაგრამ მღელვარებითა და ოცნებით სავსე. ილო მოსაშვილს წმინდა გულით უყვარდა თავისი ლამაზი სამშობლო და ყველაფერი — განუმეორებელი სიმღერით დაწყებული და უკანასკნელი ამოსუნთქვით დამთავრებული — მან სამშობლოს დიდებასა და კეთილდღეობას მოახმარა.

იგი არა მარტო მომღერალი იყო ახალი საბჭოთა საქართველოსი, არამედ მისი ჭეშმარიტი შვილიც და ამიტომ, ასე ღრმად აღიბეჭდა ჩვენი ქვეყნის ზრდისა და დავაჟკაცების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი მის სულიერ ცხოვრებაში, მის არსებასა და შემოქმედებაში.

იგი, ბუნებით პოეტი და მეოცნებე, საოცარ ენერგიასა და თავდადებას იჩენდა თავისი ხალხის სამსახურში. ილო მოსაშვილი მიჰყვებოდა დიდი ქართველი მწერლების ტრადიციას და არა მარტო თავისი შემოქმედებით ემსახურებოდა მშობელ ხალხს, არამედ თავის მოქალაქეობრივი ღვაწლითაც ცდილობდა მდგარიყო იმ მოწოდების სიმაღლეზე, რომელსაც ჩვენი დროის დიდი იდეები და საქმეები კარნახობენ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

ილო მოსაშვილი — ავტორი იმ უაღრესად ნატიფი ლირიკისა, რომლითაც ბივრჯერ მოიხიბლულვართ მისი თანამედროვენი და რომელთა ელვარებაც დიდხანს, ძალიან დიდხანს გაჰყვება ქართულ პოეზიას, მუდამ ცხოვრების გულში ტრიალებდა, ჩვენი მწერლობისა და ცხოვრების მოწინავე ხაზზე იდგა და მუდამ მაღლა ეჭირა კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების, სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის დროშა.

ილო მოსაშვილის პოეზია კახელი ვაჟკაცის მხნე სიმღერას გავდა და მან თვითონ, ხალხური თქმისა არ იყოს, ჭირიც და ლხინიც კაცის მოსაწონი იცოდა.

იგი ბუნებით შემმართებელი ადამიანი იყო და მისი პირველივე გამოხედვა მაღალი მთების არწივის მოგონებებს იწვევდა მნახველში. იგი მართლაც გავდა არწივს, არა მარტო თავისი ვაჟკაცური მზერით, არამედ სიმაღლისადმი დაუცხრომელი სწრაფვით და არაჩვეულებრივი ენერგიით.

იგი ახლაც ჩვენს წინაშე წევს იმ არწივივით, რომელსაც ღრუბლებში ასულს, გულმა სწორედ იმ წუთს უღალატა, როცა ყველაზე მაღლა გაფრენას ლამობდა. ილო მოსაშვილმა ბევრი ლამაზი კამარა შეჰკრა ჩვენი ახალი მწერლობის ცაზე და მისი შემოქმედებითი გაქანება კიდევ ბევრ ახალსა და მიმზიდველ სიმაღლეს აიღებდა. იგი თავისი შემოქმედების სიმწიფისა და აყვავების საუკეთესო წლებში მიდის ჩვენგან და თან ბევრი რამ მიაქვს უთქმელი, გულის დასაწყვეტი და საინტერესო.

ილო მოსაშვილის დაკარგვას ჩვენთან ერთად გლოვობს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ქართველი ხალხი და ეს სახალხო სიყვარული და დაფასება არის მისი შემოქმედების, მისი სახელის უკვდავების დამტკიცება.

ქართული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატის, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტისა და მომღერლის ილო მოსაშვილის სახე მარად და განუყრელად დარჩება ჩვენთან, ხოლო მისი შესანიშნავი შემოქმედება დიდხანს იქნება ჩვენი მომავალი თაობების ნათელი თანამგზავრი.

7/VIII-54

გრ. აბაშიძე

# მიმატების ნიშანი

ელიშერ ყიფიანი

მხატვარი ალ. ბანძელაძე

მოთხრობა

ეს ქუჩა დღესაც ისეთივე ვიწროა, როგორიც მიატოვეს უკანასკნელმა მეეტლეებმა. მას შემდეგ მხოლოდ ასფალტი მოასხეს და ტროტუარები აამაღლეს. ძველ ქუჩას სახლებიც ძველი შერჩა. ორსართულიან შენობათა ხის აივნები თითქოს გაკვირვებით დაჰყურებდნენ უცნობ ადამიანებს, წითელყელსახვევიან პიონერებსა და თეთრხალათიან მილიციონერს, ჩაქროლილ მოტოციკლებსა და ანჩისხატის ეკლესიაში შემავალ ექსკურსანტებს.

გათენდებოდა თუ არა, როგორც ყველგან, ამ ქუჩაზეც ჩამოივლიდა მერძევე. ცოტა უფრო გვიან, ფოსტალიონი ზურგზე აკიდებული ჩანთით გაეკვეხებოდა სახლებს შორის და მაქოსავით მიმორბოდა ეზოდან ეზოში. ოდნავ ასიცხდებოდა და ნაყინის გამყიდველი შემოიჭრებოდა ხმამაღალი ძახილით, ჩრდილ-ჩრდილ გაჰყვებოდა ტროტუარს, საკმარისი იყო მხოლოდ ერთხელ შეექო და შეემკო თავისი საქონელი, რომ მაშინვე გამოეგებებოდნენ პატარა გოგონები და ბიჭები, ხელში მოფრიალე მანეთიანებითა და ხურდა ფულის ჩხრიალით.

ათი წუთის წინ ამ აივნების ქვეშ ჩალისშლაპიანმა, ახალგაზრდა კაცმა გაიარა და ერთ უჭიშკრო ეზოში შეუხვია. ახლა იგი ოქროსფერსახელურიანი კარების წინ იდგა, მეორე სართულზე, ტყავის პორტფელს თეძოზე ირტყამდა და ჩუმად ღიღინებდა. უკვე კარგა ხანია დააკაკუნა, სკამის ჭრიალი და ნაბიჯების ხმაც შემოესმა ოთახიდან, მაგრამ ის მოხუცი რამდენხანს უნდება კართან მოსვლას, დაბერდა საწყალი, ავადმყოფობამ დააუძლურა, ეს გაიფიქრა ახალგაზრდამ და კარიც ჭრიალით გაიღო.

— ო, სერგოს ვახლავარ... შემოდი — წარმოთქვა მოხუცმა, სტუმარს არ დაუცადა, ოთახში შებრუნდა და საწერ მაგიდისკენ წაჩანჩალდა, ისე ნელა და ისე მძიმედ, თითქოს დათქმული ჰქონდა, რაც შეიძლება გვიან მისულიყო სკამთან. როდესაც შემოკეტილი კარისა და სტუმრის ნაბიჯების ხმა გაიგონა, არ მობრუნებულა, ისე განაგრძო:

— დღეს ოცია? ცოტა ადრე კი მოხვედი, ყმაწვილო, ჯერ არც ჩემთვის მოუტანიათ პენსია და არც მელანოსთვის.

— არა უშავს, ძია ნოშრევან,—მოკრძალებით წარმოთქვა სერგომ, — მე ქვითარს გამოვწერ და თქვენ როცა გენებოთ, მაშინ გადაიხადეთ.

— ეგრე იყოს — შეეპასუხა ნოშრევანი და ანიშნა, რომ საწერ მაგიდასთან სავარძელი მოეჩოჩებინა, — დაჯექი და დასწერე, აგერ კალამი — მოხუცმა რვეულის ფურცელზე რაღაც ჩანიშნა, მერე კალმისტარი სერგოს გაუწოდა.

— მადლობთ, — ჩუმად წარმოთქვა ახალგაზრდამ, კალმისტარი გამოართვა და მალულად ისევ მაგიდაზე დადო, „სულ ავიწყდება, რომ ქვითრებს ქიმიური ფანქრით ავსებენ", გაიფიქრა მან. პორტფელიდან თხელი, ცისფერი წიგნაკი ამოიღო და ჩასწერა: „შავთელის ქუჩა №51, ნოშრევან ლალიძე", წერა შესწყვიტა, ელექტრომრიცხველთან სკამი მიიტანა და ზედ შედგა.

— ბიჭოს! — წამოიძახა ინკასატორმა და კიდევ ერთხელ დახედა ელექტრომრიცხველს. მაგიდასთან მჯდარმა მოხუცმა თავი მაღლა ასწია.

— რა მოხდა, გადაიწვა?

— არა, ძია ნოშრევან, ამას რა გადაწვავს, თქვენ დაგიწვავთ ბლომად.

— მართლა? — ისე იკითხა მოხუცმა, თითქოს შეაქეს და გაუხარდაო — მაინც, რამდენი?

— რაც მე მახსოვს, თვეში ოცდაათიდან — ოცდათექვსმეტ მანეთზე მეტს არასდროს არ იხდიდით, ახლა კი... მომითმინეთ — სერგო სკამიდან ჩამოხტა, ისევ მაგიდასთან მივიდა, ფანქარი მოიმარჯვა და ანგარიში დაიწყო — ახლა... 47 მანეთი და სამი აბაზი გამოვიდა.

— მართლა? — ისევ გაუხარდა მოხუცს, — შენს პირს შაქარი.

ინკასატორმა უცნაურად გადახედა მოხუცს, საყვედურად შეიცნო მისი სიტყვები.

— მრიცხველი ასე უჩვენებს, ძია ნოშრევან, აქ საწყენი არაფერია.

— რას ამბობ, ყმაწვილო, რა უნდა მწყენოდა, პირიქით. რაღაცას ვჩხირკედელაობ ჩემთვის... ვწერ. დღისით ვერ ვმუშაობ, სიცხე მაწუხებს, დაღამდება თუ არა... — მოხუცმა მაგიდის ნათურა აანთო, ინკასატორის შეჩვეულ ყურს მაშინვე მოესმა ელექტრომრიცხველის ღუღუნი — დაღამდება თუ არა, აი, მე და ეს, გვიანობამდე არ ვიძინებთ — გაიღიმა მოხუცმა, ნათურა ჩააქრო, ჩაფიქრდა და თითქოს თავისთავს უთხრა — ვნახოთ, თუ გამოვა რამე.

— დიახ, დიახ — მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა სერგომ, ქვითარი გამოწერა და წამოდგა.

— მოიცა, ყმაწვილო, სადაცაა მელანო მოვა და ბალს მოიტანს. — წარმოთქვა მოხუცმა და გაიფიქრა: „რამ შეაყვარა ასე ბაზარი? წავა და დაიკარგება". ნოშრევანს მოეჩვენა, რომ სახლისკენ მომავალმა მელანომ სადმე, ქუჩაში, იგრძნო ეს საყვედური და გაეღიმა, თითქოს პატიებას თხოვდა მეუღლეს.

სერგომ ბალზე დაპატიჟება გულგრილად მოისმინა, მადლობა გადაუხადა მოხუცს და წავიდა. ნოშრევანმა კი აივანზე გასვლა დააპირა, მისთვის ეს მთელ მოგზაურობას ნიშნავდა. ხელსაბჯენები მოიმარჯვა და დაიძრა. გზადაგზა ელექტრომრიცხველისკენ იყურებოდა, სანამ აივნის კარს არ მიაღწია. როცა აივანზე გავიდა, მოაჯირს მიეყრდნო და ქუჩას გაჰხედა, მელანო ხომ არ მოდისო.

ანჩისხატის ეკლესიის შესასვლელთან ექსკურსანტებს მოეყარათ თავი და სამრეკლოზე მიჭედილ წარწერას კითხულობდნენ, ერთი მათგანი რაღაცას იწერდა უბის წიგნაკში. ეტყობოდათ, თბილისელები არ უნდა ყოფილიყვნენ. „რუსეთიდან თუ არიან", გაიფიქრა ნოშრევანმა და ოთახისკენ შებრუნდა. ეჰ, რამდენი რამ ხდება ქალაქში, ყოველდღე ახალ და ახალ სტუმრებს იღებს თბილისი; მეცნიერებსა და მწერლებს, მსახიობებსა და მხატვრებს, ჩამოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, უცხოეთიდან. ნოშრევანს რომ სიარული შეეძლოს, ეს დაწყევლილი რევმატიზმები, რომ ბორკილივით არ ჰქონდეს გაყრილი ფეხებში, მაშინ ყოველდღე გაისეირნებდა ქალაქში, ყოველ საღამოს შეივლიდა თეატრში. ნახავდა ახალ დადგმებს, გაიცნობდა ახალგაზრდა რეჟისორებსა და მსახიობებს, და თეატრალურ ცხოვრებასთან დაახლოება ასე დანატრებული აღარ იქნებოდა. ახლა კი გაზეთი, ან რადიო თუ გააგებინებს ახალ ამბებს, ხანდახან ბაზრიდან დაბრუნებული მელანოც მოუყვება ხოლმე რაიმე საინტერესოს. მელანო, მელანო ასულდგმულებს, თორემ აქამდე...

ძველი მეგობარი მსახიობებიდან თითქმის აღარავინ შერჩა ნოშრევანს. ორი მათგანი მოსკოვის თეატრებში მსახურობდნენ ამ ხუთი წლის წინათ, ახლა სად არიან და რას აკეთებენ, არ იცის. მესამე — ნოშრევანივით დასნეულდა და წელიწადში ერთხელ თუ მოიწერება ბარათს — დანარჩენები ცოცხლები აღარ არიან. ახალგაზრდა კოლეგებიდან ზოგიერთს კარგად იცნობს ნოშრევანი, მაგრამ ისინი არც ისე ხშირად აკითხავენ.

მართალია, დიდი და გამოჩენილი მსახიობი არასოდეს არ ყოფილა ნოშრევანი, მაგრამ მაინც სწყდება გული, რომ აღარავითარი კავშირი აღარა აქვს თეატრთან. რამდენ საინტერესო მოგონებას გაანდობდა ახალგაზრდა მსახიობებს, რამდენ სასარგებლო რჩევას მისცემდა. შეიძლება, ბევრი რამ კიდევაც სცოდნოდათ და ნოშრევანის „საინტერესო მოგონებები" უინტერესოდაც მოსჩვენებოდათ, მაგრამ ეს მისთვის სულ ერთი იყო, არ უნდოდა საფლავში ჩაჰყოლოდა ის ამბები, რომლებიც, მის გარდა, შეიძლება არავის არ სცოდნოდა.

ნოშრევანმა, როგორც იქნა, მიაღწია საწერ მაგიდას, ხელსაბჯენები კარადის გვერდით მიაყუდა, დაჯდა და მაგიდაზე დაყრილ ქაღალდების გროვიდან ერთ-ერთი გამოარჩია. აი თუნდაც ეს ბარათი, განა იცის მისი შინაარსი ვინმემ? „გრაკხის თამაშს ვაპირებ და შენ რომ „ძველი რომის ისტორიის" წიგნი გაქვს (შარშან ვნახე შენთან), როგორმე მომაწვდინე, გამომადგება. წიგნს თუ შენც თან ჩამოჰყვები, ორმაგ სამსახურს გამიწევ, აქტიორები მაკლია. შენი ლადო მესხიშვილი".

ეს ბარათი ამ ნახევარი საუკუნის წინათ მიიღო ნოშრევანმა და ახლა, როდესაც თავის არქივში იპოვნა, ისე გაეხარდა, თითქოს ერთბაშად ჩამოაკლდა ის ორმოცდაათი წელი. ცოტას თუ ახსოვს მსახიობი — ნოშრევან ლალიძე, მაგრამ ლადო მესხიშვილის ბიოგრაფიას ოდნავ მაინც ხომ შეავსებს ეს ბარათი? ანდა, აგერ, კოტე მარჯანიშვილის ხელით დაწერილი ბრძანება კიევის თეატრის კოლექტივისადმი, რომლის შემადგენლობაში მაშინ ნოშრევანიც ითვლებოდა...

ეს რაღა არის? ოთხად გაკეცილი მილიმეტრებად დაყოფილი ქაღალდი მაგიდაზე გაშალა ნოშრევანმა და ზედ ხელისგული გადაუსვა. ჰო, ეს ხომ სულ შემთხვევით ნახა ერთ ძველ წიგნში ჩაკეცილი. და ამ ქაღალდმა თითქმის სამუდამოდ მივიწყებული მოგონება გააცოცხლა...

ერთ თვეზე მეტია, ნოშრევანს ავადმყოფობა წინანდებურად აღარ აწუხებს. როგორც იქნა, თავი დააღწია საწოლის ტყვეობას. ეზოში თუ არა, დერეფანში მაინც გადის ხოლმე. პირველად შეშინდა კიდევაც. სიკვდილის სიახლოვეს ხომ არ მოასწავებს ასეთი უეცარი მომჯობინებაო, სანთლის უკანასკნელ გაშუქებას ხომ არა ჰგავს ეს ძველებური მხნეობა და სიხალისეო. გამოჯანმრთელებას შეეკრთო ავადმყოფობას მიჩვეული მოხუცი. მაგრამ რაკი წინანდელი ტკივილები თანდათან მივიწყებას მიეცა, კარგად ყოფნას უფრო ადვილად შეეჩვია ნოშრევანი.

სწორედ იმ დღეებში ჩაენერგა აზრი, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის განმავლობაში მომწიფებული ოცნება სინამდვილედ ექცია; აღეწერა თავისი ცხოვრების განვლილი გზა, მოეგონებია ყველა ღირსშესანიშნავი შემთხვევა, თუ კი ისინი ოდნავ მაინც საინტერესონი იქნებოდნენ თანამედროვე მკითხველებისათვის. გადაწყვიტა და მუშაობაც დაიწყო.

პირველი დღეები თავისი ბიბლიოთეკისა და პატარა არქივის გადათვალიერებას მოანდომა. მოძებნა წერილები, რაც კი ოდესმე ვინმესგან მიეღო. ფურ-



ცელ-ფურცელ გადაშალა ძველი ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიც თვითონაც ბეჭდავდა რეცენზიებსა და ფელეტონებს.

მელანო ჯერ ორჭოფულად შესცქეროდა ქმრის წამოწყებულ საქმიანობას. ეჭვს გამოსთქვამდა მის მეხსიერებაზე და მწერლობის უნარზე. „ცდა ბედის მონახევრეაო, მაგრამ თუ ძალა არ შეგწევს, ცდაც ტყუილიაო“, ეუბნებოდა ქმარს. ერთხელ კამათიც მოუვიდათ ამის თაობაზე. კამათი იმით დამთავრდა, რომ ნოშრევანმა ხელები დაუკოცნა მელანოს. ასე იცოდა, აწყენინებდა და მერე ჯავრობდა, რატომ ვაწყენინეო.

ნოშრევანი განაგრძობდა ძველი ქაღალდების ქექვას. ზოგიერთ მათგანს წითელი ფანქრით მიმატების ნიშანს აწერდა. ეს გულისხმობდა, რომ მასალა გამოსადეგი იყო მემუარებისათვის, დანარჩენებს ისევ კარადაში აბრუნებდა. მილიმეტრებად დაყოფილი ქაღალდიც სწორედ მაშინ მოხვდა ხელში. გაშალა და ეუცხოვა. ქაღალდზე რაღაც მანქანა იყო დახაზული. ვერაფრით ვერ გაეხსენებინა, საიდან მოხვდა ეს ქაღალდი მის არქივში, ვის ეკუთვნოდა და რას წარმოადგენდა ჩანახაზი. ის იყო კარადაში უნდა შეებრუნებინა, რომ ქაღალდის მეორე გვერდზე თვალი მოჰკრა ლათინურ წარწერას: „პერპეტუმ მობილე“, და ნოშრევანს ყველაფერი გაახსენდა.

მაშინ პეტერბურგში სწავლობდა, მათემატიკური ფაკულტეტის მეორე კურსზე. მეცნიერებას გაეტაცნა ახალგაზრდა ქართველი სტუდენტი. ოცნებად გადაქცეოდა სწავლული ადამიანის ხვედრი. ხშირად წარმოიდგენდა, თუ როგორ დაბრუნდებოდა მშობლიურ საქართველოში, რა ზეიმზარით შეხვდებოდა ხალხი. შემდეგ კი ისეთ მანქანას გამოიგონებდა, ისეთ ქარხანას ააგებდა თბილისში, რომ უმდიდრეს მხარედ გადააქცევდა საქართველოს და სამუდამოდ გააბედნიერებდა ღარიბ-ღატაკთ. ასეთი იყო ცხოვრებაში გამოუცდელი, მეოცნებე ყმაწვილის ფიქრები.

ფიზიკის ერთ-ერთი ლექციის შემდეგ, რომელზეც პრივატ-დოცენტმა გნედოვმა სტუდენტებს მარადიული ძრავის პრობლემა გააცნო, ნოშრევანმა მოსვენება დაჰკარგა. თუმცა ლექტორმა განმარტა, რომ მარადიული ძრავი კაცობრიობის განუხორციელებელ ოცნებად დარჩება მუდამო, მაგრამ ნოშრევანს, სადღაც, გულის სიღრმეში, სჯეროდა, რომ მეცნიერებს უთუოდ გამორჩებოდათ რომელიმე ვარიანტი, ამ ვარიანტს კი აუცილებლად მიაგნებს, აუცილებლად... არც იყო გასაკვირი ასეთი თამამი ოცნება: იგი მათემატიკური საგნების მხოლოდ ანბანს იყო დაუფლებული, ჯერ ვერ ამჩნევდა მეცნიერებაში არსებულ მკაცრ კანონებს, როგორც ჩიტი ვერ ამჩნევს ფანჯრის მინას და ზედ ნისკარტს იმსხვრევს. ამიტომ განუსაზღვრელად მიაჩნდა ტექნიკის შესაძლებლობანი.

სწავლასთან ერთად ნოშრევანი თავის საყვარელ ხელოვნებასაც უხდიდა ხარკს, თუმცა, მაშინ არც ფიქრობდა, რომ ოდესმე პროფესიონალი მსახიობი გახდებოდა. ნოშრევანი ხშირად მონაწილეობდა საზოგადოება „პალმას“ დარბაზში გამართულ ქართულ წარმოდგენებში, რომელსაც პეტერბურგის ქართული კოლონია აწყობდა. ხვდებოდა რუს და ქართველ მსახიობებს, მწერლებს, სწავლულებს. საღამოობით კი ალგებრისა და ფიზიკის სახელმძღვანელოებს ჩაჰკირკიტებდა. როდესაც „მარადიული ძრავის“ პროექტზე დაიწყო ფიქრი, ეს სახელმძღვანელოები დროებით გვერდზე მიაწყო.

ერთ დღეს პრივატ-დოცენტს, გნედოვს, ინსტიტუტის დერეფანში დაეწია ნოშრევანი...

მიხეილ გრიგორის ძე გნედოვი ზედმიწევნით ნიჭიერი და კეთილი გულის ადამიანი იყო. სტუდენტები ყოველთვის თავისუფლად მიმართავდნენ. გნედოვი ერთ-ერთ საუკეთესო ფიზიკოსად ითვლებოდა მთელს პეტერბურგში, მაგრამ ხელისუფლებას ათვალისწუნებული ჰყავდა, რადგან იგი არცთუ ისე ნიღბავდა თავის რევოლუციურ განწყობილებას. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გნედოვი სადღაც გაქრა. ზოგნი ამბობდნენ, დახვრიტესო, ზოგნი — საზღვარგარეთ გაიქცაო, სიმართლე არავინ არ იცოდა.

...ნოშრევანმა ბოდიში მოუხადა გნედოვს და აკანკალებული ხელით რაღაც ქაღალდი გადასცა. როგორც კი პრივატ-დოცენტმა ნახაზს დახედა, გაეღიმა, მერე ხელი ჩასჭიდა ნოშრევანს და თავის კაბინეტში შეიყვანა.

— როგორ იმუშავებს თქვენი მარადიული ძრავი? — სერიოზული ხმით ჰკითხა გნედოვმა, თითქოს მის წინ დიდი გამომგონებელი იდგა. ასე იმიტომ მოიქცა, რომ სტუდენტს შეურაცხყოფილად არ ეგრძნო თავი.

— აი, ამ ჭურჭელში ჩასხმულია წყალი, წყლის ზედაპირზე დგას რკინის თხელი ფურცლით დაფარული ტივტივა, — თამამად დაიწყო ნოშრევანმა, რადგან გნედოვი მამაშვილურად უღიმოდა და ყოველ სიტყვაზე თავს უქნევდა, — ტივტივა, თავის მხრივ, მრუდმხარა მექანიზმით უკავშირდება დინამო-მანქანას, რომელიც ჰკვებავს ჭურჭლის ფსკერზე მოთავსებულ ელექტრომაგნიტს.

— აჰა, გასაგებია — შეაწყვეტინა გნედოვმა — ტივტივას იზიდავს ელექტრომაგნიტი, ეს უკანასკნელი ითიშება და წყლის ამომგდები ძალა ისევ ზედაპირზე აგდებს ტივტივას, ისევ ჩაირთვება მაგნიტი, ისევ მიიზიდავს ტივტივას და ასე შემდეგ, ეს განუწყვეტელი მოძრაობა კი მრუდმხარა მექანიზმით გადაეცემა დინამო-მანქანას, ასეა, არა? — გნედოვი ფეხზე წამოდგა და დაუმატა — ნიჭიერად მოფიქრებულია, მაგრამ...

— მაგრამ? — წამოიძახა ნოშრევანმა და ისიც ფეხზე წამოხტა.

— წყლის ამომგდები ძალა და მაგნიტის მიზიდულობა რომელიღაც წერტილში გათანაბრდებიან და თქვენი ტივტივაც გაჩერდება.

გნედოვი ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში დაიწყო ცქერა. ნოშრევანს თავი ჩაეღუნა და დამნაშავესავით დაჰყურებდა მაგიდაზე გაშლილ ნახაზს. ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს გამოცდაზე ჩაიჭრაო. უეცრად გნედოვი ფეხისწვერებზე აიწია, წინ გადაიზნიქა და თითებით მიეყრდნო ფანჯრის მინას. მერე ნახევრად შემობრუნდა და ნოშრევანს ხელი დაუქნია, მოდიო.

ქუჩაში სამხედრო ფურგონები მირახრახებდნენ. ფურგონებში რუსეთ-იაპონიის ომიდან დაბრუნებული, დაჭრილი სალდათები იწვნენ და ნაღვლიანად შესცქეროდნენ მშობლიურ ცას. ერთს ხის ფეხი გადმოეყო ფურგონიდან და წარამარა იფურთხებოდა, მეორეს ხელის მაგივრად ფარაჯის გაბრტყელებული სახელო ჩამოჰკონწიალებოდა, მესამეს თეთრად შეხვეული თავი მუხლებს შუა ჩაედო და ეძინა... ქუჩის გადაღმა, მოპირდაპირე სახლის კარებიდან, ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გამოვიდა. ქალი უეცრად შეტრიალდა და უნებურად ვაჟს მიეკრო, სწრაფად ისევ გამოიხედა დაჭრილებისაკენ და ახლა ვაჟის პალტოში ჩამალა სახე. ვაჟიც შეაშფოთა მისმა აღელვებამ, თავზე ხელი გადაუსვა, რაღაც უთხრა, რაღაც ჩასჩურჩულა, მერე გაიღიმა, ალბათ ქალიც გაალიმა... რა მიხვედრა უნდოდა, უყვარდათ ერთმანეთი...

დერეფნიდან ზარის ხმა მოისმა. გნედოვი ფანჯარას მოსცილდა და მძიმე ნაბიჯებით გაემართა კარებისკენ. გზად მაგიდაზე გადაშლილი ნახაზი აიღო და ნოშრევანს დაუბრუნა.

— აჰა, წაიღე, ტყუილ-უბრალოდ ნუ ხარჯავ ენერგიას — მკაცრი, დამრიგებელი კილოთი წარმოთქვა მან. — მარადიული ძრავი უკვე დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ადამიანები ჯერ კიდევ ვერ იყენებენ ისე, რომ ასეთი ამბები არ მოხდეს — ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა და დაუმატა — ომი რომ არ მოხდეს...

...აი, ეს ამბავი გაახსენდა ამას წინათ ნოშრევანს, როდესაც შემთხვევით იპოვნა წიგნში ჩაკეცილი სტუდენტობის დროინდელი ნახაზი, ძალზე მოუნდა მოხუცს, რომ ეს მოგონებაც გამოეყენებინა თავისი მომავალი წიგნისათვის, მაგრამ რამდენი არ იფიქრა და ამ ნახაზს ვერც მიმატების ნიშანი დააწერა წითელი ფანქრით, ვერც კარადაში შესაბრუნებლად გაიმეტა.

რა ექნა? გამოეყენებინა ეს მასალა? მერე როგორ დააბოლოვოს? როგორ დაუკავშიროს დანარჩენ ამბებს? რას გულისხმობდა გნედოვი „უკვე არსებულ მარადიულ ძრავში?“ როგორ წარიმართა მისი ბედი? იქნებ მართლა დახვრიტეს? — იქნებ სულაც განუდგა რევოლუციას? აი, რამდენი კითხვაა უპასუხოდ დარჩენილი.

მაგრამ სულ მალე, ერთი ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ამ მერყეობას თავი დააღწია ნოშრევანმა.

*

* *

— სადა ხარ, აქამდე! — წამოიძახა ნოშრევანმა, როდესაც ბაზრიდან დაბრუნებულმა მელანომ ოთახში შემოაბიჯა და სანოვაგით სავსე ზიმბილი იქვე, კარებთან დასდო, — ამ ბოლო დროს რაღაც იგვიანებ ხოლმე, რაშია საქმე? — ნაწყენი კილო ხუმრობით შეცვალა ნოშრევანმა და მეუღლეს თვალი ჩაუკრა.

— იჰ, — ხელი ჩაიქნია მელანომ — დავიგვიანებდი, მა რა იქნებოდა, ბარნაბიანთ კატოს რომ ქუჩაში შეეყრები, სახლში მისვლას ნუღარა ფიქრობ, — ვითომ დიდი სინანულით წარმოთქვა მელანომ. სინამდვილეში კი „ბარნაბიანთ კატო“ თვითონ შეაჩერა და თვითონვე გაუბა საუბარი, იქნებ მარტოდ დარჩენილმა ნოშრევანმა დღისით იმუშაოს და ღამით ადრე დაიძინოსო, ეშინოდა, ქმარს ავადმყოფობა არ შეჰბრუნებოდა.

საოჯახო წინსაფარი გადაიცვა თუ არა, ნავაჭრი სანოვაგე სამზარეულოში გაიტანა, მერე გულღრმა თეფშზე ბალი დაჰყარა, წყალი გადაავლო და ქმარს მიართვა. ნოშრევანს სერგო გაახსენდა და მისი გამოწერილი ქვითარი.

— მელანო, ინკასატორი იყო, აი, ეს დატოვა.

მელანომ ქვითარი ჩამოართვა, გაკეცა და ის იყო ხელჩანთაში უნდა შეენახა, რომ ქმარმა შეაჩერა.

— არ ნახავ რამდენია?

— რამდენი უნდა იყოს, რაც იყო, ის იქნება.

— ჰოდა, საქმეც მაგაშია, რომ მეტია.

— მეტი? — მელანომ მკლავი დაიგრძელა, თავი უკან გადახარა, მაგრამ მაინც ვერაფერი ამოიკითხა ქვითარზე და სათვალე მოძებნა.

— უი, თვალი დამიდგეს, ეს რა დაუწერია, მთვრალი ხომ არ იყო!

— მთვრალი რატომ იქნებოდა, რაც გვეკუთვნოდა, ის გამოწერა — ნოშრევანს ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს-ეს არი ძნელად მოსაპოვებელ გამარჯვებას მიაღწიაო, — შენ რომ მიკიჟინებ, არაფერს აკეთებო, აბა, რატომ გადაიხარჯა სინათლე? ალბათ ვმუშაობ, და იმიტომ.

მელანომ ბუტია თვალები მიაპყრო ქმარს. ნოშრევანმა სახე აარიდა: რაც მართალია, მართალია, ტყუილად დასწამა. ეს თვითონ ნოშრევანს ჰგონია, რომ „არაფერს აკეთებს“, რომ სერიოზული წიგნის დასაწერად უსუსურია ავადმყოფი მოხუცის ენერგია და გონება, აბა, რა წიგნის დამწერია ის ავტორი, რომელმაც არ იცის მასალის გამოყენება? უნებურად გადააბრალა თავისი ურწმუნობა მელანოს, უნებურად გაუხარდა „სინათლის გადახარჯვის“ ამბავი, ეს ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ ნოშრევანი რაღაცას აკეთებს.

მელანო სადილის თადარიგს შეუდგა. ნოშრევანი ტახტზე წამოწვა და თავის ფიქრებს დაუბრუნდა. სჯობს, რომ სულ არ გამოიყენოს „გნედოვის მასალა“ (ასე შეარქვა „მარადიული ძრავის“ ნახაზს და მასთან დაკავშირებულ მოგონებას), რადგან ეს შემთხვევა შეიძლება ძალზე პირადული მოჩვენებოდათ მკითხველებს, იქნებ ნოშრევანისთვის პატივმოყვარის სახელიც მიეწებებინათ. ასე, რომ დღესვე შეინახავს კარადაში და სულ დაივიწყებს მის არსებობას.

გადასწყვიტა თუ არა ეს, რაღაც სიცალიერე იგრძნო ნოშრევანმა, თითქოს დიდი სიხარული და სიამოვნება თვითონვე დაუკარგა საკუთარ თავს. შინაგანი ალღო უკარნახებდა, რომ „გნედოვის მასალაში“ იყო რაღაც საინტერესო, მომხიბვლელი, რომანტიული, რომელიც აღემატებოდა ყოველგვარ პირადულ გრძნობებს... „მარადიული ძრავი დიდი ხანია არსებობს“, ნეტავ რას გულისხმობდა ამ სიტყვებში გნედოვი?

ასეთ ფიქრებში იყო, როდესაც კიბეებიდან ნაბიჯების ხმა მოისმა. ცოტა ხნის შემდეგ კარებთან ვიღაც შეჩერდა. ნოშრევანი კარის სახელურს მიაჩერდა. უეცრად იატაკსა და კარს შორის გაზეთი გამოჩნდა და მერე ნახევრად შემოსრიალდა ოთახში. „ფოსტალიონი ყოფილა“, გაიფიქრა ნოშრევანმა. ნიდაყვზე წამოიწია, ადგომას აპირებდა, მაგრამ გაახსენდა, რომ იატაკზე, სულ ერთია, მაინც ვერ დაიხრებოდა. ისევ წამოწვა და მელანოს გასძახა.

როდესაც ქმარს გაზეთები მიუტანა, მელანო ისევ სამზარეულოში შებრუნდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შემოესმა ნოშრევანის ძახილი, ახლა უფრო ხმამაღალი და თითქოს აღელვებულიც. „რა დაემართა ნეტა“, გაიფიქრა მელანომ და წინსაფარზე ხელების წმენდით ისევ ოთახისკენ გასწია.

ნოშრევანი ტახტზე წამომჯდარიყო და გაზეთი „კომუნისტი“ გაეშალა.

— ნახე, ნახე, მელანო, წაიკითხე, თუ ქალი ხარ, შენც წაიკითხე — გაზეთი გაუწოდა და თითი რომელიღაც განცხადებას დაადო. მელანომ საჩქაროდ გაიკეთა სათვალე და დამარცვლით წაიკითხა: „რუსთაველის სახელობის თეატრს ესაჭიროება გასაქირავებელი ოთახები თეატრის რაიონის ფარგლებში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობების გასაგებად მიმართეთ ადმინისტრაციას, 2-4 საათამდე".

— მართლაცდა, რისთვის უნდათ ნეტა? — გულუბრყვილოდ წამოიძახა მელანომ, ეგონა, ნოშრევანიც ამ საგონებელში იყო ჩავარდნილი და იმიტომ მოუხმო.

— რისთვის და, გუშინდელ გაზეთში არ წაიკითხე? კიევის დრამატული თეატრი ჩამოვიდა საგასტროლოდ.

— მერე?

— ოთახებიც მისთვის უნდათ, ხომ იცი, ამ შუა ზაფხულში ტევა არ იქნება ჩვენს სასტუმროებში და, ალბათ, გაუძნელდათ არტისტების დაბინავება.

— შენი არ მიკვირს? — წამოიძახა მელანომ — თუ იცოდი, რაღას მეძახდი?

— ქალო, ამისთვის კი არ გეძახდი, — აღელვებისგან სათქმელი ველარ დაამთავრა ნოშრევანმა.

— მაშ რისთვის?

— ჩვენც უნდა მოვიყვანოთ.

მელანომ ხელი შუბლზე მიიდო და რამდენჯერმე აზომ-დაზომა ნოშრევანი.

— რას ამბობს ეს კაცი, მე იმას ვცდილობ, როგორმე ხელი არ შეგიშალო მუშაობაში და ახლა შენ მდგმური მოინდომე? ხომ ვეღარაფერს გააკეთებ?!

— პირიქით, მელანო — აღგზნებით წარმოთქვა ნოშრევანმა—ხელს კი არ შემიშლის, დამეხმარება. ერთ თვეს ხომ მაინც დარჩება, ქვეყნის ამბებს გავიგებ მისგან, მე ახლა წამალივით მჭირდება კიეველ მსახიობთან საუბარი.

მელანო ჩაფიქრდა, მერე ქმარს გვერდით მიუჯდა და ხმადაბლა ჰკითხა, მის ხმაში აღარ იგრძნობოდა პირვანდელი შეპაექრების კილო:

— აქა სწერია: „თეატრის რაიონის ფარგლებშიო", ჩვენი სახლი კი შორსაა, არ დათანხმდებიან, ნოშრევან.

— არა უშავს რა, წადი, ხვალვე წადი, სთხოვე, დააჯერე. უთხარი, რომ მეც მათი თეატრის მსახიობი ვიყავი ერთ დროს, მეც მითამაშნია კიევში. ჰა, მელანო, ხომ წახვალ? — ნოშრევანი ისე გაახალგაზრდავებული ჩანდა, თითქოს აქამდე მოხუცის როლს თამაშობდა და ახლა, ერთბაშად, გრიმი მოიშორაო.

— სად დავაწვინოთ? მოულოდნელად ჰკითხა მელანომ. მას უხაროდა ნოშრევანის სიხარული და აწი რას არ გააკეთებდა, რომ ეს განწყობილება შეენარჩუნებინა ქმრისათვის.

— ან პატარა ოთახში, ანდა — აქ, შირმა ხომ გვაქვს?

— გვაქვს, — მელანო ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ჰკითხა.

— ქირა რამდენი ვთხოვო?

— რაო? ქალო, ვპატიჟებ, ვერ მიხვდი, რომ ვპატიჟებ? ქირას იქით მივცემ, საჭირო რომ იყოს, — გაიღიმა ნოშრევანმა.

*

* *

მეორე დღეს მელანო ჩვეულებრივზე გვიან გავიდა სახლიდან, იმ ვარაუდით, რომ ერთდროულად ბაზრის საქმეებიც მოეთავებინა და თეატრშიც შეევლო. ზუსტად ორ საათზე იგი ადმინისტრატორის კარებთან იდგა, მაგრამ შესვლას ვერ ბედავდა. „გამოიხედავს, მკითხავს, რისთვის მოვსულვარ, და მეც მაშინ ვეტყვიო". კაბინეტიდან არავის გამოუხედავს. ცოტა ხნის შემდეგ დერეფანში მაღალი, შავგვრემანი კაცი გამოჩნდა, მოახლოვდა თუ არა, შარვლის ჯიბეებზე ხელები მოითათუნა, ერთ მათგანიდან გასაღები ამოიღო და კაბინეტში შევიდა. კარი ღია დატოვა, ოთახის ბოლოს მდგარ მაგიდას შემოუჯდა და, როცა დაინახა, რომ მელანო ისევ კარებთან იდგა, „მობრძანდითო", შეიპატიჟა.

— რისთვის შეწუხებულხართ? — ჰკითხა ადმინისტრატორმა მელანოს, თუმცა მიხვდა, რომ მოხუცი ქალი გუშინდელი განცხადების თაობაზე იქნებოდა მოსული.

— გაზეთში წავიკითხეთ, რომ თქვენს თეატრს...

— აჰა, გასაგებია, — შეაწყვეტინა ადმინისტრატორმა და მაშინვე საქმეზე გადავიდა — ორი კაცის დაბინავება შეგიძლიათ?

— რატომაც არა! — გაუხარდა მელანოს. „რატომაც არა, — გაიმეორა გულში — ერთს პატარა ოთახში დავაწვენთ, მეორეს დიდ ოთახში დავუდგამთ საწოლს, ოღონდ უარი არა თქვან და..."

ადმინისტრატორი რაღაც გრძელ სიას ჩაჰყვა და ამოჰყვა ფანქრის წვერით, მერე ტელეფონზე დარეკა.

— რეპეტიცია დამთავრდა? — ჰკითხა ვიღაცას — აბა, დამავალე და, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი რომ არიან, ხომ იცი, კიეველი მსახიობები, უთხარი ადმინისტრატორი გთხოვთ-თქვა... გვარად სობკოა, სობ-კო, ვიქტორ და ირინე სობკო... აბა, შენ იცი, თუ ჩქარა მოძებნი — მერე ყურმილი ჩამოჰკიდა და მელანოს მიუბრუნდა.

— რამდენად აქირავებთ, ქალბატონო?

— ჩვენა? — დაიბნა მელანო, მერე ერთბაშად მიუგო — ჩვენ, საერთოდ, არ ვაქირავებთ.

ადმინისტრატორმა თავი მაღლა ასწია, თვალები მოჭუტა და გულმოდგინედ შეათვალიერა მელანო.

— მაშ, რას აპირებთ?

— ჩემი ქმარი ჰპატიჟებს სტუმრად.

— სტუმრად? ვის?

— სულ ერთია, ოღონდ კიეველი მსახიობი იყოს და...

ადმინისტრატორმა ახლა უფრო განცვიფრებით შეხედა მელანოს, მერე სკამი უკან დასწია და კიდევ ერთი შეკითხვა შეჰბედა:

— ბოდიში, ვინ არის თქვენი ქმარი?

— მსახიობი ნოშრევან ლაღიძე გახლავთ, — მიუგო მელანომ.

— ოჰ, თქვენ ნოშრევანის მეუღლე ბრძანდებით? ბოდიში, ვერ გიცანით. — წამოიძახა ადმინისტრატორმა, თუმცა არც ნოშრევანს იცნობდა პირადად, სხვებისგან გაეგონა მისი ვინაობა — დაპატიჟება თქვენი საქმეა, ქალბატონო, ქირა კი, ძალიანაც რომ იუაროთ... — გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— პატივცემულ ნოშრევანს რუსეთის თეატრებში უმსახურნია ძველად, ვიცი, გამიგია — განაგრძო ადმინისტრატორმა — ალბათ კიევშიც თამაშობდა, არა?

— დიახ, დიახ — უპასუხა მელანომ.

— ალბათ ამ მსახიობებსაც იცნობს, არა? — ადმინისტრატორმა კარებისკენ გაიშვირა ხელი.

— იცნობს... უთუოდ — უნებურად იცრუა მელანომ.

ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც კარი გაიღო და კაბინეტში ახალგაზრდა კაცმა შემოიხედა. ადმინისტრატორი რომ დაინახა, კარი ბოლომდე გააღო და მასავით ახალგაზრდა ლამაზი ქალი შემოუშვა.

— მობრძანდით, მობრძანდით, — შეეგება ადმინისტრატორი — მე მგონი, თქვენი დაბინავების საქმე კარგად მოეწყო; მასპინძლად კოლეგა გეყოლებათ.

— ვინ? — ერთხმად იკითხეს შემოსულებმა.

— ძველი ქართველი მსახიობია, ნოშრევან ლაღიძე, ეს მისი მეუღლე გახლავთ, გაიცანით — და მელანოს მოუბრუნდა, — ესენი, ქალბატონო, კიევის თეატრის მსახიობები არიან — ვიქტორ და ირინე სობკო.

— სასიამოვნოა, — კვლავ ერთად წარმოთქვეს ცოლ-ქმარმა და მოხუც ქალს მოწიწებით ჩამოართვეს ხელი.

— რომელ ქუჩაზეა ბინა? — იკითხა ირინე სობკომ.

მელანო უხერხულად შეინძრა სკამზე; აი, ის კითხვა, რომელსაც ჰოველწუთს მოელოდა და რომლისაც ეშინოდა.

— ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, რომელ ქუჩაზე ცხოვრობთ? — გაიმეორა ადმინისტრატორმა.

— შავთელის ქუჩაზე — მელანოს მოეჩვენა, რომ ეს სიტყვები გულში წარმოთქვა და გამეორებას აპირებდა.

— ოოო, — იწყინა ადმინისტრატორმა — განცხადებაში ხომ გარკვევით სწერია: „თეატრის რაიონის ფარგლებშიო", თქვენ კი... სამწუხაროდ, ქალბატონო...

— შორს არის ეგ ქუჩა? — კვლავ იკითხა ირინე სობკომ და ხელჩანთა მარაოსავით აიქნია სახესთან. ის იყო განმარტებისათვის მოემზადა ადმინისტრატორი, რომ ვიქტორ სობკო მაგიდაზე გადაიხარა, თითი მსახიობთა სიას დაადო და თქვა: თანახმა ვარ, გააფორმეთ, — მერე ცოლს მიუბრუნდა და ისე მიმართა, როგორც პატარა, საყვარელ ბავშვს, — იროჩკა, გუშინ რომ ეკლესიაში ვიყავით ექსკურსიაზე, აბა, თუ გახსოვს მისი სახელი?

— ანჩისხატი — ძლივს გამოთქვა ირინემ.

— ოო, სწორედ იქ არის შავთელის ქუჩა, უბის წიგნაკში ჩავიწერე, წყნარი და ლამაზი ადგილია — ვიქტორმა სახეგაბადრულ მელანოს გაუღიმა და დაურთო: ძველი ქუჩაა და მობინადრენიც ძველი ჰყოლია.

*

* *

რას წარმოიდგენდა ნოშრევანი, რომ სულ ოთხიოდე კვირის განმავლობაში შვილებივით შეუყვარდებოდა ეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რას წარმოიდგენდა, რომ გულისტკივილით შეხვდებოდა მათთან განშორებას. მაინც, რა სწრაფად გაირბინეს დღეებმა. ვიქტორისა და ირინეს მოსვლა, გაცნობა და დაახლოება, ხანგრძლივი და საინტერესო საუბრები ახლა მოგონებების გრძელ რიგში ჩადგა.

რა ცოცხალი ახალგაზრდები არიან, რა ძლიერი, რა ფაქიზი სიყვარულია მათ შორის, როგორ დასწყდათ გული, როცა გაიგეს, რომ ნოშრევანს არ შეეძლო მათ სპექტაკლებზე დასწრება. როგორ გაუხარდათ, როცა გაიგეს, რომ ნოშრევანი მემუარებზე მუშაობს და მასში კიევის დრამატულ თეატრსაც მოიხსენიებს. ვიქტორი დაჰპირდა, — უკრაინაში დაბრუნებისთანავე საჭირო მასალებს მოგიძებნით კიევის თეატრის ისტორიიდანო.

ერთ საღამოს ვიქტორმა და ირინემ ისე გაახარეს მოხუცი, რომ ნოშრევანს არასოდეს არ დაავიწყდება ეს შემთხვევა: სობკოებმა ამხანაგი მსახიობები მოიყვანეს და უგრიმოდ გაითამაშეს სცენები თავიანთი სპექტაკლებიდან. მერე იმდენი ჰქნეს, რომ ნოშრევანსაც წააკითხეს მონოლოგები, ჯერ „ჰამლეტიდან", მერე „ღალატიდან", და ბოლოს „პლატონ კრეჩეტიდან". ერთი სიტყვით, ნამდვილი თეატრალური საღამო გაიმართა. ერთადერთი მაყურებელი — მელანო კი, იჯდა განმარტოებით და სიხარულისაგან უხმოდ ქვითინებდა, როდესაც ნოშრევანის ძველებურად აღგზნებულს, მაგრამ სუსტ ხმას უსმენდა მონოლოგების კითხვისას.

ასე გადიოდნენ დღეები. მელანო ახლა უფრო დატვირთული ბრუნდებოდა ბაზრიდან. ნაყინის გამყიდველები უფრო ხანგრძლივად გაჰყვიროდნენ ნოშრევანის აივნის ქვეშ. ფოსტალიონს გაზეთებთან ერთად ახლა წერილებიც ხშირად მოჰქონდა ლაღიძეების ოჯახში. კვლავ მოვიდა სერგო ინკასატორი, ელექტრომრიცხველს დახედა და გასულ თვესთან შედარებით ისევ აღმოაჩინა განსხვავება ენერგიის ხარჯვაში. როდესაც გაიგო, რომ ნოშრევანს მდგმურები ჰყავდა, გაიღიმა და თქვა: „ოჯახში ისეთი ცვლილება არ მოხდება, რომ ამ მრიცხველმა არ მითხრას, ასეა, ძია ნოშრევან, ტექნიკის ეპოქაში ვცხოვრობთ".

შეუმჩნევლად მოახლოვდა განშორების დღე. კიევის დრამატულმა თეატრმა სპექტაკლები დაამთავრა. ხვალ მთელი დასი ერევნისკენ გაემგზავრებოდა გასტროლების გასაგრძელებლად.

მოხუცებმა გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს ძვირფას სტუმრებს. ნოშრევანს ვერ წარმოედგინა, თუ ამდენი ღვინის დალევა შეეძლო ვიქტორს, და სწყინდა, თვითონ რომ ვერ სვამდა. ვიქტორმა პირველივე ჭიქების შემდეგ, ყანწი მოითხოვა და საბჭოთა ხალხის სადღეგრძელო შესვა.

— გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, საბჭოთა ადამიანთა მოღვაწეობის ამ უზარმაზარ სცენას — დაიწყო მან — გაუმარჯოს ჩვენი მრავალეროვანი ხალხების წარმომადგენლებს, გაუმარჯოს უბრალო ადამიანებს, რომლებიც პატარ-პატარა როლებს თამაშობენ თავიანთ სიცოცხლეში და მაინც უკვდავნი რჩებიან, აი, თუნდაც ამ პატარა ოთახში, — ვიქტორმა ხელით წრე შემოხაზა, — სამი ეროვნების წარმომადგენელია...

— ორის — წამოიძახა მელანომ და მაშინვე ინანა, რად შევუსწორე, არ ეწყინოსო, მაგრამ ვიქტორის მაგივრად, ნოშრევანს შეხედა.

— სამის, — გაიმეორა ვიქტორმა — ქართველი — და ხელი მოხუცებისკენ გაიშვირა, — რუსი — ახლა ირინეს გადახვია ხელი — და უკრაინელი — ცერა თითი მკერდზე მიიდო...

— ირინე რუსია?! — ერთად წამოიძახეს მოხუცებმა.

— დიახ, — გაიღიმა ირინემ.

— დამნაშავე ვარ, ნამდვილად დამნაშავე, ერთი თვეა ჩემთან ცხოვრობთ და არც კი ვიცოდი, გამოდის, რომ თავიდან უნდა გაგიცნოთ, მოიბოდიშა ნოშრევანმა, მერე უეცრად ჰკითხა — რა გვარი ბრძანდებით?

— გნედოვა.

— აა?! — აღმოხდა ნოშრევანს და გაფითრდა.

— გნედოვა გახლდათ, ახლა კი სობკოა, — გაიცინა ვიქტორმა და ირინეს საფეთქელთან აკოცა. ერთ ხანს სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა. ნოშრევანი მიხვდა, რომ სტუმრებს არ გამოჰპარვოდათ მისი აღელვება, ნელ-ნელა შებრუნდა სკამზე, აივნის კარს მისწვდა, გამოაღო და არ მობრუნებულა, ისე თქვა:

— გნედოვი ერთ-ერთი რუსული გვარია, რომელიც ახალგაზრდობიდან მახსოვს, ჩემი ლექტორი იყო, ფიზიკას მასწავლიდა პეტერბურგის ინსტიტუტში...

ირინემ და ვიქტორმა, თითქოს დათქმული ჰქონდათო, ერთდროულად შეხედეს ერთმანეთს.

— აუცილებლად ის იქნება, — ოდნავ აღელვებით წარმოთქვა ირინემ და ნოშრევანს მოუბრუნდა, — მიხეილ გრიგორის ძე ხომ არ ერქვა თქვენს ლექტორს?

— დიახ... ერქვა, თქვენ... თქვენ საიდან იცით? — ისე განცვიფრდა ნოშრევანი და ისეთი ხმით ჰკითხა, თითქოს მოტყუებას უპირებენ და სიფრთხილის თადარიგს იჭერსო.

— როგორ თუ, საიდან — გადიკისკისა ირინემ — მიხეილ გრიგორის ძე ჩემი ბაბუაა.

— რას ამბობთ, ირინე, ნუთუ მართლა თქვენი... ნუთუ მართლა თქვენი ბაბუა იყო?

— იყო და ახლაც ასრულებს ამ მოვალეობას, — გაიღიმა ცოტა შემთვრალმა ვიქტორმა.

— რაო? ახლაცო? ის ხომ ცხრაასხუთში დახვრიტეს, ის ხომ..., — დაიბნა, სულ მთლად დაიბნა და ენაც დაება ნოშრევანს.

— არა, — ხუმრობის გუნებაზე დადგა ირინე, — ცხრაასჩვიდმეტის რევოლუციაშიც უნდოდა მონაწილეობის მიღება და ამიტომ თავი არ დაახვრეტინა, გადაიფიქრა, ახლა თქვენსავით პენსიონერი გახლავთ.

— ეს რა მითხარით, ეს რა მახარეთ, ჩემო შვილებო, ეს რა მითხარით... მოდი, ირინე, მოდი, ჩემო გოგო, — და მოხუცის აკანკალებული ხელები მაგიდის თავზე დაეკიდა. ირინე სწრაფად წამოხტა, მაგიდას შემოუარა და ნოშრევანს შუბლზე ეამბორა, მერე ნოშრევანმა აკოცა, მერე — ისევ ირინემ.

— ექსტრა, ექსტრა, ამ შემთხვევის აღსანიშნავად — წამოიძახა ვიქტორმა და ყანწს დასწვდა. მას რატომღაც მოეჩვენა, რომ ნოშრევანი და ირინე ნათესავები აღმოჩნდნენ.

ნოშრევანმა ხელი ჩასჭიდა ირინეს, დაეყრდნო და მაგიდისკენ წაჩანჩალდა. ცოტა ხნის ძებნის შემდეგ იპოვნა — მილიმეტრებად დაყოფილი ქა-

რ. ბერნსი

## ბრუსის მიმართვა თავისი არმიისადმი ბანოკბორნთან

შოტლანდიელნო, ვინც ბრძოლაში ხლებიხართ ვალასს
და მომხდურთათვის, მათთან ერთად გივლიათ მუსრი.
დაიხოცებით? თქვენს საფლავებს სიკვდილის ველზე,
იცოცხლებთ? თქვენს დიდ გამარჯვებას სისხლისმსმელ მტერზე,
მე აქედანვე ვეუბნები დიდებას, სალამს
მე, ბრუსი.

ჰა, დაჰკრა ჟამმაც, დრო დაგვიდგა მტერთან ჭიდილის
და ამ ჭიდილში შოტლანდიას აღარ ედარდოს,
სამშობლოვ, გელის ატირება რამდენ დედათა,
ჩვენ გველის ბრძოლა სისხლისმღვრელი ამაყ ედვარდთან,
როგორც მონობა, როგორც სიკვდილი
მოდის ედვარდი.

ამ საშინელ ჟამს, როს სიკვდილი ბუნაგობს ირგვლივ,
ვინ უღალატოს მშობელ დედას, აკვანის დამრწევს?
თუ ეს ჩვენს შორის უნდა მოხდეს, ვინაა იგი?
ვინ? მოღალატის ბნელ საფლავში ვინ უნდა ჩაწვეს?
ვინ გადაურჩეს ჩვენი რისხვის ბობოქარ ვულკანს?
გაბრუნდეს უკან!

ვინც უერთგულებს შოტლანდიის უფლებას, მეფეს,
თავისუფლების მძლავრწყურვილით სისხლს აიჩქეფებს,
ხმლის ელვარებით ვინც დაჩაგრავს სინათლეს მზეთა
და ვინც სიცოცხლეს სიცოცხლისთვის არ დაინანებს,
ან ვინც დარჩება თავისუფალ ადამიანად,
წინ, ჩემთან ერთად.

რომ შვილნი ტანჯვით ვერასდროს ვერ გაგვიჭაღარონ,
სისხლდაღვრილებმა მათთვის ბევრგზის სისხლი დავღვაროთ,
და თუ გმირების ბობოქარი გულები გვიცემს,
ჩვენს ხელებს მონის ბორკილები აღარ უხდება,
თავისუფლები მოვკვდეთ ჩვენ და თავისუფლება
ჩვენს შვილებს მივცეთ.

მზე დავუბნელოთ ძლიერებას ამაყ დამპყრობლის,
ჩვენ გვაბარია სამშობლოის ყოფნა არ ყოფნა,
ჩვენ გვაბარია ბედი ჩვენთა დაჩაგრულ ერთა,
სიკვდილი — ეს არს განაჩენი ყველგან ტირანთა,
თავისუფლება შოტლანდიის მამაც ბინადართ,
წინ, ჩემთან ერთად.

თარგმანი **ნაზი კილასონიასი**
და **ზაური ბოლქვაძისა**

ღალდი, რომელზეც „მარადიული ძრავის“ მანქანა იყო დახაზული, გაშალა და თავისი გულიც გადაუშალა სტუმრებს. დაწვრილებით უამბო ამ ორმოცდაათი წლის წინათ პრივატ-დოცენტის კაბინეტში მომხდარი ამბავი. წარმოიდგინა თავისი თავი, როდესაც გნედოვს უხსნიდა „მარადიული ძრავის“ მუშაობის პრინციპს, თვალწინ დაუდგა ფანჯარასთან მდგარი გნედოვი, რომელიც ფეხის წვერებზე შემდგარიყო და ქუჩაში მიმავალ, დაჭრილებით სავსე ფურგონებს გაჰყურებდა, მისი მოღუშული სახე მხოლოდ მაშინ განათდა, ნაოჭებიც მხოლოდ მაშინ გაუქრა, როდესაც ქუჩის გადაღმა, მოპირდაპირე სახლის კარებთან, შეყვარებულ ქალ-ვაჟს მოჰკრა თვალი...

„ვხვდები, ვხვდები, — გაუელვა გონებაში ნოშრევანს, — სიყვარული, სიყვარული და მეგობრობა, აი ეს არის მარადიული ძრავი; მივხვდი, მიხეილ გრიგორის ძევ, მივხვდი, რასაც გულისხმობდით; მე და ჩემი მელანოს სიყვარული, ირინესა და ვიქტორის სიყვარული, ჩვენი მეგობრობა, რომელიც... რომელიც განახლდება, უთუოდ, უთუოდ განახლდება და გაძლიერდება...“ ნოშრევანმა ისეთი თვალებით შეხედა ირინეს, თითქოს ქალი ზღაპრული ფერია იყო და მოხუცი სიცოცხლის გახანგრძლივებას თხოვდა:

— გემუდარებით, დამიტოვეთ თქვენი ბაბუას მისამართი, — მერე წითელი ფანქარი მოძებნა და „გნედოვის მასალაზე“ მიმატების ნიშანი დასვა, ეს გულისხმობდა, რომ მასალა გამოსადეგი იყო მემუარებისთვის.



## რომანი ქართველ მეშახტეთა შესახებ

**ანდრო ლომიძე**

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზა თემატიურად არცთუ ისე მდიდარია. თუ საკოლმეურნეო სოფლის თემაზე დაიწერა მაღალმხატვრული ნაწარმოებები — ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და სხვები, ინდუსტრიული შრომის თემაზე არ შექმნილა მნიშვნელოვანი მოთხრობა, ნოველა, რომანი. ქართველ მწერლებს არ მოუციათ ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების სტახანოველთა გმირული შრომისა და უმშვენიერესი ოცნების ამსახველი, მხატვრულად სრულფასოვანი ნაწარმოებები. ამიტომ გასაგებია ის ინტერესი, რომელიც ქართველ მკითხველში აღძრა ლადო ავალიანის რომანმა „ახალი ჰორიზონტი“. ნიჭიერი მწერლის ეს პირველი, საინტერესო რომანი გვიხატავს ტყიბულელ მეშახტეთა ცხოვრებას. ავტორმა შექმნა ძველი მეშახტის, გულთბილი მამის ნიკო არაბიძის მიმზიდველი, მკვეთრი, დასამახსოვრებელი სახე. კარგად არის დახატული ფიზიკურად და სულიერად ლამაზი საბჭოთა გოგონა თამარელა. თამარელა ხიბლავს მკითხველს თავისი შინაგანი სიწმინდით, სისპეტაკით. მისი ყოველი ნაბიჯი, აზრი, გრძნობა გამომდინარეობს მისივე ბუნებიდან. სამამულო ომის დაწყებისთანავე თამარელა მიდის შახტში სამუშაოდ და მკითხველს სჯერა, რომ იგი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, პატრიოტული ნაბიჯი ლოგიკურად გამომდინარეობს თამარელას ბუნებიდან.

ლადო ავალიანმა ამ ვრცელ ნაწარმოებში უფრო მკაფიოდ გამოამჟღავნა მოვლენათა პლასტიკურად აღწერის უნარი. ამ მხრივ საყურადღებოა თუნდაც მეგის და შატბიას გაცნობის სცენა. შატბიას სულიერი თუ ფიზიკური მოძრაობის არც ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი მწერალს შეუმჩნეველი არ დაურჩა.

წყალდიდობა აღწერილია ოსტატურად. ნაწარმოებში წყალდიდობა შემთხვევით ეპიზოდს როდი წარმოადგენს. რომანის ბოლომდე იგი ასრულებს გარკვეულ სიუჟეტურ ფუნქციას.

მწერალი შესანიშნავად ხატავს შტოლნიდან გამოსულ მეშახტეთა გარეგნობას, მას დანახული აქვს ბევრი საინტერესო, დამახასიათებელი დეტალი, მაგრამ არ გვიჩვენებს შრომის პროცესში ჩაბმულ ადამიანებს, შრომის სპეციფიკას. მეშახტეები კი არ მოქმედებენ, ისინი ან მსჯელობენ, ან ქეიფობენ. როგორც ცნობილია, სოციალისტური შრომა ქმნის ახალი ადამიანის თვისებებს, შრომაში ყალიბდება კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ვაჟკაცური სახე. როცა კითხულობ რუსი მწერლის ალექსანდრე ვოლოშინის წიგნს „კუზნეცკის მხარე“, გაღელვებს მეშახტეთა ცხოვრება, მათი ნოვატორული ძიებანი და საქმეები, ამ რომანში აღწერილი ადამიანების ცხოვრება ახლობელი, გასაგები და საყვარელი ხდება ჩვენთვის. ა. ვოლოშინმა დაგვანახვა სოციალისტური შრომის როლი ადამიანის ხასიათის ფორმირების საქმეში. ყოველივე ამას ლადო ავალიანმა რატომღაც გვერდი აუარა და ამის გამო ვერ შეგვიქმნა სრული, ნათელი წარმოდგენა ამა თუ იმ მეშახტეზე. ეს არის ლადო ავალიანის რომანის პირველი წიგნის ძირითადი ნაკლი.

წიგნის შესავალ ნაწილში, სახელდობრ იქ, სადაც დახატულია წყალდიდობა, მოვლენები დინამიურად ვითარდებიან, ხოლო შემდეგ ნაწარმოების სიუჟეტი ჰკარგავს სიმძაფრეს, სიუჟეტი მიჰყავს სამიჯნურო ამბავს, რომელსაც, ჩვენი აზრით, აკლია დამაჯერებლობა და დრამატიზმი. შატბიამ დახრჩობისაგან იხსნა თავისი სატრფო თამარელა. ამან უფრო უნდა გააღრმავოს ამ ორი ადამიანის სიყვარული. რომანში კი პირიქით ხდება. შატბიამ დაინახა თუ არა მეგი (სწორედ იმ დღეს, თამარელა რომ გამოიყვანა წყლიდან), მოიხიბლა: „დანახვის პირველი წუთიდანვე მთელი არსებით, გულწრფელად და გულუბრყვილოდ გაიტაცა“ შატბია მეგიმ. შატბია ეტრფის მეგის, აკოცებს და სრულიადაც არ აგონდება თამარელა, არ განიცდის შინაგან გაორებას. მას ხომ უყვარს თამარელა?

რომანის შესავალში მოიპოვება ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას მოკლებული რამდენიმე ადგილი. ასეთია: ბავშვების უდარდელი ჯირითი, როცა მათი ამხანაგი დაღუპვის წინაშეა, და კაკო ზიბზიბაძის საქციელი. ამ კაცმა იცის, რომ მისი შვილი ადიდებულ მდინარეში მოქცეულ ხეზეა, რომ შეიძლება ყოველ წუთში მას აცნობონ საშინელი ამბავი. იმის ნაცვლად, რომ გაეშუროს შვილის გადასარჩენად, იგი „წამით შედგა, ამხანაგებს თვალი გადაავლო და შენიშნა:

— დღეს სწორედ გურამის დაბადების დღე უნდა გადამეხადა... თუ მშვიდობა იქნა... საღამოს ყველანი მეწვიეთ“.

ასეთ დროს, ასეთ პირობებში არც ერთი ჭკუათმყოფელი მამა ამგვარად ვერ მოიქცევა.

ავტორის ენა ძირითადად გამართულია. მაგრამ აქა-იქ მაინც შეინიშნება უხერხული გამოთქმები, გრძელი, გაუგებარი წინადადებები. აი, მაგალითად: „შატბიამ, მართალია, მყის გაიფიქრა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი იყო — ნიკოს კიდეც რომ ეხილა — მისმა ვაჟმა როგორ სტაცა გველს ხელი და ყორეზე დასთხლიშა, ამ ამბის ხილვას რომ ასე შეეკრთო თავათ გულადი და გულადებისაც ესოდენ მოყვარული“ (გვ. 305). აქ ძნელი გასაგებია, თუ რისი თქმა სურს ავტორს.

მწერალი სურათს ხშირად ტვირთავს ზედმეტი დეტალებით, რაც ღლის მკითხველს. უცნაურია ნაწარმოების მოქმედ პირთა სახელებიც: თამარელა, შატბია, პლანეტა, ბრაჭული, ოდელია, ბასარია და სხვები. საინტერესოა საიდან მოიტანა ისინი ავტორმა.

მიუხედავად ჩვენს მიერ აღნიშნულ ნაკლოვანებებისა, ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“ მაინც საყურადღებო მოვლენაა ქართულ პროზაში. ეს არის პირველი ცდა ქართველ მეშახტეთა ცხოვრების ასახვისა.

# რუსული ხელოვნების როლი ახალი ქართული ხელოვნების განვითარებაში

მამია დუდუჩავა

ახალი ქართული ხელოვნება გასული საუკუნის 80-იან წლებში იწყებს აღორძინებას. ამ მიჯნამდე გასული საუკუნის მხატვრული პლასტიკური კულტურა პორტრეტული ფერწერით იფარგლებოდა. ეს ჟანრიც პირველად მეტად განსაზღვრული მონაცემებით ხასიათდებოდა, ხოლო შემდეგ თანდათან გაძლიერდა, ჩამოყალიბებული ეროვნული სახე მიიღო და დიდად შეუწყო ხელი ქართული რეალისტური, იგივე — ახალი ქართული მხატვრობის განვითარებისათვის ნიადაგის მომზადებას. როგორც ეს პროცესი, ისე თვით ახალი ქართული კლასიკური ხელოვნების განვითარების გზაც, მჭიდროდ იყო დაკავშირებული გასული საუკუნის რუსული ხელოვნების განვითარებასთან, მის პროგრესულ ხასიათსა და რეალისტურ მხატვრულ პრინციპებთან.

ი. ჭავჭავაძე წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალ-ღონეს შეადგენს, და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დაამჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან... თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილია, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისთვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“.

ეს სიტყვები ზუსტად განსაზღვრავენ ახალ ქართულ სახვით ხელოვნებასა და მის ოსტატებზე გასული საუკუნის მოწინავე რუსული სახვითი ხელოვნების კეთილმომქმედი გავლენის ხასიათსაც. რუსულმა რეალისტურმა მხატვრობამ მართლაც მისცა ერთგვარი მიმართულება, შთაგონება, შეიძლება ითქვას გარკვეული იდეურ-ესთეტიკური საზრდოც კი ახალ ქართულ მხატვრობასა და ქანდაკებას. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გასული საუკუნის დასაწყისიდან ყოველი თვალსაჩინო ქართველი ხელოვანი უმაღლეს ან საშუალო სამხატვრო განათლებას რუსეთში იღებდა, რუს მხატვართა უშუალო ხელმძღვანელობით იძენდა მხატვრულ კულტურას, ეუფლებოდა პროფესიულ ოსტატობას და იკაფავდა შემოქმედების გზას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პერედვიჟნიკური მიმდინარეობის, რუსული ხელოვნების ამ უაღრესად პროგრესული და ღრმად ეროვნული ნაკადის, ზეგავლენა 80-90-იან წლებში რუსეთში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდებზე, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ არსებითად ამ მიმდინარეობის ე. წ. „ეროვნული იდეური ხელოვნების“ პრინციპებით და შესანიშნავი შემოქმედებითი პრაქტიკით შთაგონებულნი ემსახურებოდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ მხატვრულ კულტურას. მაგრამ მეორე მხრივ, ყოველივე ეს არ ნიშნავს, თითქოს ეს პრინციპები მათ პირდაპირ გადმოეტანოთ თავიანთ შემოქმედებაში, თითქოს ამიტომ ახალ ქართულ ხელოვნებას არ ჰქონოდეს თავისი ინდივიდუალობა, ეროვნული სახე, განვითარების საკუთარი გზა. პირიქით, ახალი ქართული ხელოვნება აღმოცენებული იყო ჩვენი ხალხის ცხოვრების წიაღში და მის მაჯისცემას გამოხატავდა. სწორედ ამ საფუძვლის, აგრეთვე მთელი ეროვნული მხატვრული კულტურის დიდი ტრადიციების ასპექტში უკუიფინებოდა მის სფეროში რუსული რეალისტური ხელოვნების პროგრესული გავლენა. ამის გამოა რომ იგი გვევლინება, როგორც ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ახალი, ღრმად ეროვნული და დიდი ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობის მქონე საფეხური.

პირველი ქართველი მხატვარი, რომელმაც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო განათლება, იყო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ყმა გრიგოლ მაისურაძე (1814-1885). იგი პეტერბურგის აკადემიაში სწავლობდა 1837-1844 წლებში, დიდი რუსი მხატვრის პროფ. კ. ბრიულოვის სახელოსნოში, ტარას შევჩენკოსთან ერთად, პორტრეტის განხრით. მისი ნაწარმოებები, განსაკუთრებით ნ. აბულაძის პორტრეტი (ზეთი) და ავტოპორტრეტი (აკვარელი), რომლებიც 60-70-იანი წლების ქართული პორტრეტული მხატვრობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ, გარკვევით ავლენენ ამ დროის რუსული მხატვრობის პრინციპთა ღრმად ათვისებას.

1877-1878 და 1881-1882 სამოსწავლო წლებში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა მხატვარი ალექსანდრე ბერიძე (1858-1917). 1881 წელს შეგიდა, ხოლო 1884 წელს დაამთავრა იმავე აკადემიის სრული კურსი რომანოზ გველესიანმა (1859-1884). ა. ბერიძე იტალიაშიც სწავლობდა და მუშაობდა, მაგრამ მის საუკეთესო რეალისტურ ნაწარმოებებში, რომლებიც შექმნილია 90-იან წლებში, უპირველეს ყოვლისა, რუსული ხელოვნების შთაგონებას ავლენს. რ. გველესიანი კი მთლიანად პერედვიჟნიკული მხატვრობის სულით იყო გაჟღენთილი. მისი პორტრეტები, ეტიუდები და ჩანახატები საერთოდ მთელი შემოქმედება, ამ მხატვრობის განსაკუთრებულ სიყვარულს გადმოსცემს. დამახასიათებელია ისიც, რომ ეს უაღრესად ნიჭიერი მხატვარი, რომელსაც არ დასცალდა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობის სათანადო გამოვლენა, აკადემიაში სწავლის პერიოდში სისტემატურად თანამშრომლობდა პეტერბურგის პრესაში, კერძოდ ჟურნალ „Новь“-ში და აგრეთვე ასურათებდა საბავშვო მოთხრობებს.

1865-1888 წლებში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა დიდი რეალისტი მხატვარი, ახალი ქართული ფერწერის ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელი გიგო გაბაშვილი (1862-1936). მან წარმატებით დაამთავრა აკადემიის ბატალური კლასის მხატვრული კურსი, ხოლო შემდეგ იქ ათვისებული პროფესიონალური ოსტატობისა და იდეურ-ესთეტიკური პრინციპების ეროვნულ ნიადაგზე გარდასახვის გზით, შესძლო ქართული მხატვრობა ეპოქის მოწინავე მხატვრული კულტურის დონემდე აემაღლებინა.

1889 წელს მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი დაამთავრა ახალი ქართული ხელოვნების ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა, არა ერთი ღრმად რეალისტური, იდეური და ეროვნული ტილოების ავტორმა ალექსანდრე მრევლიშვილმა (1866-1933).

1892-1899 წლებში ჯერ მოსკოვის სტროგანოვის ტექნიკურ-სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ ოდესის სამხატვრო სკოლაში მეცადინეობდა შესანიშნავი პორტრეტისტი და ახალი ქართული ქანდაკების შემქმნელი იაკობ ნიკოლაძე (1871-1951). რუსეთში მიიღეს განათლება და შემოქმედებითი ნათლობა ყველა იმ მხატვრებმაც, რომლებიც დიდი რევოლუციის წინა პერიოდში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე (ალ. ციმაკურიძე, ვლ. სიდამონ-ერისთავი და სხვ.).

უაღრესად დამახასიათებელია, რომ აქ დასახელებულ ქართველ ხელოვანთა ერთმა ნაწილმა სხვა ქვეყნებშიც გააგრძელეს სწავლა, სახელდობრ, გ. გაბაშვილმა — მიუნხენში, ალ. მრევლიშვილმა და ი. ნიკოლაძემ — პარიზში და სხვ., მაგრამ მათი შემოქმედების ძირითად მოტივს, სულსა და გულს, მაინც ის რეალისტური პრინციპები შეადგენდნენ, რომლებიც ქართული და რუსული ხელოვნების საუკეთესო გავლენით ჩამოყალიბდა მათ შემოქმედებით ევოლუციაში. ამასთან, მათი უმრავლესობა საზღვარგარეთ ყოფნის დროს აშკარად უარყოფდა არა მარტო იქ გაბატონებულ დეკადენტურ ხელოვნებას, არამედ სწავლების იქაურ სისტემებსაც და აღიარებდა რუსული მხატვრული კულტურის აშკარა უპირატესობას. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია გ. გაბაშვილის მიუნხენის პერიოდის პირადი წერილები დ. გურამიშვილისადმი. ამ წერილებში მხატვარი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მიუნხენის აკადემიას არ შეუძლია რაიმე ახალი მისცეს მას, რომ იქ არ არსებობს არავითარი პირობები ნატურის შესწავლისათვის, არასწორად არის დაყენებული ხატვის სწავლება და სხვ. აგრეთვე იგი მიუთითებს ამ დროის გერმანულ ხელოვნებაში გაბატონებულ „ჩლუნგ მოდერნს“ და დასძენს: „გერმანული ხელოვნება ისე დაქვეითებულია „რომ ეს მე არ შემეძლო წარმომედგინაო“. ამავე დროს, მიუნხენის 1895 წლის საერთაშორისო გამოფენაზე ი. რეპინის სურათის „ზაპოროჟიელების“ ოქროს დიდი მედლით დაჯილდოების გამო იგი აღფრთოვანებული წერდა: „სრული გამარჯვება გამოფენაზე, — როგორც მე ამას წინასწარ, ჯერ კიდევ გამოფენის გახსნამდე ვამბობდი, — მოიპოვა რეპინმა, რუსმა მხატვარმა“. თვით ი. რეპინს კი გაბაშვილმა ამავე ფაქტთან დაკავშირებით მილოცვის წერილი გაუგზავნა, თუმცა ამ დროს პირადად არ იცნობდა მას. (სამწუხაროდ ეს წერილი დაკარგულია. ი. რეპინის საპასუხო წერილი კი, რომელსაც სიკვდილამდის დიდი სიყვარულით ინახავდა დიდი ქართველი მხატვარი, ამჟამად დაცულია საქ. ხელოვნების სახ. მუზეუმში).

ი. რეპინის ეს წერილი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა დიდად უყვარდა გ. გაბაშვილს გენიალური რუსი მხატვარი და ამასთან რამდენად კარგად იცნობდა იგი ამ მხატვრის შემოქმედებასაც. ეს სავსებით გასაგებიცაა, რადგან ი. რეპინი, როგორც რუსული რეალისტური მხატვრობის მწვერვალი და სიდიადე, გ. გაბაშვილის თუმცა არაოფიციალური, მაგრამ მაინც ნამდვილი მასწავლებელი იყო ჯერ კიდევ პეტერბურგის აკადემიაში სწავლის პერიოდში. ამიტომაა, რომ გ. გაბაშვილი თავისი შემოქმედებით არც ერთ რუს მხატვართან, მათ შორის ცხადია არც თავის ოფიციალურ მასწავლებელთან პროფ. ვილევალდესთან არ დგას ისე ახლოს, როგორც ი. რეპინთან. მართალია გ. გაბაშვილის ტილოებზე ი. რეპინის შემოქმედების არც ერთი მომენტი არ არის გადმოტანილი პირდაპირ, მაგრამ აქ მითითებული ურთიერთობა ი. რეპინისა და გაბაშვილის შემოქმედებებს შორის მაინც გარკვევით იგრძნობა, რაც უმთავრესად ემყარება რეალისტური ფერწერითი წარმოსახვის, კოლორიტის სიძლიერის, ამ უკანასკნელის ტექნიკური შესრულების საერთო ხასიათისა და შინაგანი მხატვრული ჟღერადობის დაახლოებით მსგავსებას.

მეტად უარყოფითად აფასებდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ მხატვრულ ცხოვრებას ალ. მრევლიშვილიც. იგი პარიზში სწავლის პერიოდში რეალისტური პრინციპების ერთგული დარჩა ბოლომდე. დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ მხატვარმა პარიზში შექმნა თავისი ცნობილი სურათის „დაბალი ღობეს“ ესკიზი (1900 წ.) აქვე დასწერა მან სურათიც „სოფლის კანცელარიის წინ“ (1899 წ.).

საერთოდ, ახალი ქართული ხელოვნების მთელი გზა, გარდა მეტად განსაზღვრული გამონაკლისისა, მკვეთრად გამოხატავს ეროვნულ ასპექტში ათვისებულ იმ პრინციპთა კეთილმომქმედ გავლენას, რომლებიც საფუძვლად ედო გასული საუკუნის მოწინავე რუსული ხელოვნების განვითარებას. თუ ამას დავუმატებთ იმ დიდ როლს, რაც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ და რუსეთის სხვა სამხატვრო სასწავლებლებმა შეასრულეს ახალი ქართული ხელოვნების მოღვაწეთა სათანადოდ დახელოვნებისათვის, მაშინ ნათელი იქნება თუ რა დიდი როლი შეასრულა გასული საუკუნის რუსულმა მხატვრულმა კულტურამ ახალი ქართული ხელოვნების განვითარების საქმეში.

ახალი ქართული სახვითი ხელოვნების ფორმირებისა და განვითარებისათვის თუმცა არა არსებითი, მაგრამ მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა რუსული სახვითი ხელოვნების ცნობილი ოსტატების მოღვაწეობას საქართველოში. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო გაგარინი, რომლის სახელთან დაკავშირებულია არა მარტო ქართული თემატიკის ამსახველი ნაწარმოებების, სახელდობრ ცნობილი „ქართველი ქალების“ სერიის შექმნა და სხვა, არამედ ახალი ქართული თეატრის პირველი წარმოდგენების გაფორმებაც: მისი დეკორაციებით დაიდგა 1950 წლის 2 იანვარს გ. ერისთავის „გაყრა“, ხოლო იმავე წლის 3 მაისს ამავე ავტორის „დავა“. გაგარინის მიერ იყო გაფორმებული ახლად აგებული თეატრიც.

1864-1865 წლებში თბილისის ერთ-ერთ სასწავლებელში ხატვას ასწავლიდა ცნობილი ბატალისტი ვ. ვ. ვერეშჩაგინი. 80-იან წლებში კი საქართველოში მოგზაურობენ ა. ლანსერი (მოქანდაკე), კ. ვ. მაკოვსკი, ი. რეპინი, ნ. სამოკიში, რუბო და სხვები. მათი უმრავლესობა, (თითქმის ყველა, გარდა რეპინისა), საკმაოდ ხანგრძლივად მუშაობდნენ თბილისში.

ბუნებრივია, რომ დასახელებული მხატვრები, თავიანთი უშუალო დამოკიდებულებით ჩვენს ქვეყანასთან, ხელს უწყობდნენ სახვითი ხელოვნების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერებას, რითაც გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ქართული მხატვრული კულტურის განვითარებაზედაც.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში თანდათან იზრდებოდა მუდმივად მცხოვრები ე. წ. „მოსული მხატვრების“ რიცხვიც, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსები იყვნენ. მათმა ნოღვაწეობამ აქ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ 1873 წელს „სამხატვრო საზოგადოებაც“ კი იქნა დაარსებული, რომელიც 1876 წელს სამუსიკო საზოგადოებას შეუერთდა საერთო სახელწოდებით „Общество поощрения изящных искусств“. 1874 წელს საზოგადოების მიერ დაარსებული იქნა ხატვის სკოლაც, რომლის მიმართ იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მსურველთა საგრძნობი ნაწილისათვის უარი ეთქვა სკოლაში მიღებაზე. ხატვისა, ფერწერისა და ქანდაკების კერძო სკოლები ჰქონდათ დაარსებული საზოგადოების წევრებსაც. აგრეთვე 1883 წლიდან 1893 წლამდე ხატვისა და ფერწერის კერძო სკოლა ჰქონდა გახსნილი თბილისში კ. კეპენს. დასასრულ, როგორც თბილისში მუდმივად მცხოვრები, ისე დროებით ჩამოსული მხატვრები მართავდნენ ე. წ. „ნატურის საღამოებს“ (იკრიბებოდნენ ერთად და ხატავდნენ ნატურიდან). მართალია ეს საღამოები 1882-1883 წლებში დავიწყებული იქნა, მაგრამ 1885 წელს კვლავ განახლდა იგი პროფ. კ. მაკოვსკის ინიციატივით. ყველაფერი ეს წარმოადგენდა საქართველოში მხატვართა საზოგადოების დაარსებისა და სპეციალური სამხატვრო განათლების დამკვიდრების პირველ ცდას, რასაც საზოგადოების წევრთა შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ობიექტურად უდაოდ ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა ახალი ქართული ხელოვნების განვითარებისათვის. მაგრამ ყველაფერი ეს, ცხადია, მაინც მეტად განსაზღვრულ ხასიათს ატარებდა და ეროვნულ ნიადაგსაც მოწყვეტილი იყო. განსაკუთრებით ეს ითქმის სამხატვრო სკოლის შესახებ, რასაც კარგად გრძნობდნენ რუსული ხელოვნების ის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც საერთოდ დიდი ყურადღებით ექცეოდნენ ქართუ-

(დასასრული მე-11 გვ.)



ე. ზვერკოვი    საბავშვო გადაცემა.



ს. ეპშტეინი
მხატვარ მ. პლატუნოვის პორტრეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კ. მახარაძე
სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში.

# ახალგაზრდა მხატვრების ნაკადი

თბილისის სამხატვრო გალერეაში 15 ივლისიდან 20 აგვისტომდე მოწყობილი იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების 1953 წლის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების მოძრავი გამოფენის ექსპოზიცია.

ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მოსკოვის, ლენინგრადის, ბალტიისპირა ქვეყნების, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ახალგაზრდა მხატვრების სადიპლომო ნამუშევრები: ფერწერული სურათები, გრაფიკული ნაწარმოებები და ქანდაკებები.

ეს გამოფენა მოწმობს, რომ საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატთა რიგებს კიდევ მრავალი ახალი ოსტატი შეემატა. კერძოდ, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა: კ. მახარაძის, გ. ოჩიაურის, დ. ხახუტაშვილის, გ. თოთიბაძისა და რ. ცუცქირიძის სახით საქართველოს მხატვართა საზოგადოებას შეემატა საიმედო ძალა. გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევართა შორის გამოირჩევა გ. პესისის სურათი „პეტრე I პეტროგრადის მშენებლობაზე“, ს. ეპშტეინის „პიანისტ ვასილევისა“ და „მხატვარ პლასტუნოვის“ პორტრეტები, კ. მახარაძის მონუმენტური ტილო „სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში“, გრაფიკული ნაწარმოებებიდან — ე. უსპენსკაიას ილუსტრაციები პუშკინის პოემის „რუსლან და ლიუდმილას“ მიხედვით.

გ. პესისის სურათი „პეტრე I პეტროგრადის მშენებლობაზე“ მოწმობს, რომ ახალგაზრდა მხატვარი უდაოდ ფაქიზი კოლორიტული გრძნობით არის დაჯილდოებული, რომ ის მომწიფებულია ისტორიულ თემებზე მაღალმხატვრულ ტილოთა შესაქმნელად.

პესისმა კარგად ასახა ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა მშრომელი ხალხი. ამ სურათის ნახვისთანავე უნებლიეთ გაგონდებათ ნეკრასოვის ლექსის „რკინიგზის“ სტროფები, სადაც პოეტი აღწერს რკინიგზის მშენებელთა შრომის მძიმე პირობებს. სურათში ყველა პერსონაჟი ღრმადაა გააზრებული. ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს უკანა პლანზე მოცემული ილუსტრაციული ფიგურები. სხვამხრივ სურათი ამართლებს იმ შეფასებას, რომელიც მან მიიღო.

პორტრეტული ჟანრი, სამწუხაროდ, მარტო ს. ეპშტეინის ორი პორტრეტით არის წარმოდგენილი. ეს პორტრეტები საუკეთესო ნამუშევრებია ამ გამოფენაზე.

გამოფენის ცენტრალური ადგილი დამსახურებულად უჭირავს თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის კ. მახარაძის სურათს — „სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში“. მონუმენტურ ტილოზე მოცემულია უფსკრულთან მიმდგარი ჯარი, მხედართმთავარ სუვოროვის და ბაგრატიონის ხანმოკლე თათბირი და ჯარი დაიძვრის უფსკრულის გადასალახავად. სურათი კარგად ასახავს ამ დაძაბულ მომენტს. ფართო წერის მანერა, კოლორიტის სისადავე, თოვლისა და კლდეების ოსტატური დამუშავება მოწმობს იმას, რომ მახარაძე — საკმაოდ მომწიფებული ოსტატია. მას შეუძლია საინტერესო ტილოების შექმნა.

გამოფენაზე ბევრია სუსტი ნამუშევარიც, უმრავლეს მათგანს ახასიათებს თემის ზერელე გააზრება, არასრულყოფილი ოსტატობა, ხატვის უცოდინარობა.

არის ნამუშევრები, რომლებიც თითქმის ზუსტად იმეორებენ სხვა მხატვართა წინა წლების ნამუშევრებს. მაგალითად, რიგელი მხატვრის ნ. არტამონოვის სურათი — „1917 წელი“ მხატვარ შჩერბაკოვის „დამთავრდა თქვენი დრო“-ს განმეორებაა. კიდევ შეიძლება სხვა ასეთი მაგალითის მოყვანა.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევი გახდა მხატვრების უმეტესი ნაწილის გატაცება საყოფაცხოვრებო ჟანრით, რამაც ბევრი კარგი შედეგი გამოიღო. საერთოდ ამ გამოფენაზე საყოფაცხოვრებო თემაზე შესრულებული სურათების უმეტესობა თემას გადმოცემს თხრობითი ხერხების საშუალებით.

თხრობა სურათში ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტთაგანია, მაგრამ გადაჭარბებული თხრობა ისეთივე მტერია სურათისა, როგორც სხვა უკიდურესობანი.

ქანდაკება 1953 წლის გამოშვების გამოფენაზე სუსტი ნამუშევრებით არის წარმოდგენილი.

გრაფიკის განყოფილებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოირჩევა მხატვარ უსპენსკაიას მიერ შესრულებული ა. ს. პუშკინის „რუსლან და ლიუდმილას“ ილუსტრაციები. მომხიბლავია მათი შესრულების ლაკონიური ტექნიკა და ორიგინალური კომპოზიციური გადაწყვეტა.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებებისა, ეს გამოფენა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში.

ალ. საქარელი



მ. უსპენსკაია
ა. პუშკინის პოემის „რუსლან და ლიუდმილას“ ილუსტრაცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. პლასტოვი

საღამო მინდვრად.



# ნიკოლოზ წერეთელი

ოთარ გვინჩიძე

1724 წელს, საქართველოს მეფე ვახტანგ VI იძულებული შეიქნა დაეტოვებინა საქართველო და თავი რუსეთისთვის შეეფარებინა.

მოსკოვში ვახტანგ VI თავისი დიდი ამალით პრესნაზე სახლდება. იქ „მას ებოძა სასახლე და 10.000 მან. სასახლის მოსაწყობად და დანარჩენ ქართველთათვის ბინების ასაგებად". ქართველთა დასახლების შემდეგ პრესნაზე დაარსებულია ე. წ. „Грузинские слободы", რასაც ადასტურებს მოსკოვში დღევანდლამდე შემონახული ქუჩების სახელწოდებანი: „Большая и Малая Грузинские улицы".

ვახტანგ VI ამალის წევრთა სია დაცულია ეგრეთ წოდებულ „ვახტანგის დიდ ნუსხაში", რომელიც 1724 წლის 10 ნოემბერს ქართველ გენერალ ამილახვარს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაუგზავნია. ამ „ნუსხაში" სხვათა გვერდით მოხსენებულია „იმერეთის თავადი დავით წერეთელი".

ქართველ ემიგრანტთა პირველი ნაკადის შემდეგ, რომელიც 1724 წ. ვახტანგს რუსეთში გადაჰყვა, ქართველები მომდევნო წლებშიც მიეშურებოდნენ მოსკოვს საცხოვრებლად, რასაც მთელი რიგი ფაქტები ადასტურებენ. მაგალითად: 1740 წლის 10 თებერვალს საქართველოს დედოფალი რუსუდანი თხოვნით მიმართავს რუსეთის დედოფალს ანა ივანეს-ასულს, რათა მან ჩარიცხოს რუსეთის სამსახურში „1739 წ. საქართველოდან რუსეთს გამომგზავრებული თავადები, აზნაურები და მოხელეები" ისევე, როგორც 1724 წელს საქართველოდან მოსკოვს ჩასული ქართველები, და აგრეთვე უბოძოს „ახლად ჩამოსულ თავადებსა და აზნაურებს უკრაინაში კომლების აღნიშნული რაოდენობა".

1739 წელს რუსეთში ქართველების გამგზავრება შეიძლება ნაწილობრივ იმითაც აიხსნას, რომ მოსკოვს მცხოვრებმა ქართველებმა ჯერ კიდევ 1738 წელს აღძრეს შუამდგომლობა რუსეთის მთავრობის წინაშე, რომელშიც ითხოვდნენ: „ნება დაგვრთეთ ჩვენს სამშობლოში, საქართველოში გავემგზავროთ ცოლ-შვილისა და უახლოესი ნათესავების რუსეთში გადმოსაყვანად, და რუსეთის სამსახურში განსაწესებლად". უნდა ვიფიქროთ, რომ ანალოგიურ შემთხვევას დავით წერეთლის ოჯახშიც ექნებოდა ადგილი. სახელდობრ, დავით წერეთელი მიემგზავრება საქართველოში და იქიდან მოსკოვს ჩამოჰყავს თავისი ბიძაშვილი, ავთანდილ წერეთელი, რომელიც რუსეთში რუსუდან დედოფლის კარზე 1739 წლიდან იხსენიება.

დავით და ავთანდილ წერეთლებმა რუსეთის მთავრობისაგან თვითეულმა 30 კომლი მიიღო, რაც გამოეყოთ მათ უკრაინაში მირგოროდის პოლკის ხოროლის ასეულის დაბა ხოროლში.

„იმერეთის თავადებს, აპშერონის ქვეითი პოლკის კაპიტანს დავით დავითის-ძეს და მის ბიძაშვილს ავთანდილ წერეთლებს, — ნათქვამია ერთ-ერთ დოკუმენტში, — ისევე, როგორც საქართველოდან გადმოსულ და მისი იმპერატორობის უდიდებულესობის მუდმივ სამსახურში ჩამდგარ სხვა ქართველ თავადებსა და აზნაურებს მალოროსიაში გამოეყოთ კომლები... ასევე მათვე, დავითსა და ავთანდილ წერეთლებს, ქართველთათვის განკუთვნილ კომლებიდან 1742 წელს სექტემბრის თვეში მირგოროდის პოლკის დაბა ხოროლის კომისიამ საკუთარ მფლობელობაში თითოეულს 30 კომლი გამოუყო".

უკრაინაში დასახლებული ქართველები ცდილობდნენ ახალ სამშობლოში ურთიერთშორის მჭიდრო და მეგობრული კავშირი შეენარჩუნებინათ. მათ ხშირი მიმოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში. ცხოვრობდნენ საერთო ინტერესებით, არ ივიწყებდნენ მშობლიურ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას. მირგოროდში დამკვიდრებული დავით გურამიშვილი ხშირი სტუმარი ყოფილა წერეთლების ოჯახის. „მეზობელ დაბა ხოროლში, — წერს უკრაინელი მწერალი დმიტრო კოსარიკი, — გურამიშვილს ყოველთვის შეეძლო ბაასით გული ეჯერებინა წერეთლების ოჯახში. ამ ოჯახში ყოველთვის ისმოდა საუბარი ლიტერატურაზე, ხალხურ სიტყვიერებაზე, აქ მუდამ ჟღერდა ქართული და უკრაინული სიმღერები".

დავით წერეთლის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც მემკვიდრეები არ დარჩენია, მისი ხოროლის მამული ავთანდილ წერეთლის მფლობელობაში გადადის. „ამრიგად, — წერს მკვლევარი ალექსანდრე ბუხე, — ავთანდილ წერეთელი გვევლინება ქართველ თავად წერეთლების გვარის რუსულ-მალოროსიულ განშტოების შთამომავალთა წინაპრად. რუსულ თარგმანში, — ვკითხულობთ იქვე, — გვარი წერეთელი გამოითქმის როგორც „ცერეტელევ", რაც, თავისთავად ცხადია, „წერეთელის" გვარის დამახინჯებაა".

შემდეგში დაბა ხოროლის ადგილ-მამული გლეხებითურთ მემკვიდრეობით გადადის ავთანდილ წერეთლის შთამომავლების — მისი შვილის კორნეტ ანდრია წერეთლისა და შვილიშვილის, ცნობილი ფოლკლორისტის, ნიკოლოზ ანდრიას-ძე წერეთლის ხელში.

ნიკოლოზ ანდრიას-ძე წერეთელი დაიბადა 1790 წელს დაბა ხოროლში. პირველდაწყებითი განათლების შემდეგ, რომელიც მან ოჯახში მიიღო, ნიკოლოზ წერეთელი ჩერნიგოვში ეწყობა სამუშაოდ. მაგრამ მალე თავს ანებებს სამსახურს და 1810 წელს შედის მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც ამთავრებს სიტყვიერების ფაკულტეტს. 1823 წელს მას ნიშნავენ ჯერ ტამბოვის, ხოლო შემდეგ პოლტავის გუბერნიის სასწავლებლების დირექტორად, 1838 წლიდან კი მუშაობს ხარკოვის სასწავლო ოკრუგის მზრუნველის თანაშემწედ, და უნიათო მზრუნველის დოლგორუკის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ნ. წერეთლის მზრუნველობის პერიოდს ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები იგონებენ, როგორც ყველაზე ბედნიერ და დაუვიწყარ ხანას მათს ცხოვრებაში, თვით წერეთელს კი, როგორც ნიჭიერ მოღვაწეს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შრომასა და მეცნიერებას შესწირა.

ამ თანამდებობაზე ნიკოლოზ წერეთელი 1859 წლის 28 მარტამდე რჩება. ამის შემდეგ მას სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს წევრად ნიშნავენ, ხოლო 1861 წელს იგი თავს ანებებს სამსახურს. თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებს წერეთელი მოსკოვში ატარებს, სადაც დაუცხრომლად თანამშრომლობს „მოსკოვის სიტყვიერების საზოგადოებაში", რომელსაც უანდერძა მთელი თავისი ხელნაწერი შრომები და მასალები. გარდაიცვალა ნიკოლოზ წერეთელი 1869 წლის 8 სექტემბერს მორშანსკში, მოსკოვს გზად მიმავალი. გარდაცვალების შემდეგ მას საკმაოდ დიდი რაოდენობის გარკვეული მნიშვნელობის პოეტური და მეცნიერული ნაშრომები დარჩა.

„წერეთლის სახელი, — წერს ვ. ვოინოვი, — მარად ღირსსახსოვარია, ვინაიდან იგი გვევლინება მალოროსიული ხალხური პოეზიის ძეგლთა პირველ შემკრებად. იგი ერთი პირველთაგანია რუს ლიტერატორთა შორის, ვინც ხალხური პოეზიის მნიშვნელობას ღრმად ჩასწვდა და მისი შესწავლისადმი ინტერესი გაგვიღვიძა".

ნიკოლოზ წერეთელი სიცოცხლით სავსე, ნიჭიერი ადამიანი იყო, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დაეწაფა უკრაინული სიტყვიერების შესწავლას. მეფანდურეთა სიმღერებმა, უკრაინის მატიანემ და სხვა ისტორიულმა ძეგლებმა წარუშლელი კვალი დასტოვეს ახალგაზრდა წერეთელზე და ღრმა ინტერესი გაუღვიძეს მას უკრაინის ისტორიულ და პოეტურ სიძველეთა შესწავლისადმი, კერძოდ, დუმებისადმი, — უკრაინელი ხალხის ამ ეპიკური პოეზიისადმი.

დუმა — ეს უკრაინელი ხალხის ისტორიაა, თვით ხალხის მიერ ნაამბობი.

საუკუნეთა მანძილზე უკრაინელი ხალხის ცნობიერებაში ღრმად იყო აღბეჭდილი მის მიერ გადატანილი ჭირი თუ ლხინი, რასაც დუმებში ამეტყველებულს იგი თაობიდან თაობას გადასცემდა. შესაძლებელია დუმებმა ვერ დაიცვეს სიზუსტე ქრონოლოგიაში, ტერმინებში, შეიძლება მათში ფაქტიურ შეცდომებსაც ჰქონდეს ადგილი, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ გალექსილი თქმულებების ფიქსირება კი არ ხდებოდა, არამედ ისინი ცალკეულ ადამიანთა, მეფანდურეთა მეხსიერებაში ინახებოდა და ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მაგრამ საქმის ვითარება დუმებში მუდამ სწორადაა წარმოდგენილი და ეს არც შეიძლება სხვაგვარად იყოს, ვინაიდან ხალხი ისტორიის უბრალო მჭვრეტელი კი არა, მისი აქტიური შემოქმედი იყო, რომელიც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას ისტორიულ ძვრებში.

დუმებში ასახულია კაზაკების თავგანწირული ბრძოლა თურქებსა და თათრებთან, რომელნიც ულმობლად აოხრებდნენ უკრაინის მიწა-წყალს და გმირული ბრძოლა უკრაინელი ხალხისა, რომელიც აღსდგა ბოგდან ხმელნიცკის მეთაურობით შლიახტური პოლონეთის წინააღმდეგ, ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. დუმებში ასახულია „ხალხის უბედურებისა, ხოლო შემდეგ კი დიდებისა და თავისუფლების ხანა „აღგზნებული ხმელნიცკის მიერ", — როგორც წერდა ნ. წერეთელი.

XIX საუკუნის ლიტერატურაში უკრაინელი დუმების მხატვრული გავლენა, პირადი აღიარებით, განუცდია თვით დიდ პუშკინს. როდესაც პუშკინი თავის უკვდავ „პოლტავაში" მარიას სახეს ჰქმნიდა, მას შთააგონებდა უკრაინელ დუმებში ასახულ ქალთა ტიპების სინაზე და სულიერი სილამაზე. გოგოლი პათეტიკურად წერდა, რომ „სიმღერა მალოროსიისთვის ყველაფერია — პოეზიაც, ისტორიაც და თვით მამა-პაპათა სამარეც". უკრაინელი ხალხისათვის დუმების უდიდეს მნიშვნელობას ხაზს უსვამდა დობროლიუბოვიც. შევჩენკოს „კობზარისადმი" მიძღვნილ სტატიაში იგი წერდა: „ცნობილია, რომ სიმღერაში გადმოშლილია მთელი წარსული და აწმყო უკრაინისა; უკრაინაში სიმღერა და დუმა ხალხისთვის წმიდათა-წმიდაა და ცხოვრების საუკეთესო მონაპოვარს წარმოადგენს. ცხოვრების მთელი საარსებო ინტერესები სიმღერაშია თავმოყრილი, შერწყმულია მასთან და უიმისოდ თვით ცხოვრებაც შეუძლებელი ხდება".

კობზარული ეპოსის სწორედ ამ დიადი წიგნის ფურცლების შეგროვებისა და შესწავლის საქმეს მოჰკიდა ხელი ნიკოლოზ წერეთელმა.

ნიკოლოზ წერეთელი „პირველი ეთნოგრაფია, —

---

ლი კულტურის ბედს. დამახასიათებელია ამ მხრივ ი. რეპინის წერილი: „საჭიროა თუ არა ხელოვნების სკოლა თბილისში", რომელიც 1897 წელს დაიბეჭდა გაზ. „Кавказ"-ის 9 და 10 იანვრის ნომრებში. ამ წერილში გენიალური რუსი მხატვარი ასაბუთებს თბილისში ნამდვილი აკადემიური სამხატვრო სკოლის დაარსების აუცილებლობას, რის გამო იგი შემდეგ გარემოებასაც მიუთითებს: „ჩემს თვალწინ გაიელვა მრავალმა ლამაზმა, გრაციოზულმა ფიგურამ, ფერმკრთალი სახით, მოხდენილი პროფილით, გენიის ღრმა მელანქოლიით აღბეჭდილი შავი წარმტაცი თვალებით და ფანტასტიკური სამშობლოს — კავკასიის მოგონებით გამოწვეული მწუხარებით.

რამდენი მათგანი დაჭკნა აქ და გამოესალმა სიცოცხლეს ჭლექისაგან. ამ ქვეყნის მხატვრული ძალები გაფურჩქვნის მოუსწრებლად იღუპებოდნენ სრულიად უმნიშვნელო კლიმატიური მიზეზების გამო...

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავისი ხასიათით ასეთი გასაოცარი ქვეყანა არ ბადებდეს მხატვრულ ძალებს. მე მწამს, რომ კავკასიის მხატვრული ხანა წინ არის. ეს შესანიშნავი და მშვენიერი ქვეყანა მოგვცემს მხატვრებს, რომლებიც ღირსეულად ასახავენ მას ხელოვნებაში".

რეპინი თავის სტატიაში საზღვრავს იმ სკოლის ძირითად პრინციპებს, რომლის დაარსებასაც იგი მოითხოვდა თბილისში. კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ ეს სკოლა უნდა ემყარებოდეს რეალისტურ მეთოდს, ნატურის ღრმად შესწავლასა და ნაციონალურ საფუძველს; მისი დასკვნით, ეს უნდა იყოს იმ ტიპის სკოლა, „როგორი სკოლა-სტუდიებიც არსებობდნენ იტალიაში, მხატვრობის აყვავების დროს".

„თბილისში აუცილებელია შეიქმნას სამხატვრო ოაზისი", — წერდა ი. რეპინი. ეს იყო გენიალური რუსი მხატვრის გულწრფელი ზრუნვა ქართული, საერთოდ ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების განვითარების მიმართ, რამაც სხვათა შორის გარკვეული ნაყოფი გამოიღო რამდენიმე წლის შემდეგ. სახელდობრ, 1901 წელს თბილისში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის მიერ დაარსებული იქნა სამხატვრო სასწავლებელი, ხატვის, ფერწერისა და არქიტექტურის განყოფილებებით. (მას უშუალოდ აკადემია ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის ამ სკოლაში სწავლობდა ან. გოგიაშვილიც). მაგრამ იმ ბრძოლის შედეგად, რომელსაც სასწავლებლის დირექტორის რეაქციონერ კანდაუროვის წინააღმდეგ აწარმოებდნენ რევოლუციონერი და რევოლუციურად განწყობილი მასწავლებლები და მოსწავლეები, სასწავლებელი დახურული იქნა მთავრობის განკარგულებით 1906 წელს. ამის შემდეგ თბილისში, მხოლოდ „წამახალისებელი საზოგადოების" სამხატვრო სკოლა დარჩა, რომელიც ამ დროისათვის შედარებით გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იდგა და გარკვეულ ეროვნულ ხასიათსაც ატარებდა, ვიდრე ცხრაასიან წლებამდე.

ძირითადად აქ აღნიშნული მომენტებით ისაზღვრება ის დიდი პროგრესული როლი, რომელიც გასული საუკუნის მოწინავე რუსულმა ხელოვნებამ შეასრულა ახალი ქართული ხელოვნების ფორმირებასა და განვითარებაში. ბუნებრივია, რომ ეს მოვლენა ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს შეადგენს იმ მჭიდრო ურთიერთობისა, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ ხალხს აკავშირებდა დიდი რუსი ხალხის (პროგრესული რუსეთის) ცხოვრებასა, იდეებსა და მხატვრულ კულტურასთან. როგორც ცნობილია, ამ ურთიერთობის მეტად დიდი დადებითი მნიშვნელობა გამოვლინდა იმ ბრძოლებშიაც, რომელსაც ქართველი ხალხი, თავისი საუკეთესო შვილების ხელმძღვანელობით, რუსეთის მოწინავე ადამიანებთან ერთად აწარმოებდა მეფის რუსეთის კოლონიალურ-გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ.

წერდა ცნობილი რუსი ლიტერატორი ა. პიპინი, — რომელიც შეუდგა ხალხური მალოროსიული პოეზიის შესწავლას და შეჩერდა ამ პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე მეტად საინტერესო ნაწილზე — ისტორიულ დუმებზე“.

1815 წელს 60 წლის ბრმა მეფანდურე, რომელსაც ძველი „რაპსოდების“ მსგავსად დავლილი ჰქონდა პოლტავის გუბერნიის ქალაქები და სოფლები, ხვდება 25 წლის ნიკოლოზ წერეთელს. ახალგაზრდა წერეთელმა დიდი გულისყურით მოუსმინა მას და მის მიერ ნამღერი დუმები „ყველაფერი, რაც კი მოხუცმა იცოდა“ სიტყვა-სიტყვით ჩაიწერა. „უძველესი მალოროსიული დუმები პირველად იქნა ჩაწერილი რუსეთისთვის“ — წერდა ამის შესახებ ჟურნალი „ვესტნიკ ევროპი“. შემდეგში ნიკოლოზ წერეთლის სტატიები ძველ უკრაინულ შემოქმედებაზე, გრამატიკასა და სიტყვიერებაზე პერიოდულად ქვეყნდებოდა „სინ ოტეჩესტვაში“ და სხვა ჟურნალებში. იმ დროისათვის, როდესაც ხალხური პოეზიის წყაროები ნაკლებად იყო შესწავლილი და მკვლევართა რიცხვიც ძალზე მცირე იყო, წერეთლის სტატიები უდაოდ გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობის ნარკვევებს წარმოადგენდნენ, რომელთაც სათანადო წვლილი შეიტანეს უკრაინის ზეპირსიტყვაობისა და ეთნოგრაფიის ისტორიაში.

1819 წელს პეტერბურგში გამოდის წერეთლის წიგნი სათაურით „ძველი მალოროსიული სიმღერების შეკრების ცდა“. ჟურნალი „ვესტნიკ ევროპი“, აღნიშნავდა რა ამ წიგნის გამოსვლის მნიშვნელობას, წერდა: „თავადი წერეთელი ამ წიგნით პირველი ჰკიდებს ხელს რუსული და მალოროსიული ლიტერატურისათვის აქამდე უცხო საქმეს...“ წერეთლის წიგნში მოთავსებული იყო ათი დუმის და ეპიკური სიმღერის ტექსტები ავტორის წინასიტყვაობით, კომენტარებით და უკრაინული სიტყვების განმარტებით. ნ. წერეთლის კრებულმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია ლიტერატურულ წრეებში და დიდი ნაყოფი გამოიღო დუმების შემდგომი, მეცნიერული თვალსაზრისით უფრო საფუძვლიანი ეთნოგრაფიულ-ლიტერატურული შესწავლისათვის.

ზეპირსიტყვიერების ძეგლთა შეკრებისა და გამოცემისაგან ნ. წერეთელი მოელოდა არა მარტო ლიტერატურული რომანტიზმის წარმატებებს, რომლის პოზიციებიდანაც იგი აშუქებდა უკრაინული ფოლკლორის შესწავლის საკითხს, არამედ ხალხის ყოფა-ცხოვრების მოვლენათა მკაფიო ასახვასაც, ხალხის საკუთარი სვებედითა და ზნე-ჩვეულებებით: „არ შემიძლია ამ თვალსაზრისით შევაფასო ჩემს მიერ შეკრებილი სიმღერები, — წერდა იგი, — მაგრამ, თუ ამ ლექსებს ვერ ძალუძთ გაგვაცნონ მალოროსიის ისტორია, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ მაინც უდაოა: მათში მოჩანს ხალხის პოეტური გენია, მისი სული, ადათი აღწერილი დროისა“.

რუსეთში კლასიციზმისა და რომანტიზმის მომხრეთა შორის მწვავე ბრძოლისას, როცა თავადაზნაურული კლასიკური ლიტერატურა გვერდს უვლიდა ზეპირსიტყვიერების პოეზიას, ქედმაღლურად დაჰყურებდა მას, როგორც „მდაბიოთა“ ქმნილებას, როცა დასავლეთის კულტურის ზოგიერთი თაყვანისმცემელი ხმამაღლა გაჰყვიროდა, რომ „რუს ხალხს არ გააჩნია არც წარმტაცი მოგონებანი, არც ნატიფი სახეები და არც სიბრძნე თავის თქმულებებშიო“, ნ. წერეთლის მხრივ დიდი გაბედული ნაბიჯი იყო უკვე ისიც, რომ მან უკრაინული დუმები ეპიკურ პოემის ჟანრს მიაკუთვნა, რომლის სწორუპოვარ შემოქმედად აღიარებულია ჰომეროსი, „როცა ძველ მალოროსიულ სიმღერებს ვკრებდი, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერ აღმოვაჩენდი მეორე „ილიადას“, მაგრამ ამავე დროს ოდნავადაც არ მეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ეს სიმღერები, რომლებიც ასე დიდხანს შემოინახა ხალხურმა თქმულებებმა, გახდებიან ბევრის ყურადღების საგანი. განა მარტო ბერძენი და რომაელი ხედავდა და გრძნობდა?“—წერდა ნ. წერეთელი თავის წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც მიძღვნილი იყო ამ „მარტივი, ძლიერი, ხალხის აზრისა და გრძნობის შემცველი პოეზიისადმი“.

ხალხური ზეპირსიტყვაობის ასეთმა ნათელმა და სახოვანმა შეფასებამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება იმ ლიტერატურული წრეებისა, რომლებსაც შემდეგში უახლოვდება ნ. წერეთელი.

პირადი ურთიერთობა რუსეთის ლიტერატურის გამოჩენილ წარმომადგენლებთან — დერჟავინთან, დიმიტრიევთან, შიშკოვთან, გლინკასთან, ბესტუჟევთან, რილეევთან, აგრეთვე ახლო ნაცნობობა ჟუკოვსკისთან, ვიაზემსკისთან ნათლად ახასიათებს წერეთლის ლიტერატურულ მიდრეკილების ნამდვილ არსს.

წერეთლის ჟუკოვსკისთან ახლო ურთიერთობას მოწმობს ვიაზემსკის მიერ 1818 წ. 15 ნოემბერს ტურგენევისადმი ვარშავიდან გამოგზავნილი წერილი, რომელშიც ვიაზემსკი ეხება „სინ ოტეჩესტვაში“, „ბლაგონამერენში“ და სხვა ჟურნალებში დაბეჭდილ ნიკოლოზ წერეთლის ლირიკული ლექსების ენას და აღნიშნავს, რომ ამ ლექსებს ეტყობოდა ჟუკოვსკის შემოქმედების დიდი გავლენის კვალი. აქვე ვიაზემსკი წერს ჟუკოვსკისა და წერეთლის ახლო ურთიერთობაზე, საიდანაც ჩანს, რომ წერეთელი ყოველთვის სასურველი სტუმარი ყოფილა ჟუკოვსკის ოჯახში.

XVIII საუკუნიდან დაწყებული რუსეთში მიმდინარეობს მწვავე ბრძოლა რუსული კულტურის პროგრესული განვითარებისათვის, დასავლეთის წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ, ნამდვილი რუსული ეროვნული ლიტერატურის დამკვიდრებისათვის.

დასავლეთის წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ ბრძოლის ეს პერიოდი ნათლადაა ასახული ნ. წერეთლის მიერ 1827 წ. ცნობილ ფოლკლორისტ მაქსიმოვიჩისადმი მიწერილ წერილში: „ხარბად ვეწაფებით უცხო, ჩვენთვის უჩვეულო ზღაპრებს, — წერს წერეთელი, — გვიტაცებს ბერძნების ხალხური სიმღერები და ამავე დროს ნაკლებად გვაინტერესებს ან სრულებით უგულებელვყოფთ ჩვენს მშობლიურ სიმღერებსა და თქმულებებს. დასაშვებია გაგიტაცოს ბერძენთა და რომაელთა ქმნილებებმა, უფლება გაქვს გიყვარდეს ფრანგული და გერმანული სიტყვიერება, მაგრამ რუსი უნდა დარჩეს რუს მწერლად ისევე, როგორც ჰომეროსია ბერძენი, შექსპირი — ინგლისელი. შესაძლებელია ბაძავდე უცხოელებს მათ სწრაფვაში სრულყოფისკენ... მაგრამ რად უნდა ვემონოთ მათ?“

იმავე წერილში წერეთელი შეეცადა ამომწურავი პასუხი გაეცა კითხვაზე: რა გზები არსებობს ლიტერატურის თვითმყოფობის მისაღწევად, რას უნდა ეყრდნობოდეს ამა თუ იმ ერის ლიტერატურა, რათა ჭეშმარიტად და მაღალმხატვრულად შესძლოს თავისი ეროვნული შინაარსის ასახვა, და ხაზს უსვამს რა ამ საკითხში ხალხური პოეზიის გადამწყვეტ მნიშვნელობას, რომელიც თავისი „ხალასი“, ჭეშმარიტად ხალხური ფორმებით იმდენად მაღალ დონეზეა ასული, რომ მას ვერ შეედრება ბევრი „ეროვნული“ მხატვრული მიმდინარეობა, პროფესიული ოსტატობის ეს რაფინირებული პროდუქტი, მიდის შემდეგ დასკვნამდე: „იცით, — წერს იგი მაქსიმოვიჩს, — მეტწილს ჩვენს რომანებს, ბალადებსა და (მისმინეთ, მისმინეთ) ჩვენს რომანტიკულ პოემებსაც კი... ეს ხალასი პოეზია მირჩევნია... ის, ვისაც სურს იყოს თავისი სამშობლოს ღირსეული მწერალი ან პოეტი, ვისაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სურს ხალხური კოლორიტი მისცეს თავის ნაწარმოებს, არ უნდა თვლიდეს უმნიშვნელოდ მშობლიურ თქმულებებსა და სიმღერებს, პირიქით, იგი ვალდებულია რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდეს მათ, ვინაიდან ჩვენი წინაპრების ზნე-ჩვეულებისა და ადათის, აზრის და გრძნობის ამ ხალას ძეგლებს, რომლებიც უცხოელებისადმი მიმბაძველობას არ დაუმახინჯებიათ, ჯერ კიდევ შეუნარჩუნებიათ ნიშნები იმ ორიგინალობისა, რომელიც ერთი ხალხის პოეზიას მეორე ხალხის პოეზიისაგან განასხვავებს“.

უკრაინული ხალხური შემოქმედების დარგში მუშაობის გარდა ნიკოლოზ წერეთელი ჩვეული ენერგიითა და სიყვარულით ეკიდება რუსული ზეპირსიტყვიერების შესწავლის საქმეს. ჟურნალში „სინ ოტეჩესტვა“ იგი 1818 წლიდან 1821 წლამდე თანმიმდევრულად აქვეყნებს მთელ რიგ სტატიებს: „ძველი რუსული პოეზიის ნაწარმოებების შესახებ“, „შეხედულებანი ძველ რუსულ ზღაპრებზე“ და სხვ. 1820 წელს მან პეტერბურგში გამოსცა წიგნი „მოლექსეობის საერთო შექმნის ცდები“. ამ წიგნმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ნ. წერეთლის პოლემიკა მის ახლო მეგობარ, ცნობილ ფილოლოგ ვოსტოკოვთან ლექსთაწყობის შესახებ, ან უფრო სწორად, რუსულ სიმღერათა წყობისა და ზომის შესახებ. ვოსტოკოვმა 1817 წელს გამოსცა ნარკვევი „რუსული ლექსთაწყობის ცდა“. ხალხური ლექსების წყობაში ვოსტოკოვი გადამწყვეტ როლს ტონიკურ ზომას ანუ მახვილიან და უმახვილო მარცვალთა მონაცვლეობას აკუთვნებდა. ვოსტოკოვის შრომის კრიტიკულ შეფასებაში პირველი სერიოზული ნაბიჯი წიგნის გამოსვლის შემდეგ სულ მოკლე ხანში გადაიდგა. 1818 წელს ჟურნალში „სინ ოტეჩესტვა“ ქვეყნდება ნიკოლოზ წერეთლის სტატია „შენიშვნები ბ-ნ ვოსტოკოვის რუსული ლექსთაწყობის ცდის მეორე ნაწილის შესახებ“, რომელშიც ვოსტოკოვის თეორიის საწინააღმდეგოდ წერეთელი ამტკიცებს, რომ რუსული ხალხური ლექსის, სახელდობრ, სიმღერების წყობას საფუძვლად უდევს და მასში გაბატონებულია ტონების ზომა. ამ პოლემიკის შესახებ კიუხელბეკერს, 1833 წლის 22 აგვისტოს თავის დღიურში ჩაუნიშნავს: „წერეთლის შენიშვნები ვოსტოკოვის „რუსული ლექსთაწყობის ცდაზე“ მეტად ჭკვიანურია და ამტკიცებს, რომ რეცენზენტი მოაზროვნე ადამიანია“.


ОПЫТЪ

СОБРАНІЯ

СТАРИННЫХЪ

МАЛОРОССІЙСКИХЪ ПѢСЕНЪ.

И гробы праотцовъ, обычай ихъ простой
И стѣны, камни, все, и даже самый дымъ
Жилищъ отеческихъ, я сердцу чту святымъ.

Траг. Пожарскій. Дѣйст. II. Явл. I.

САНКТПЕТЕРБУРГЪ,
въ типографіи Карла Крайя.
1819.

ნიკოლოზ წერეთელს სულ უფრო და უფრო მეტად იტაცებდა რუსულ სიმღერათა კრებულის გამოცემის აზრი. უკვე 1824 წლისათვის მას რამდენიმე ტომი გაუმზადებია დასაბეჭდად. მაგრამ სამსახურებრივმა მოვალეობამ ხელი შეუშალა მას ბოლომდე მიეყვანა ეს საქმე და კრებული თვით ხალხისგან მოსმენილი პირადი ჩანაწერებით შეევსო. ნ. წერეთელი ყოველთვის დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა ხალხური შემოქმედების ძეგლთა ბეჭდვის საქმეს და წინასწარ დიდ შრომას ატარებდა ძეგლთა ტექსტების საბოლოო დადგენისათვის. იგი შეურიგებელი მტერი იყო ყოველგვარი ფალსიფიკაციისა, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი „ხალხური ეპოსის დიდი წიგნის გაბნეულ ფურცლებში“ დამატებათა და შესწორებათა შეტანის სახით.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ნიკოლოზ წერეთელი უახლოვდება „მოსკოვის სიტყვიერების საზოგადოებას“ და დიდი ინტერესით ეცნობა საზოგადოების მოღვაწეთა ყველა გამოცემას. როდესაც წერეთელმა შეიტყო, რომ ხსენებული საზოგადოება რუსული სიტყვიერების საჯარო ლექციების ჩატარებისთვის ემზადება, მან მთელი თავისი ადრინდელი ხელნაწერები და მასალები ამ საზოგადოებას მიუძღვნა და თან წერილი დაურთო, რომლიდანაც რამდენიმე სტრიქონს მოვიყვანთ: „როდესაც საჯარო ლექციების პროგრამას გავეცანი, — წერდა იგი 1859 წლის მარტში, — მე გულწრფელად გამეხარდა, რომ ამ საგანზე არსებული მეტად ღარიბი ცნობები, ბოლოს და ბოლოს, შეივსება კომპეტენტური ადამიანების მიერ. თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის წინათ, როდესაც ჩვენში მეტად მცირე ყურადღება ექცეოდა რუსულ ხალხურ პოეზიას, მე გულმოდგინედ შევუდექი რუსული სიმღერებისა და ზღაპრების, განსაკუთრებით სიმღერების შეკრებას. 1865 წელს, როდესაც დავსახლდი მოსკოვში, რუსული ეროვნული მოღვაწეობის ამ ცენტრში, მე ჩემი კრებული გამახსენდა... მართალია, ჯერ სევდამ შემიპყრო, გული დამწყდა, მაგრამ მალე თავი ვინუგეშე იმით, რომ ახალგაზრდებს, ჩემზე უფრო ენერგიულ შემკრებთ, ძალა შესწევდათ გაეკეთებინათ ის, რაც მე ვერ გავაკეთე, და გაეკეთებინათ ჩემზე ბევრად უკეთესად... გიგზავნით ჩემი კრებულის საცოდავ ნაშთებს, და დიდად მოხარული ვიქნები, თუ ვარიანტებად მაინც გამოიყენებთ მათ“.

თავმდაბლობა, რომელიც ამ სტრიქონებში გამოსჭვივის, მუდამ საუკეთესო სამკაული იყო ნიკოლოზ წერეთლისა. როდესაც 1867 წელს მისმა მეორე ვაჟმა,* დიმიტრი ნიკოლოზის-ძე წერეთელმა, მწერალმა და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა, აკადემიკოს გროტის რჩევით განიზრახა მამის გაფანტული ნაშრომების შეგროვება და გამოცემა, და ამ მიზნით მიმართა მამას, რათა მას მიეთითებინა, სად შეიძლებოდა ზოგი მათგანის მონახვა. ნ. ა. წერეთელი, მადლობის ნაცვლად, სერიოზულად ტუქსავს შვილს. „მე არასოდეს მქონია პრეტენზია ცნობილი ლიტერატორის სახელზე,—უპასუხა შვილს,—ამიტომ არ მსურდა და არც ახლა მსურს გამოვაქვეყნო კრებული“. იგი თანხმდებოდა მხოლოდ იმაზე, რომ დასწერდა ლიტერატურულ მოგონებებს, მაგრამ ამ საქმეს მაინცდამაინც არ აჩქარებდა და ამის გამო ვერ მოასწრო თავისი განზრახვის განხორციელება.

„ამ დინჯი თავდაჭერით, — წერდა ჟურნალი „ვესტნიკ ევროპი“ 1870 წელს ნ. ა. წერეთლისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში, — ამ ფაქიზი მოკრძალებით საქმესა თუ სიტყვაში, განსვენებული მხოლოდ ერთ თავის თანატოლს, თავად ოდოევსკის ჰგავდა. ორივეს გულმხურვალედ უყვარდათ ხალხური შემოქმედება, ორივე გულითადად ემსახურებოდა მას, ერთი — სიტყვის ჰარმონიისა და ლექსთაწყობის დარგში; მეორე — ხმის ჰარმონიისა და სიმღერის ტექსტის დარგში; ორივე ერთ წელს არიან დაკარგული რუსული საზოგადოებისათვის... ბრინჯაოს ძეგლებში როდი მუნჯდებიან შემკრებთა სახელები, — დაასკვნის ნეკროლოგი, — ისინი ცოცხლობენ მათ მიერ შეკრებილ ხალხური შემოქმედების უკვდავ ძეგლებში“

და მართლაც, ნიკოლოზ ანდრიას-ძე წერეთლის ხელთუქმნელი ძეგლი — ეს მის მიერ შეკრებილი უკრაინის ხალხური პოეზიის შესანიშნავი ნიმუშებია.

* უფროსი მისი ვაჟი იყო რუსეთის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე—რუსეთის გენერალური კონსული ბულგარეთში ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთელი (იხ. «დროშა» № 2 1953 წ. სტატია «ა. ნ. წერეთელი»).

# ბრძმედის ალამი

ზურჯაანის მტს-ის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ასე დაარიგა ახალგაზრდები:

— გულმოდგინედ და ბეჯითად ისწავლეთ, გამოსცადეთ ყველაფერი; შავი და ძნელი სამუშაოები, რთული მექანიზმების მართვა, გამარჯვებით დაბრუნებას გისურვებთ.

მატარებელი დაიძრა. ვაგონის ფანჯარაში უკანასკნელად გამოჩნდა მშობლიური მთები, ფერდობზე მობალახე ცხვრის ფარა, აქაფებული მდინარის ნაპირები...

სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო გაჩაღებული, მაგრამ დონბასში, 1944 წლის შემოდგომაზე, ფართოდ გაიშალა აღდგენითი სამუშაოები.

საქართველოდან ჩამოსული, კუნთმაგარი და მზით დამწვარი ახალგაზრდები გააოცა რკინიგზის ტრანსპორტის გაცხოველებულმა მოძრაობამ. სადგურებზე ზედიზედ მოდიოდნენ ტყით, მანქანებით, სურსათ-სანოვაგით დატვირთული ეშელონები, რომლებსაც უკან დონეცის ქვანახშირი, მარტენებში და ბრძმედებში გამომდნარი მეტალი მიჰქონდათ. როდესაც კობერიძე ჩავიდა ენაკიევოში, იქ უკვე ამუშავებული იყო ორი ბრძმედი.

პირველ დღესვე ქარხნის ხელმძღვანელებმა საამქროები დაათვალიერებინეს ახალჩამოსულებს. საღამოს კი დირექტორი ნიკოლოზ გონჩარენკო დაინტერესდა, თუ ვის რა სპეციალობის არჩევა სურდა.

— მინდა მებრძმედე გავხდე, — უპასუხა ვარდიშ კობერიძემ. დირექტორის გვერდით მჯდომმა, ჭაღარა, ხმელ-ხმელმა მოხუცმა თბილად გადახედა მაღალსა და ჩამკვრივებულ ყმაწვილს.

— კეთილი, ჩემთან იქნები, თუჯის გამოდნობას გასწავლი...

კობერიძეს ბედი ეწია: მას კარგი მასწავლებელი შეხვდა. მარტინ კუზმას ძე იუდინი ჯერ კიდევ ცნობილი რუსი მებრძმედის მიხეილ კურაკოს დროს მუშაობდა ენაკიევოში. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ოსტატმა დიდი პრაქტიკული გამოცდილება მიიღო, მრავალი რუსი და უკრაინელი მებრძმედე გამოზარდა, ქართველებს კი პირველად ხედავდა საამქროში.

კობერიძე, მისივე სურვილის თანახმად, ბრძმედის საამქროში გააგზავნეს. მას ეგონა, რომ ხვალ დილითვე ღუმელთან მიიყვანენ, ხელში გრძელ რკინის ჯოხს მისცემენ და ეტყვიან: „აბა, იმოქმედე“, და ცოტა ხნის შემდეგ გამდნარი მეტალი მდინარესავით გადმოსჩქეფს ღუმელიდან.

მაგრამ ასე არ მოხდა. დასაწყისში, ამხანაგთან ერთად, იგი ქვიშას ეზიდებოდა, დიდი დაძაბვით მუშაობდა, როგორც მუშაობდნენ დანარჩენები. პირველად გაუჭირდა. იყო დღეები, როდესაც სამუშაოდან დაბრუნებული, დაღლილი ბიჭები ძლივს ადიოდნენ საერთო საცხოვრებლის კიბეებზე. დიდხანს ვერ იძინებდნენ; მანქანათა შეუჩვეველი ხმაური, ორთქლმავალთა კივილი, კვამლის ყვითელი სვეტები, გამდნარი მეტალისაგან განათებული ფანჯრები უფრთხობდათ ძილს.

ერთხელ ალექსი ქადაგიძემ დაუფარავად გამოთქვა თავისი ეჭვი:

— იქნებ ჯობდეს, რომ ჩვენ სულაც არ ვიმუშაოთ დამხმარეებად? ჰა, რას იტყვი?

ერთი წუთით კობერიძე დაიბნა, შემდგომში ის ცდილობდა, რომ არ გახსენებოდა ეს წუთი. მართლაცდა, განა იმიტომ ჩამოვიდნენ აქ, რომ ქვიშა ზიდონ? გაიფიქრა მან, მაგრამ მაშინვე გაახსენდა ამხანაგების რჩევა: „კომკავშირელმა არაფერი არ უნდა იუკადრისოს, თუ სპეციალობის დაუფლება სურს“.

უფროსი ოსტატი თვალიდან არ იცილებდა კობერიძეს.

— როცა ქვიშას აყრი, უყურე, როგორ აკეთებენ მებრძმედეები ღარს, მალე შენ თვითონ მოგიხდება ამის გაკეთება, — ეუბნებოდა მარტინ იუდინი. და მართლაც, ზამთარში კობერიძე მეოთხე მებრძმედედ დანიშნეს. იგი დიდი მუყაითობით შეუდგა საპატიო პროფესიის შესწავლას. მალე მესამე, შემდეგ კი მეორე მებრძმედის თანამდებობაზე გადაიყვანეს, და ბოლოს კობერიძე მარტინ იუდინის მარჯვენა ხელი გახდა. მას პირველი მებრძმედის რთული საქმე ჩააბარეს.

**ამხანაგები დიდი სიყვარულით ლაპარაკობდნენ მის შესახებ:**

**— საზრიანი, ჭკვიანი ბიჭია, ყველაფერს ადვილად ითვისებს...**

მაგრამ ძველი მასწავლებელი ასე ადვილად როდი აქებდა თავის მოწაფეებს.

— კარგი მებრძმედეა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩქარი და ფიცხია...

ასეც იყო. კობერიძე ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად შეეთვისებინა ყველაფერი და ამ სიჩქარემ ერთხელ კინაღამ ავარიამდე მიიყვანა.

* *

კობერიძეს ფერი ეცვალა.

— შეაჩერეთ ღუმელი! — დაიყვირა მან.

...დაუჯერებელი ამბავი მოხდა; ცხელი თუჯი ღარში შემოიჭრა, პირთამდე შეავსო და შემდეგ ქვევით — გვირაბისკენ დაიძრა.

როგორც იქნა შეაჩერეს ადუღებული მეტალის ნაკადი. უფროსმა მებრძმედემ სახელოთი მოიწმინდა ოფლით დაცვარული შუბლი, მაღლა აიხედა და მარტინ იუდინის მკაცრ თვალებს შეეფეთა. ძველი ოსტატი საყვედურით შეჰყურებდა კობერიძეს.

— აი, სადამდე მიგიყვანს აჩქარება, ენდე ასეთ თანაშემწეს! მაინც რატომ მოხდა ყველაფერი ეს?

— ღარში ძალზე სქლად მოაყარეს ქვიშა და კარგად არ გამოაშრეს.

— კიდევ კარგი, რომ არ დაიბენი, დროზე შეაჩერე ნადნობი. უავარიოდ უნდა იმუშაო. შენ ხომ მასწავლებლობაც მოგიხდება საქართველოში დაბრუნებისას.

ძნელი იყო, ამხანაგების თანდასწრებით, საყვარელი ოსტატის საყვედურის მოსმენა. კობერიძეს აღელვებისაგან ალმური ასდიოდა სახეზე, მაგრამ იგი მის სიტყვას იმახსოვრებდა.

„მართალს ამბობს ოსტატი, — ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი, დანაღვლიანებული კობერიძე, — ასეთ რთულ ტექნიკას იერიშით ვერ აითვისებ, ცოდნაა საჭირო, გამოცდილება...“

— ბედნიერი ხარ, შენ დაანთებ პირველ ბრძმედს საქართველოში, ჯერ-ჯერობით კი უნდა ისწავლო!

გაახსენდა კობერიძეს საამქროს პარტორგანიზაციის მდივნის, პავლე გალაჩევის სიტყვები და აუწერელმა სიხარულმა მოიცვა იმის გამო, რომ მას შეხვდა ბედნიერება ისწავლოს და იმუშაოს აქ, მეტალურგთა ამ კოლექტივში. „ნამდვილი მებრძმედე გავხდები, მაღალკვალიფიციური...“ შეჰფიცა თავის თავს კობერიძემ.

* *

მან შეასრულა ეს სიტყვა. 1949 წელს კობერიძეს მიანიჭეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მებრძმედის წოდება. ეს საპატიო სახელი თითქოს იმის გამოხატულება იყო, რომ ხუთი წლის სწავლამ და მუშაობამ ტყუილ-უბრალოდ არ ჩაიარა. დონბასში ვარდიშ კობერიძემ დამხმარე მუშად დაიწყო მუშაობა და ბოლოს გამოცდილი მებრძმედე გახდა. აქ ის პარტიაში მიიღეს. ვარდიშმა ცოლი შეირთო და მეტალურგთა ახალშენში დასახლდა. იგი დადიოდა სტალინოსა და ჟდანოვის ქარხნებში, — ყველგან, აელვარებულ ღუმელებთან ხვდებოდა თავის თანამემამულეებს, რომლებიც მასავით საქართველოდან იყვნენ ჩამოსულნი თუჯის დნობის შესასწავლად.

იმ დროისათვის რუსთავში აშენდა მეტალურგიული ქალაქი-გიგანტი. ბოლავდნენ მარტენის საამქროები, საგლინავ დაზგებზე ამზადებდნენ დიდი დიამეტრის უნაკერო მილებს.

სანამ კობერიძე და მისი ამხანაგები დონბასში სწავლობდნენ, საქართველოში ფუნდამენტი ეყრებოდა პირველ საბრძმედე საამქროს. ისინი ემზადებოდნენ იმ ღუმელებთან სამუშაოდ, რომლებიც ჯერ არ არსებობდნენ.

რუსთავიდან იწერებოდნენ.

„...გახსოვთ რა იყო აქ? ტრიალი მინდორი, ახლა კი ვეღარ იცნობთ რუსთავს“.

— ბრძმედი, ბრძმედი როდისღა იქნება? — კითხულობდა კობერიძე.

„...სულ მალე! მას აშენებენ მარტენის საამქროს უკან“.

ბოლოს დადგა გამომგზავრების მომენტი. ვარდიში სტოვებდა დონბასს, სადაც ათი წელი გაატარა ამხანაგებთან ერთად. მატარებელი დაიძრა. კობერიძემ კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი რუს და უკრაინელ მეგობრებს, ძველი ოსტატის მარჯვენა კი ცოტა ხნით შეაჩერა და აღელვებით წარმოთქვა:

— მადლობა ყველას, განსაკუთრებით კი თქვენ, მარტინ კუზმას ძევ, სწავლებისათვის, მეგობრობისთვის, ალერსისთვის. უსაზღვრო, უსაზღვრო მადლობა.

* *

მომავალი ისტორიკოსები მოიხსენიებენ ღირსშესანიშნავ თარიღს — 1954 წლის 6 ივლისს. ამ დღეს დაიბადა რუსთავის თუჯი.

წინა დღით, 20 საათზე და 30 წუთზე ბრძმედი გაადვივეს, მორიგე ოპერატორები არ შორდებოდნენ საკონტროლო ხელსაწყოებს, ჟურნალში შეჰქონდათ ორთქლის წნევის მაჩვენებლები მტვერსაჭერებში და აირსადენებში. თვალყურს ადევნებდნენ ატმოსფერული სარქველების მოქმედებას.

ობეროსტატმა ვარდიშ კობერიძემ, შავი, სქელი წარბები შეიჭმუხნა, იქ შეკრებილ მუშებს გადახედა და ჰკითხა:

ობეროსტატი კობერიძე (შუაში) მეგობრებს უკითხავს უკრაინიდან მიღებულ წერილს.



# ჩარლი ჩაპლინი

ნოდარ ჩხეიძე

ლონდონის ქუჩებს იქნებ ახლაც ახსოვთ პატარა ჩარლის პირველი ნაბიჯები მათხოვარი დედის გვერდით, დედისა, რომელიც სიღარიბემ და შიმშილმა საგიჟეთის კარამდე მიიყვანა.

შემდეგ... ქველმოქმედი საზოგადოება, მისიონერები, პოლიცია, კაბარე და ტემზის ნისლი. მერე ფრედ კარნოს ინგლისური დრამატული დასი და გასტროლები ამერიკაში.

აქ პირველად ნახეს და აღმოაჩინეს მომავალში მსოფლიოს უნიჭიერესი კომიკი ჰოლივუდის აგენტებმა. ის დრო იყო, როცა მზარდი ამერიკული კინომრეწველობა თეატრებსა თუ დასებში, კლუბებსა თუ ცირკში ეძებდა მსახიობებს, რომლებსაც მიიღებდა ეკრანი. ასე მოხვდა ლოს-ანჟელოს გარეუბანში ოდესღაც თეატრალური დასის მსახიობი მერი პიკფორდი, დუგლას ფერბენკსი და მრავალი სხვ.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, 1913 წლის ნოემბერში ჩაპლინმა დასტოვა კარნო და ერთწლიანი კონტრაქტით შეუთანხმდა კისტოუნის ფირმას.

1914 წლის დასასრულისათვის ჩაპლინი ითვლებოდა ამერიკის ყველაზე პოპულარულ კომიკად.

სპეციალისტების აზრით, ჩაპლინის ასე ერთბაშად აღიარება განაპირობა მისმა ვირტუოზულმა ოსტატობამ, — ჩაექსოვა კომიკურ, ხშირად ფანტასტიკურ სახეში სინამდვილე, ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანების ფიქრი, ვნება და ინტერესები; ხალხში გაეტანა კაცთმოყვარეობის იდეები — მაღალი ხელოვნებისა და ცრემლნარევი ჰუმორის სამოსელში. ჩაპლინის პიროვნება, მისი პირადი მრწამსი და შეხედულებანი, მისი ბიოგრაფია და სიყვარული მშობელი, ღარიბი მუშათა კლასისადმი — იყო და რჩება ამის საწინდრად.

ჩაპლინი დიდი ხნის მანძილზე თამაშობდა მცირემეტრაჟიან ფილმებში. ასეთი ფილმების წარმატება და საჭიროება ამერიკაში აიხსნება იმითაც, რომ იგი იქცა სრულმეტრაჟიანი კინოსურათების აუცილებელ დამატებად.

გადიოდა ხანი. ჩაპლინმა მიიღო ნაწილობრივი დამოუკიდებლობა. ახლა იგი თავისი მასწავლებლის — მაკ სენეტის გარეშე უძღვებოდა რეჟისურასა და წარმართავდა ფილმის იდეურ მიზანდასახულებას.

დიდი მოვლენები, რომლებიც თავის დაღს ასვამენ ხალხების ისტორიას, ქმნიან საჭიროებას დიდი ტილოების შექმნისათვის.

ასე, 1918 წელს ჩაპლინმა შექმნა პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ჯარისკაცის სახე. მისი მნახველი, კინოხელოვნების პროგრესული ფრანგი თეორეტიკოსები სწერენ: „ეს როლი — ჩაპლინის ერთ-ერთი პირველი დიდი გამარჯვებაა. ის არ ყოფილა ფრონტზე, მაგრამ ჯარისკაცთა ცხოვრებას სანგრებში ზავის დადებამდე რამდენიმე თვით ადრე იგი წარმოსახავს ისეთი სიმართლით, რომ ევროპაში არა მარტო შეუძლებელი იყო ვინმეს ეპოვნა მისი გმირის რომელიმე ყალბი შტრიხი, არამედ ეს ფილმი იყო და დღემდე დარჩება ომის ერთ-ერთ ყველაზე გაბედულ და მკაცრ მხილებად". და ეს ნათქვამია არა 1918, არამედ 1950 წელს.

ასეთი ჭაბუკური სიცოცხლე ოცდა-



კადრი ფილმიდან — „რამპის ჩირაღდნები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

— ცვლა დაამთავრეთ? რატომღა არ მიდიხართ სახლებში? აბა, გასწით, დაისვენეთ.

— მოვასწრებთ დაძინებას, — უპასუხა ვიღაცამ, — შენ თვითონ, მეორე ღამეა, სახლში არ ყოფილხარ.

— ახლა განა მოიშორებ მათ? — ჩაილაპარაკა საამქროს პარტბიუროს მდივანმა ალექსანდრე ყაზარაშვილმა, — ყველას უნდა პირველი ნადნობის ნახვა...

— რამდენი წელია, რაც ამ დღეს ველოდებოდით? — თქვა ღამის ცვლის ოსტატმა ალექსი ქადაგიძემ, — ახლა საათებიღა დარჩა... ნუ გვისტუმრებ, სულ ერთია, არ წავალთ...

კობერიძემ ხელი ჩაიქნია, მერე გაეღიმა, „განა მეც ასე არ მოვიქცეოდი მათ ადგილზე?", გაიფიქრა მან. უეცრად კობერიძეს დეპეშა შემოუტანეს. გახსნა და სახე გაუნათდა. ამხანაგებს გადახედა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

— ენაკიევოდან არის, „გილოცავთ დიდ გამარჯვებას, დარწმუნებული ვართ, რომ გამოადნობთ მხოლოდ მაღალხარისხოვან ქართულ თუჯს.

ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის მებრძმედეთა დავალებით

პარტბიუროს მდივანი გალიჩევი.

ობეროსტატი იუდინი".

— უნდა ვუპასუხოთ, — წამოიძახა არჩილ მაზიაშვილმა.

— მოესწრება — კობერიძემ დეპეშა სპეცტანსაცმელის ზედა ჯიბეში შეინახა, — ჯერ ვნახოთ პირველი ნადნობის შედეგი...

გალღვობა ნორმალურად მიმდინარეობდა. თბომზომის ისარი 600-650 გრადუსს უჩვენებდა.

ეს დღე რაღაც არაჩვეულებრივი იყო!

საამქროში შეკრებილნი მოუთმენლად ელოდნენ პირველი თუჯის დაბადებას. დონბასში და ურალში აღზრდილ ქართველ მებრძმედეებთან ერთად აქ იყვნენ რუსეთიდან და უკრაინიდან ჩამოსული სტუმრები. ქართველი მეტალურგების ყოფილი მასწავლებლები — თეოდორე ელისეევი, ალექსანდრე მატვეევი, პავლე გლადკოსკოკი და სხვ.

19 საათია. საამქროს მთელი თავისუფალი ფართობი ხალხითაა გაჭედილი. საამქროს უფროსი ივანე ბესპალოვი კიდევ ერთხელ ამოწმებს ლაბორატორიიდან მოტანილ ანალიზს და ცვლის ოსტატს ციფრებით აჭრელებულ ქაღალდის ფურცელს აძლევს.

— დაიწყეთ!

ობეროსტატს კობერიძეს მოქმედებაში მოჰყავს ელექტრო-ზარბაზანი, რომლითაც ღუმელის კარი უნდა გაანგრიოს. გაცემულია უკანასკნელი განკარგულება:

— გამოუშვით თუჯი! — და იმ წუთშივე თხიერი მეტალის დამაბრმავებლად კაშკაშა ნაკადი ქვევით, ღარებში გადაიღვარა. გაისმა ტაშის ხმა. გამდნარმა მეტალმა უფრო მეტად გაანათა აღტაცებული ადამიანების სახეები.

დაძაბულობისაგან აღელვებული ობეროსტატი ტრიბუნაზე ავიდა.

— ჩვენ, ქართველი მებრძმედეები, მხურვალე მადლობას ვუხდით მშენებლებსა და მასწავლებლებს, რომლებიც დაგვეხმარნენ რთული პროცესების ათვისებაში, რომლებიც არ გვივიწყებენ არც მძიმე და არც სასიხარულო წუთებში... — კობერიძემ ხელი მაღლა ასწია და მისალოცი დეპეშები ააფრიალა ჰაერში.

ჯერ კიდევ დიოდა ცეცხლის ნაკადული, წინასწარ გამზადებულ ფორმაში კი უკვე ცივდებოდა ბარელიეფი, სამახსოვრო წარწერით:

„1954 წლის 6 ივლისი

პირველი ბრძმედის პირველი თუჯისგან".

განვლო რამდენიმე კვირამ. საბრძმედე საამქროში თანდათანობით გაიმართა მუშაობა. დღეღამეში ექვსჯერ, ყოველი ოთხი საათის განმავლობაში, ღუმელიდან გამოდის მორიგი ნადნობი, მაჩვენებელთა ახალ დაფაზე ცარცით დაწერილი პირველი ციფრები გამოჩნდა. მებრძმედეებს შორის დაიწყო შეჯიბრება ჩქაროსნული ნადნობის მისაღებად.

დაშქესანიდან, ჭიათურიდან და სადახლოდან ისწრაფვიან კირით, რკინის მადნითა და მარგანეცით დატვირთული მატარებლები. ღუმელში ერთი წუთითაც არ ქრება ალი. დაბინდებისას, შორს, სიბნელეში მოჩანს პროჟექტორის სხივებითა და ელნათურების გირლიანდებით განათებული ბრძმედი.

ძლევამოსილად ფრიალებს წითელი ალამი, თითქოს ის თუჯისაგან ჩამოადნეს მებრძმედეებმა.

ედუარდ ლისიანსკი

ფოტო ვლ. გინზბურგისა

თორმეტი წლის მანძილზე, ხელთუქმნელი — როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე — ძეგლების ბედია.

მალე ჩაპლინი აქვეყნებს „ძაღლურ ცხოვრებას“, „პატარა კაცს“, „პილიგრიმს“ და სხვა ნაწარმოებებს, რომლებშიც მთელი სიძლიერით გამოჩნდა ხელოვანის უნარი — ექცია სატირა ბოროტების მამხილებელ იარაღად. ჩაპლინმა ჩამოგლიჯა მოჩვენებითი სიკეთისა და ჰუმანურობის ფარდა ადამიანებს, რომელთაც ჰუმანიზმისა არა ეცხოთ რა.

აი, უმთავრესად, რატომ სდევნიდნენ ამ შესანიშნავ ადამიანს, აძლევდნენ სასამართლოში, აბრალებდნენ გამყიდველობას და ვინ იცის კიდევ რას.

კურიოზული ისაა, რომ შტატებში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქალთა ლიგა, რომელსაც არ მოეთხოვოს ჩაპლინის სურათების აკრძალვა, ვითომდა „ამორალობის“ გამო. ეს დედაკაცები სხვა სიკეთესთან ერთად ეწეოდნენ და ახლაც ეწევიან პოლიტიკურ შანტაჟსა და ყოველგვარ სისაძაგლეს. ორიგინალურია, რომ ჩაპლინს მათთვის სიტყვაც არ უთქვამს. ან სად ეცალა, როცა ყოველ პატიოსან კაცს ძრწოლვა მოჰგვარა გერმანიის ამბებმა ოცდაათიან წლებში.

ხმოვან კინოს ძალზე ცოტა ხნის ისტორია აქვს. ჩაპლინი თავდაპირველად დასცინოდა კიდეც მას. მაგრამ „დიდ დიქტატორში“ იგი სიამოვნებით იყენებს ბგერას. მისი პირველი სიტყვა ეკრანიდან მამართული იყო ფაშიზმის წინაალმდეგ, ჰიტლერის წინაალმდეგ. იშვიათი, სიმბოლური დეტალია და რა კარგად ახასიათებს ჩაპლინის პიროვნებას!

1933 წელს, ჰიტლერის მთავრობის სათავეში ჩადგომის შემდეგ, ჩაპლინს გადაუწყვეტია გამოხმაურებოდა ამ ამბავს და უთქვამს კიდეც ამის შესახებ. გერმანიაში ფეხზე დადგნენ. გერმანიის კონსულმა ლოს-ანჟელოსში დავალება მიიღო ჩაეშალა ჩაპლინის გეგმა. ჰოლივუდი დააშინეს ამერიკული ფილმების საერთო ბოიკოტით გერმანიაში. დაიწყო დიპლომატური მოლაპარაკებები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯაშუშებს უნდა მოეკლათ ჩაპლინი.

ფილმი მზად იყო ეკრანზე გასაშვებად. მაგრამ ბევრმა ამერიკულმა კინოთეატრმა უარი თქვა მის ჩვენებაზე.

„დიდმა დიქტატორმა“ შეასრულა თავისი მისია. იგი იქცა ამერიკელი მშვიდობისმოყვარე ადამიანების საყვარელ ნაწარმოებად. და ჩაპლინის მაშინდელი სიტყვები, მიმართული ფაშიზმის წინაალმდეგ, ძალას ინარჩუნებს ამერიკული იმპერიალიზმის წინაალმდეგაც.

„ჯარისკაცებო! ნუ დაიხოცებით ამ მხეცთა გულისთვის... მათთვის ვისაც ეზიზღებით და ვინც თქვენში მონებს ხედავს, ვინც ხელ-ფეხს გიკრავთ, აკონტროლებს თქვენს თითოეულ აზრს, გრძნობებს, მოქმედებას, ვინც გწრთვნით, როგორც მხეცებს, გაიძულებთ იბრძოლოთ, გეპყრობათ, როგორც პირუტყვებს, გიყენებთ საზარბაზნე ხორცად!“

„მაშ ვიბრძოლოთ მშვიდობიანი ცხოვრებისათვის... მეცნიერებისა და პროგრესისათვის, რაც მიგვიყვანს საყოველთაო ბედნიერებამდე“.

ჩვენ ვნახეთ „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“ და „ახალი დროება“, ფილმები, საყვარელი ყველა პატიოსანი კაცის, უმუშევრის და ლატაკისათვის, ყველასათვის, ვისაც დიდი ხელოვნების, დიადი იდეების და საქმეების გრძნობა, სიყვარული აქვს.

ჩვენში სამუდამოდ დარჩა და გადმოიზარდა ის ზიზღი ამერიკის მმართველი წრეების, მშრომელთა სისხლისმწოველ იმპერიალისტებისადმი, რომლითაც სავსე იყო „ახალი დროება“. ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდება, რომ ჩაპლინი აქ იყო ნამდვილი მებრძოლი, ურყევი და გაბედული ჯარისკაცი ადამიანთა ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის. და ჩვენ გვახარებს ისიც, რომ ჩაპლინი ასეთად გვეგულება დღესაც.

კადრი ფილმიდან — „ახალი დროება“.





ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრი ფილმიდან — „ემიგრანტი“.

ჩაპლინის სიარული,
ჟესტი,
მიმიკა,
დაუვიწყარი ხუმრობები.

გენიალური, გენიალური და გენიალური — გაიგონებთ ხშირად და ყველა ამ, თავისთავად ვირტუოზულად განსახიერებულ დეტალს, მაყურებლის ამ გულწრფელ გამოხმაურებას თან სდევს დიდი მხატვრობისათვის დამახასიათებელი მიზანდასახულება, იდეურობა და სიცოცხლე.

1953 წელს ამერიკულმა ლეგიონმა მოითხოვა ჩაპლინის ახალი ფილმის აკრძალვა.

იუსტიციის მინისტრი ჯეიმს მაკგრენერი მოითხოვს — აეკრძალოს ჩაპლინს ამერიკაში ცხოვრება.

სენატორმა კეინმა სახელმწიფო ღალატი დასწამა ჩაპლინს.

მსოფლიომ იცის, რომ ჩაპლინს უნდა უმადლოდეს ჰოლივუდი კოლოსალური მოგებების დიდ ნაწილს, რომ ჩაპლინს ყველა ამერიკელ სენატორზე და მინისტრზე მეტად უყვარს ნამდვილი დემოკრატია, თავისუფლება და მშვიდობა.

ჩვენ ვიცით ჩაპლინის სიტყვები, რომლითაც იგი მიმართავდა რუზველტს: „რუსეთის ფრონტზე წყდება დემოკრატიის ბედი — იცოცხლოს თუ დაიღუპოს. მოკავშირე ერების ბედი კომუნისტების ხელთაა...“ და რომ საჭირო იყო მეორე ფრონტის არა ქაღალდებზე, არამედ კონტინენტზე გახსნა.

„ჩაპლინის საქმესთან“ დაკავშირებით, რომელიც ანტიამერიკულ საქმიანობის გამომრკვევმა კომისიამ გამოაცხო, ბევრი საყურადღებო რამ თქვეს იტალიური კინოხელოვნების მუშაკებმა და მათ შორის „ველოსიპედების გამტაცებლის“ სცენარის ავტორმა ჩეზარე ძავატინიმ.

„ჩაპლინის ფილმები — ესაა ეპოპეა ლატაკთა ბრძოლისა მდიდართა უხამს ქვეყანასთან, სადაც მეფობს უსამართლობა, სადაც გამუდმებით თელავენ უბრალო, კარგ, პატიოსან ადამიანებს“.

სავსე ახალგაზრდული გატაცებით, სიცოცხლისა და თავისუფლების სიყვარულით მუშაობს ჩაპლინი ახალი კინოფილმების შესაქმნელად. ის სიამოვნებით ჰყვება თავის გეგმებზე, თავის ახალ გმირებზე, სცენარებზე, რომლებიც სულ მალე შეისხამენ ფრთებს და მილიონობით პატიოსან ადამიანებს მოუტანენ სიმართლესა და სიხარულს.

ჯანმრთელი, აზრით სავსე სიცილის უბადლო და იშვიათი ოსტატი, მტკიცედ დგას მშვიდობის ჯარისკაცთა რიგებში.

ჩაპლინი დღეს პროგრესული ხელოვნების ჩირაღდანი და ერთ-ერთი მედროშეა. ასეთი იქნება იგი ხვალ, ასეთად იცნობენ და ელიან მას მისი მაყურებლები.

საბჭოთა კავშირში, იტალიასა თუ საფრანგეთში, თვით ამერიკაში და ყველგან დედამიწაზე, კეთილი ნების პატიოსანი ადამიანები თავიანთი საყვარელი მსახიობის გვერდით არიან და ისინი, რომლებმაც იგი დააჯილდოეს მშვიდობის საერთაშორისო პრემიით, მიმართავენ და ამხნევებენ მას მისივე სიტყვებით:

„მაგრამ გაქრება ქვეყნად კაცთმოძულეობა. დიქტატორები დაეცემიან და ხელისუფლება ხალხთა ხელში გადავა. არ შეიძლება დაიღუპოს თავისუფლება, სანამ ადამიანები მზად არიან თავი დასდონ მისთვის!“.



# უცნობი

**იან დრდა**

მხატვარი ზ. ლეჟავა

მოთხრობა

ეს იყო ღიაფერის მოკლეთმიანი, ოცდაათი წლის მამაკაცის გვამი. იგი შეუღებავ, თავლია კუბოში ესვენა და თითქოს საკუთარ სიკვდილს დასცინოდა. რკინიგზელის გახსნილ ხალათიდან ლურჯ და თეთრზოლებიანი მაისურა მოუჩანდა, რომელიც პირდაპირ ზედ გულთან ტყვიით იყო გახვრეტილი.

მკერდზე ვიღაცამ მოცისფრო იასამანი დაადო.

ასობით ადამიანმა ციებ-ცხელებიანივით ანთებული თვალებით გაუარა ამ კუბოს გვერდით. ისინი ეძებდნენ თავის დაკარგულ ნათესავებს და ათვალიერებდნენ უცნობ სახეს.

— დასწერეთ: „უცნობი რკინიგზელი", — ასე გადაწყვიტეს ბოლოს, როცა პრაღის ყველა სადგურის მოსამსახურეებმა ჩაუარეს კუბოს.

ეს კაცი არც ერთ მათგანს არასოდეს არ ენახა. მას საბუთები არ ჰქონდა. ჯიბეებში მხოლოდ ხმელი პურის ნატეხი და შვიდი კვნიტი შაქარი უპოვეს.

უცნობი წევს ბარიკადების დამცველ ძმათა საფლავში, ხოლო იმ სახლის კედელთან, სადაც იგი დაეცა, ლურსმანზე მისი ლურჯი ქუდი ჰკიდია, იქვე ვარდების პატარა თაიგული და მინიან ჩარჩოში ჩასმული წარწერაც მოჩანს:

> **5 მაისს ამ ადგილზე ესესელ ურდოებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა**
>
> **უცნობი რკინიგზელი.**

როდესაც იგი შაბათს საკაცეთი პირველი დახმარების პუნქტში მოიტანეს, ბევრი დავიდარაბა არ დასჭირებიათ.

„იქვე მომკვდარა", — თქვა ექიმმა, რომელმაც იგი გასინჯა. საკაცის უკანა სახელურს ხელებჩაჭიდებულმა ჭაბუკმა კი, ველვეტინის შარვალი რომ ეცვა და თავზე წითლად და თეთრად შეღებილი გერმანული მუზარადი ეხურა, დაუმატა:

— მე თვითონ დავინახე ის ჰიტლერელი, რომელმაც ამას სულ ახლოდან ესროლა. ისე წაიქცა, არც კი დაუკვნესია. დაწ...ყევლილი ბედისა ყოფილა...

* * *

ამ უცხო, უსახელო მდინარის წყალი ისევე, როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ, ნელა სცემდა ტალღებს კარჭაპის კედელს. გრიგორისთვის ეს დროის საზომი იყო. იგი იყურებოდა დახეთქილი ფიცრების ფარღალალიდან, რომლებიც წვიმისა და განსაცდელისგან იფარავდნენ მას, და მხოლოდ ნაპირიდან ნაპირამდე მსრბოლავ ნაცრისფერ-მწვანე წყლის ჭავლს ხედავდა. წყალი ისევე მიედინებოდა, როგორც დრო, რომელსაც იგი კარჭაპზე, ძველ ფიცრულ ქოხში ატარებდა, სადაც სამარისებური ობის სუნი იდგა და იატაკი ფეხქვეშ იზნიქებოდა, დიდი ხნის წინათ გამომტვრეული ფანჯრები კი მაღაზიის ძველი, შეღებილი თუნუქის აბრებით იყო აჭედილი.

ამ დილით გრიგორიმ მეთექვსმეტე ჭდე გააკეთა ხის საწოლის კიდეზე. მის ქვეშ, დანოტიოებულ თივაში იგი მალავდა ფარაჯას, წითელარმიულ მაუდის ქუდსა და გაცვეთილ წითელარმიულ გიმნასტურას, რომელიც ათასნაირი ნაჭრებით იყო დაკერებული, გარღვეული ნაკერები კი დაჟანგული მავთულის ნაწყვეტებით ჰქონდა დამაგრებული. შეიძლება უფრო ჭკვიანური ყოფილიყო, ყველაფერი ამისათვის ქვა გამოება და მდინარეში გადაეძახა, რათა უკანასკნელი კვალი დაეფარა. მას ისედაც ეცოფოდა შიშველ სხეულზე პერანგად ჩაცმული თავისი მატროსული ლურჯ და თეთრზოლებიანი მაისურა, რომლითაც მეზღვაურები სიკვდილს პირისპირ ეგებებიან.

მაგრამ განა მეზღვაურ გრიგორის ეს ტანსაცმელი ერთადერთ სახსოვრად, ერთადერთ სიამაყედ არ დარჩა? სილით დაუსრულებლად ხეხავდა იგი შერჩენილ ლითონის ხუთ ღილს, სანამ მათზე ვარსკვლავები ისე არ აბრჭყვიალდებოდნენ, როგორც სადღესასწაულო პარადის დროს.

— ამხანაგო მარშალო, ნება მომეცით მოგახსენოთ: გამოცხადდა გრიგორი იაკიმჩუკი, შავი ზღვის ფლოტის მეზღვაური, ოთხჯერ დავიჭერი, სამჯერ ვარ დაჯილდოებული. ტყვედ ჩავვარდი? ჩავვარდი. ნაღმმა, იმ უნამუსომ, მიწაზე დამანარცხა, სული კინაღამ გამაფრთხობინა, მაგრამ მეზღვაურული გული გამძლეა. კინაღამ სული გამძვრა, კინაღამ სიკვდილს ბრჭყალებში ჩავუვარდი, მაგრამ იმან კი არ დამიჭირა, ფრიცებმა დამიჭირეს. მიწაზე უგრძნობლად დაგდებული მნახეს და წამიყვანეს. ასეთი ყოფილა ჩემი ხვედრი: ნაღმოსანზე ორჯერ ვიხრჩობოდი, მაგრამ ზღვამ არ მიმიღო — უკან გამომაფურთხა; ხმელეთზე კი ცხვარივით ჩავუვარდი ხელში იმ წყეულებს. გერმანულ ნაღმთან სწორედ იმ დროს მივხოხდი, როცა მან აფეთქება განიზრახა. ყურებიდან სისხლი მდიოდა, ენა სრულიად წამერთვა. ძალ-ღონე დავკარგე, ამხანაგებთან ერთად ფეხშიშველა, მოჩვენებასავით მივლასლასებდი თოვლსა და ყინულზე. ჩექმები გამხადეს ურჯუკებმა. ღვედით მცემდნენ სახეში, ზურგში, სადაც მოხვდებოდათ. რატომ მცემ, წყეულო? ერთი შენთვის მახეთქვინა სიფათში! მაგრამ ხელები თითქოს სხვისია, არ მემორჩილებიან, ფეხები ერთმანეთში მეხლართება, ვფიქრობ: წავიქცევი, უმჯობესია ადგილზე მოვკვდე. ჩემს თავს კი, ამ შეჩვენებულს, არ სურს, უარობს: რად გინდა, რომ ჩაკვდე ქეციანი ძაღლივით? ძალა მოიკრიბე, გამხნევდი, არ დანებდე, მოვა დრო და, ჯავრს ამოვიყრითო. ჩემი თავი ჩინებული მეთაურია, კარგი პოლიტხელი — სასოწარკვეთილების ნებას არ მაძლევს. ორი წელიწადია ყოველდღე სულ ამავე ბრძანებას მიმეორებს: გამაგრდი, არ მოდუნდე. ბალახი სძოვე, დამპალი კარტოფილი ყლაპე, ხეებს ქერქი შემოახარი, ოღონდ გაუძელ, დაელოდე, სანამ ჩვენი ჟამი დაჰკრავდეს. ასეთი თავი მაქვს, ამხანაგო მარშალო, სწორი ბრძანების გაცემა იცის.

იმ საშინელი ორი წელიწადის მოგონება მოსვენებას არ აძლევს გრიგორის. მას ახსენდება საბედისწერო სილის საათი, რომლის თვითეული წამი სიკვდილის მომასწავებელი იყო, ხოლო წუთები ცოფიანი კვიცებივით მიჯირითობდნენ მოკლულთა გვამებზე. მთელი გერმანიის მიწა-წყალი საშინელებად იყო ქცეული, ხოლო უფრო საშინელი ის ადგილები იყო რომლებიც მავთულით ჰქონდათ შემოკავებული.

ნაღმით დაზიანებული სმენა გრიგორის მხოლოდ იმიტომ დაუბრუნდა, რომ ნაწამებ ადამიანთა კვნესა გაეგონა. მაგრამ ბაგეებს, რომლებიც წყევლა-კრულვისგან მუდამ დაღმეჭილი ჰქონდა, ველარ სძრავდა. რამდენჯერ დაუკბენია თავისი გაშეშებული ენა და სისხლი დაუდენია, რამდენჯერ, უკიდურესობამდე მისულს, განუზრახავს თავისი მუშტები აემოქმედებინა, — ერთი მაინც ვსთხლიშო, და მერე, თუგინდ მოვკვდეო, — გაუფიქრებია, მაგრამ წინდახედულად მოაზროვნე თავი, გულცივი მეთაური — გონება ყოველთვის ასწრებდა უკანასკნელ წუთში ხელის შეჩერებას: განა ღირს მხოლოდ ერთი გარტყმისთვის დაიღუპოს კაცმა თავი?!

ასე მოესწრო გრიგორი იმ დღეს, როცა შორიდან ზარბაზნების ქუხილი გაისმა, ხოლო ფერწასული ფრიცები აჩქარებით შეუდგნენ ტყვეების შეთხელებული ბრბოს პირუტყვისთვის განკუთვნილ ვაგონებში შერეკვას. დღეს ღამე სცვლის, სინათლეს სიბნელე, კვლავ თენდება, კვლავ ღამდება, და შიმშილის შეგრძნებით ათკეცად გაჭიანურებულ დროს დასასრული არ უჩანს. ბორბლები სამგლოვიარო პროცესიის დაფდაფებივით მონოტონურ რაკუნს გამოსცემენ, რომელიც მთელ გრძნობებს აჩლუნგებს. წინააღმდეგობის გაწევის ძალა აღარავის შესწევს. წყურვილისგან ღონემიხდილი ამხანაგები ერთიმეორეზე იღუპებიან და მათი გვამები გაძვალტყავებული სახეებით, ტრაგიკულად დახრჭენილი კბილებით ფიჩხდებიან ვაგონის იატაკზე. მხოლოდ გრიგორის ამხანაგი, რომელიც არტილერისტია და ასტრონომი, ღამით, ხანმოკლე გაჩერებების დროს, აკვირდება გაზაფხულის ცის თანავარსკვლავედებს. იგი გრიგორის მხრებზე დგება, სახით სარკმლის გისოსს ეკვრება და თანავარსკვლავედის მდებარეობის მიხედვით გზას საზღვრავს. „სამხრეთისკენ, სამხრეთისკენ", ამბობს იგი პირველსა და მეორე ღამესაც. მესამე ღამეს მას აღარ ძალუძს სარკმელამდე მილასლასდეს. „წყალი, წყალი..." კვნესით ჩასჩურჩულებს ყურში გრიგორის. მეხუთე ღამეს კვდება.

გრიგორი იაკიმჩუკი, ეს უკანასკნელი მებრძოლი, რომელიც სიკვდილის ამ საშინელ ღრეობას გადაურჩა, სრულიად მარტო დარჩა. წყურვილისგან ენა გაუსივდა, გრძნობამიხდილს თვალებზე ბინდი გადაეკრა. მას აღარ აგონდებოდა უკრაინა, თაფლის ფიჭასავით ოქროსფერი თავისი მშობლიური მხარე, აღარ ფიქრობდა შეყვითლებულ ხორბალზე, ადრეული შემოდგომის სურნელებით მსუნთქავ ვაშლებზე, ლურჯ ცაზე, ნავსადგურს რომ გადმოჰყურებს, აღარ ფიქრობდა სამშობლოს წარმტაც სილამაზეზე. წინათ კი ტიროდა იგი სამშობლოს დანატრულებული. გონებაში ახლა ცდილობდა თითებით შეხებოდა რკინას, სიძულვილივით ცივ რკინას. იგი მხოლოდ თავის ავტომატზე ფიქრობდა, ხელიდან რომ გაუვარდა ნაღმის აფეთქების დროს.

სირენის ყურთასმენის წამღებმა ღმუილმა გაარღვია მარადისობაში გარდამავალი მისი ძილის საბურველი. მათი მატარებელი — ეს ჩამწკრივებული ძმათა საფლავები — დგას უცხო მხარეში, კაცმა არ იცის, რომელი საათია. თავზემოთ საჰაერო ფლოტილიის მოტორები ზუზუნებენ. მარტო ისინი მეფობენ საშინელ სიჩუმეში, როცა სირენები დუმდებიან. გრიგორი — უკიდეგანო სიჩუმის ზღვაში ჩაძირული და დამსხვრეული ხომალდის ეს ნატეხი — ნიშანს ელოდება, ბომბების აფეთქებას, მაგრამ არაფერი ისმის.

სიჩუმე მწყობრ, მაღალ ნოტზე ხმიანობს. სადღაც ახლოს უცბად ქვიშა გახრაშუნდა, თითქოს ადამიანმა გაიარაო მსუბუქი ნაბიჯით. შემდეგ ვიღაც ხელს ადებს ვაგონის კარების საკეტ რკინის ჩანგალს. გაზაფხულის დღე უცქერის გრიგორის კარის ღრიჭოდან. დღე. ცა. ჰაერი. თითქოს სიზმარია. გრიგორი ხედავს უცხო კაცს. ტანმორჩილი, შავგვრემანი, გამურულსახიანი კაცი ვაგონში იცქირება. ადამიანი. ფრიცი კი არა, ადამიანი. მას თვალები შიშით ევსება ამ სასაფლაოს დანახვაზე. შემდეგ იგი ამჩნევს გრიგორის, ერთადერთ ცოცხალ ადამიანს. კარებს ბეჭით აწვება, გასასვლელად ღრიჭოს აფართოებს. ხმას არ იღებს. მხოლოდ საზეიმო, უსიტყვო მოძრაობით მაღლა სწევს პატარა ბაირაღს, რომელიც იღლიის ქვეშ ეჭირა, და უჩვენებს მის ფერს — წითელს.

ასეთია მატროს გრიგორის გაქცევის ისტორია.

საჰაერო განგაშის დროს, როცა ფრიცები თავშესაფარში შეძვრნენ, უცნობ სადგურზე, უცნობ ქალაქში, ნახშირისა და ნაცრის გროვაში მირბოდა გრიგორი იქითკენ, საითაც ბაირაღიანმა კაცმა უჩვენა. ლიანდაგის ისრებზე ფეხები კინაღამ დაიმტვრია, ფიცრულ ღობეზე გადაძვრა და განაპირა უბნის ქუჩების ლაბირინთში ჩაიკარგა. უცბად ნესტოებით შეისრუტა მდინარის ლამის სუნი. მიხვეულ-მოხვეულმა, პატარა ქუჩამ იგი მდინარესთან გაიყვანა. ჭუჭყიანი, მღვრიე, ზედაპირზე ცხიმის ლაქებით მოდებული მდინარე წყურვილს უკლავს გრიგორის. შუაღამემდე იგი გადმობრუნებული ნავის ქვეშ იმალებოდა. როცა კატის თვალივით ვიწრო, დამცხრალი ნამგალა მთვარე გამოჩნდა, გრიგორი კვლავ გზას გაუდგა გაჭირვებით. იგი გავიდა ხიდზე, რადგან გრძნობდა, რომ ქალაქის განაპირა უბანი აქედან უფრო ახლო იქნებოდა. მაგრამ მდინარის წყალაღმა ნაპირით ორასი მეტრის გავლაც ვერ მოასწრო, რომ სისუსტისგან მუხლები მოეკვეთა, ინსტინქტურად, ვით ცხოველი, რომელიც სიკვდილის წინ მარტოობას ეძებს, იგი კარჭაპზე დადგმულ ძველ ქოხმახამდე მიხოხდა. უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, გამოგლიჯა დამპალი ფიცრიდან ჩაჟანგული ანჯამა, ხელის ფათურით იპოვა ლეიბიანი საწოლი, და აღარც უფიქრია მოსალოდნელ საფრთხეზე, ისე მიეცა ღრმა ძილს, რომელიც გრძნობის დაკარგვას უფრო ჰგავდა.

* * *

ჩაფიქრებული უყურებს გრიგორი უცხო, უსახელო ქალაქს, მისი უცნობი სახის მცირედ ნაწილს, რომელიც კარჭაპის ფიცრებს შორის ფარღალალიდან მოჩანს. მარჯვნივ, შენობებს ამოფარებული ფაბრიკის ოთხი მილია ამოშვერილი, რომლებიც თავისი წვეტებით ქალაქზე გადმოხურულ კვამლის ფარდას ხევენ. მარცხნივ, იქ, სადაც გრძელი, შავად შეღებილი კარჭაპები შემოდიან და წყალაღმა ბუქსირით მიჰყვებიან ნაცრისფერ პატარა გემებს, აშვერილია ამწეს ფოლადის ცაცები. მათ შორის კი, მოპირდაპირე ნაპირზე, განიერ ალაყაფის კარებთან, ჩამუქებული ხის საწყობების გვერდით, დაბალი სატვირთო ვაგონები მოძრაობენ. ვაგონიდან ვაგონთან მირბიან გადამბმელთა ფიგურები და სიგნალს აძლევენ სასტვენებით, რომელთა ხმაც კოღოს წუილივით გაისმის მდინარის გაღმა. ადვილი მისახვედრია, რომ ისინი გერმანელებისთვის მუშაობენ!

კარჭაპის ბანიდან, სადაც გრიგორი მოეწყო, ძნელი როდი იქნებოდა ტყვიამფრქვევის ერთი ჯერით მტრის ამ ფაციფუცის შეწყვეტა, რომ...

არა, ეს არც ისე უბრალო საქმეა. გრიგორის თვალის დასანახავად ეზარებოდა ეს სხვისი ვაგონები, მაგრამ არ შეეძლო სძულებოდა ამ ვაგონების ირგვლივ მყოფი უცხო ადამიანები. ერთმა მათგანმა კუბოს სახურავი ახადა — ვაგონის კარები გახსნა და მის სახეზე გრიგორიმ, გარდა მკვდრების დანახვით გამოწვეული საშინელებისა, შენიშნა კიდევ რაღაც ისეთი, რაც დიდი ხანია აღარ ენახა. მან დაინახა ადამიანის გულიდან გამონაშუქი სინათლე, სწორედ ისეთი, შინ, გემზე და თვით ბანაკის მეგობრებშიც კი ყოველთვის რომ ხედავდა, სანამ შიმშილმა და სიკვდილმა არ ჩააქრო ის მათ თვალებში. დაინახა შუქი, რომელიც ადამიანიდან ადამიანზე გადადის, ხოლო ჰიტლერელებს მისი ნიშანწყალიც არ შერჩენოდათ. არა, არ შეიძლებოდა ეს კაცი ჰიტლერელი ყოფილიყო.



არ შეიძლებოდა ჰიტლერელი ყოფილიყო ისიც, მეორეც, რომელმაც აგრეთვე სიკვდილს გადაარჩინა გრიგორი. გაქცევის შემდეგ გრიგორი დღე-ღამის განმავლობაში ნოტიო ლეიბზე იწვა. შიმშილისა და ციებ-ცხელებისგან ცახცახებდა, ხან უძილობით ეწამებოდა, ხან უფრო მტანჯველი უგრძნობლობა შეიპყრობდა; მაშინ ურჩხულთა მოჩვენებანი სდევნიდნენ, რომელთა ბრჭყალებისგან ეს-ესაა თავი დააღწია. წყურვილით ყელი უშრებოდა, სიჩუმეში კი, სულ ორ ნაბიჯზე მის მწყურვალე ბაგეთაგან ესმოდა, როგორ ტყლაშუნობდა წყალი კარჭაპის ქიმზე. ეჰ, დღისით რომ ღამე დადგებოდეს, ბანზე შეძლოს გამოხოხება, თითების დასველება, პეშვით ერთი ყლუპი წყლის ამოღება მაინც. ნახევარი დღე ებრძოდა ამ ცთუნებას, დაბინდებას ელოდა, ჭუჭრუტანიდან გასცქეროდა გაზაფხულის მზეს, რომელიც, როგორც მას ეჩვენებოდა, უმოძრაოდ იდგა საღამოს ცაზე. მზის ჩასვლამდე მაინც მოითმინა.

მაგრამ აი ჩამოწვა გაზაფხულის ხანგრძლივი ბინდი, როცა ჩამავალი მზის სხივი ჯოველი წამისთვის იბრძვის; აქ უკვე ველარ გაუძლო. მიფორთხდა ბანის კიდემდე, დაიხარა ჩამუქებული წყლისკენ, ღრმად ჩაუშვა წყალში ხელები და ხარბად ყლუპზე ყლუპს სვამდა მდინარის ჭუჭყს, სანამ წყურვილი არ მოიკლა. მაგრამ, როცა ადგომა დააპირა, თავბრუ ისე დაეხვა, რომ დიდი გაჭირვებით აიწია კარჭაპის კიდემდე და ზედ უღონოდ ზღართანი მოადინა.

რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, სანაპიროზე უცხო კაცი იდგა. ღმერთმა იცის, ასე მოულოდნელად საიდან გაჩნდა. იგი შეშინებული ადევნებდა თვალს გრიგორის ამაო ბრძოლას თავის უძლურ სხეულთან. შემდეგ გაუბედავად მიიხედ-მოიხედა, თითქოს მოწმეების ეშინიაო. როცა დარწმუნდა, რომ არავინ იყო, ფერდობზე დაეშვა, ერთი ნახტომით ბანზე გაჩნდა, ხელი დასტაცა დაძაბუნებულ სხეულს და ჯიხურში შეათრია. საწოლზე რომ დააწვინა, კაცმა ნახევრად სიბნელეში თვალებით დაიწყო ძებნა — რა დაეფარებინა ავადმყოფისთვის. უმწეობისგან ერთი წამით ხელები ჩამოუშვა, იგი შეაძრწუნა ამ სოროს სიცარიელემ, სადაც ლეიბის მეტი არაფერი მოიძებნებოდა.

გრიგორი ფართოდ გახელილი თვალებით,—ერთადერთი, რასაც იგი ჯერ კიდევ ფლობდა, — მიაჩერდა ამ კაცს, რომლის ხელში იყო ახლა მისი ბედ-იღბალი. მკრთალად მოჩანდა უცნობის სახე და ამ სახეზე თვალებით ეძებდა გრიგორი პასუხს. წავა და გამცემს? მაგრამ, როცა გრიგორიმ იმ კაცის ღრმად ჩაცვივნულ და მოულოდნელი ზრუნვით დაბინდულ თვალებს შეხედა, აშკარად იგრძნო: არ გამცემსო. მის სახეზედაც ატანდა ის შინაგანი შუქი, ურომლისოდ ადამიანი მხეცად იქცევა.

მათ შორის ერთი სიტყვაც არ თქმულა, ისევე, როგორც იმ პირველთან. კაცმა უეცრად ზურგი შეაქცია. ეტყობოდა, რაღაც გადაწყვიტა, ან მიხვდა, რომ უმწეო იყო დახმარების აღმოჩენაში. შემდეგ ბანზე გავიდა და გრიგორის მოესმა კარის რაზის ჩხაკუნი. ჩაკეტა. ჩამკეტა? მაგრამ არ შეშინებია. უცნობის სახემ მასში რწმენის გრძნობა გაალვიძა.

დილით თავისი საწოლის ფეხთით ფუთა ნახა. ფუთაში მუქი ლურჯი კოსტიუმი, პერანგი, ერთი წყვილი ფეხსაცმელი და წინდა, პური, მარილი, დანა, ბოთლი ჩაით, საპონი, ფინჯანი და შაქრის კვნიტები იყო გამოკრული. აქვე იყო ქუდი, რომელსაც საჩიხის ზემოთ ფრთიანი ბორბალი ჰქონდა მიკერებული. შესაძლებელია, ის ერთი იმათთაგანი იყო, ვინც მდინარის გაღმა გერმანელთა ვაგონებს ერთმანეთზე აბამდა. შესაძლოა, ეს სწორედ ის არის, რომ უსტვენს და ორთქლმავლებს სიგნალს აძლევს!

კაცი ყოველ განთიადისას, დღეგამოშვებით დადის აქ. წყნარად აღებს კარებს, დებს ფეხთით ფუთას საჭმელით, და უხმოდ გადის, რადგან ჰგონია, რომ გრიგორის სძინავსო. გრიგორი თვალყურს ადევნებს მას ნახევრად თვალებდახუჭული. რას არ მისცემდა, რომ მისი დამუნჯებული ენა უცბად ამეტყველებულიყო, ერთი საათით მაინც, და შესაძლებლობა მისცემოდა ეთქვა: „მოიცადე, ამხანაგო! ვისაუბროთ. იცი, ისე, ადამიანურად, სულითა და გულით, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე“. გრიგორის სიმუნჯის სევდა ახრჩობს, ისევ და ისევ ფიქრობს ამ სანუკვარ საუბარზე: „ვინ ხართ, თქვენ, უცნაურო ადამიანებო, თქვენ ხომ ფრიცები არა ხართ. რა ეწოდება თქვენს ქალაქს?“ მაგრამ უცნობი, რომელიც მუქლურჯ ტანსაცმელს ატარებს, ყოველთვის ხმის ამოუღებლივ მიდის. შემდეგ, მარტოობაში გრიგორი ამაოდ ცდილობს ამოხსნას ეს თავსატეხი ამოცანა.

„აი, ხედავ, ისევ მანევრებია. ვაგონებით გადააქვთ ტვირთი ნავმისადგომში. გადააქვთ გერმანელებისთვის. მათი ომისთვის. ტყვიამფრქვევის ერთი ლენტი რომ მქონდეს ხელთ, ერთხელ მაინც დავაჭერდი მსხლეტს ცერს.

არა, ვერ შევძლებდი მესროლა თქვენთვის, წყალგაღმელო მუქლურჯა ხალხო! ვერ შევძლებდი. ფრიცებივით ომის მანქანა როდი ვარ. მე უნდა ვიცოდე, რატომ და რისთვის ვიბრძვი. ჩვენთან თვითეულმა ადამიანმა იცის, რომ ისინი შემოიჭრნენ ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებაში, ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. სოფლები გადაწვეს. ქალაქები დაანგრიეს. ადამიანებს კი რა დამართეს? უმჯობესია, ამაზე არ ვილაპარაკოთ. ღმერთგამწყრალნი ხეებსაც არ ახარებენ! ხერხავენ ვაშლის ხეებს, ხიშტით აპობენ ჭერამის ნორჩ ნარგავებს. ასეთია ფაშიზმი: ის სპობს, ხოცავს ადამიანსაც, პირუტყვსაც, ხესაც. ამიტომ, ამხანაგებო, ჩვენ ვურტყამთ ფრიცებს! თქვენ კი მანდ, წყალგაღმელებო, ვითომც აქ არაფერიაო, მათთვის ვაგონებს ტვირთავთ. განა არ იცნობთ იმათ? ან იქნებ გეშინიათ?“

ამ კითხვით უკვე მესედ მიმართავს გრიგორი უცნობ ქალაქს, კითხვით, საყვედურით, — და მუქლურჯი ფორმა სხეულს სწვავს. დღითი დღე იკრებს ძალღონეს აღმოსავლეთისკენ, თავისიანებთან, უშიშრებთან გასაქცევად.

გრიგორიმ არაფერი იცის იმის შესახებ, რომ ამ ქალაქშიც დაჰკრა აღსასრულის ჟამმა.

ორთქლმავალი გაჩერდა. ნაპირიდან ლურჯები წავიდნენ. სასიგნალო სასტვენები დადუმდნენ; ჭუჭრუტანიდან გრიგორი მხოლოდ ვაგონებს, ამწეებს, კარჭაპებს, ხიშტებივით აღმართულ მილებს ხედავს, მის თვალწინ მკვდარი საგნებია, რომლებიც განურჩევლად ყველას გაუწევენ სამსახურს. ირგვლივ კი პირქუში დილის ნაცრისფერი შორეთია. ასეთი ერთფეროვნებით დაქანცულმა გრიგორიმ თვალი მოაშორა ჭუჭრუტანას, მაგრამ სწორედ ამ დროს გაისმა თოფის სამი გასროლა იქ, წყალგაღმა, ნავმისადგომთან. გრიგორი მიიჭრა უახლოეს ჭუჭრუტანასთან. ვინ მისცა იმედის სიგნალი? ვერაფერს ხედავს. მუშტი ჰკრა და გააგდო ფანჯარაზე მიჭედილი თუნუქი. რახან სროლა დაიწყეს, სიფრთხილე რაღა საჭიროა. ნაცრისფერ ფონზე მხოლოდ ახლა გადაიშალა აქამდე უცნობი ცხოვრება.

იქ, მუქი შენობის სახურავზე, კაცი მირბის, ჩვენიანი, მუქლურჯი. აწეულ ხელებში რაღაც უჭირავს. გრიგორის გული უფრთხიალებს. აჰა, ქალაქი პასუხობს! მუქლურჯები პასუხობენ. ვაგონებისა და ამწეების, საწყობებისა და ფაბრიკების თავზემოთ, მაღალ ჭოგრზე მუქლურჯიანის ხელით აღმართული წითელი დროშა ფრიალებს.

ამოცანა ამოხსნილია. გრიგორისთვის უკვე ყველაფერი ნათელია. ეს ჩვენი ქალაქია. ქედმოუხრელ ადამიანთა ქალაქი. და რაც უნდა ჰქვიოდეს მას, გრიგორი გულით მისკენ მიიწევს. მან უცბად გადაიფიქრა გაქცევა, ხელი დასტაცა მუქლურჯ ქუდს, გადახტა ნაპირზე და ხიდისკენ გაქანდა. იგი უკვე მარტო არ არის. აუარებელი ხალხი მირბის იმავე მიმართულებით. მამაკაცები და მოზარდები. ხიდთან ცალკეული ჯგუფები ხალხს უერთდებიან. უიარაღოდ. ცულებით, ძალაყინებით, ქვებით ხელში, ან სრულებით უიარაღონი. მაგრამ მირბიან ისე, თითქოს ყველა ხიშტით იყოს შეიარაღებული.

* * *

ხიდს გაღმა უკვე სროლაა. ქვაფენილიდან ასხლეტილი ტყვიები ამსხვრევენ ფანჯრის მინებს. ხალხის ნაკადი მიედინება სახლებში, ეზოებში, ბაღებზე, გარს უვლის იმ ადგილს, საიდანაც ისვრიან; კედლებიდან, ღობეებიდან, მდინარის ნაპირიდან ხალხის ნაკადმა გაარღვია ფრიცების ზურგში. უიარაღონი ქვაფენილიდან გზადაგზა აძრობენ თლილ ქვებს.

მარყუჟი ვიწროვდება.

გრიგორი საფარზე არ ფიქრობს, არ ფიქრობს ტაქტიკაზე. იგი ქუჩაში გარბის პირდაპირ ტყვიის სეტყვაში. სახლიდან სახლისკენ გადარბიან მსროლელთა ფიგურები. თავს ესხმიან? უკან იხევენ? ხელებგაშლილი ეცემიან განგმირული ადამიანები ქვაფენილზე. კაცმა, რომელიც გრიგორის გვერდით გარბოდა, ხელი სტაცა მას ნიდაყვში და სწრაფად განზე, სახლებისკენ წაიყვანა თავშესაფარად. მაშინვე კედელზე ტყვიები ატკაცუნდნენ, გერმანული ტყვიამფრქვევი ნამცეცებად აქცევს აგურსა და კირს. უცნობი ამხანაგის გვერდით მდგომი გრიგორი წყვეტილად სუნთქავს. გრიგორის ესმის მისი სიტყვები, გაუგებარი, მაგრამ მაინც ასე ახლობელი. ამ სიტყვებიდან შრომალის გაგება შეეძლო, ამის დრო რომ ყოფილიყო. მაგრამ გრიგორის სმენაცა და მხედველობაც მიპყრობილია იმისკენ, რაც ქუჩაში ხდება. მუქლურჯები იხევენ. იხევენ სამოქალაქო ტანსაცმლიანებიც — მუშები, ჩვენები, სადარბაზო შესასვლელებში იმალებიან და იმ მიმართულებით ისვრიან, საიდანაც მოირბინეს. ისვრიან შაშხანებიდან, ან რევოლვერებიდან. ერთი მათგანი, ტყვიამფრქვევის ჯერით მოცელილი, ტროტუარზე ეცემა, თითქმის გრიგორის გვერდით. გრიგორიმ ძლივს გამოართვა მოკლულს მოჭერილ ხელებში შაშხანა, ხის კონდახზე ჯერ ისევ იგრძნობოდა მისი თითების სითბო.

მოულოდნელად, მოპირდაპირე ტროტუარზე გერმანელმა მეავტომატემ გაირბინა, ჭრელ ლაბადაწამოსხმულმა ესესელმა. სირბილის დროს მან აშკარა განცვიფრებით შეავლო თვალი გრიგორის, ბრაზისგან მთელი ტანით შეტორტმანდა და შეეცადა ავტომატის ლულა მისკენ მიეტრიალებინა. გრიგორის გვერდით უცნობმა ამხანაგმა ერთი საშინლად შეჰყვირა. ვინ დაასწრებს? გრიგორიმ გაისროლა, ესესელს ტყვია კისერში მოხვდა. გამოუთქმელი განცვიფრებისგან დამანჭული ესესელი უცნაურად შემოტრიალდა ფეხის წვერზე და მოცელილივით დაასკდა ტროტუარს. გრიგორი მივარდა მის იარაღს.

რკინის სიცივე, სიძულვილივით ულმობელი, გრიგორის ცხოვრების ყველაზე მწარე დღეების ეს ოცნება, უკვე სინამდვილედ იქცა: ორივე ხელით უჭირავს მას ავტომატი. მოკლული ესესელის უკან, ტროტუარზე ჩასაფრებულმა გრიგორიმ სწრაფად მოავლო თვალი მთელ ქუჩას. ჩვენებმა, რომლებიც ბაღებსა და ეზოებზე მორბოდნენ, ჰიტლერელებს ფლანგიდან შემოუარეს, თავს დაესხნენ, ესვრიან არა მარტო ქვებს, ქვაფენილის თლილ ქვებს, არამედ ხელყუმბარებსაც, ესვრიან ფანჯრებიდან და ჭიშკრებიდან. ქვაფენილზე, გრიგორის სულ ახლოს, სამი მოკლული ჰიტლერელი აგდია. დანარჩენები, რომლებმაც უპირატესობა უკვე დაჰკარგეს და ხელიდან გამოეცალათ პროფესიულ მკვლელთა აპლომბი, უკან იხევენ, დაკეტილ სადარბაზო შესასვლელებს აწყდებიან, მაგრამ თვითეულ ჩიხში, სადაც ისინი შერბიან, მათ სიკვდილი სდარაჯობს.

კონტრშეტევის დრო დადგა. გრიგორი იაკიმჩუკი, როგორც მაშინ, ახლაც პირველი გაიჭრა წინ. მის ფეხქვეშ მიწას გუგუნი გაუდის, ეს უცხო, უსახელო ქალაქის ქვაფენილი კი არ არის, ნაწამები მშობლიური მიწაა, ჩვენი, ჩვენი მიწა! და ყველგან, ირგვლივ, მის ზურგს უკან ისმის მისი ამხანაგების — მუქლურჯ ტანსაცმლიანი რკინიგზელების, ნავმისადგომის მტვირთავების, მუშების კურტაკებში გამოწყობილი ჭაბუკების, დიდისა და პატარას საბრძოლო ყიჟინა.

მთელი ქალაქი ძმური ერთსულოვნებით მირბის გრიგორის მეთაურობით. შურისგების საშინელმა ქარიშხალმა გადაურა ქუჩას.

მსუბუქმა, ცივმა თრთოლვამ მსწრაფლ შესწყვიტა გრიგორის სირბილი, თითქოს შუბლით მინის კედელს დაეჯახა. ძლიერი ბიძგი... წამით შორეულმა მოგონებამ გაუელვა. ნაღმი? არა, არა!

იგი ხომ ისევ მირბის და მირბის შეუჩერებლივ. სიხარული მიაქროლებს, მსუბუქი ფეხები მიწას აღარ ეკარებიან, ბიძგმა კი დამუნჯებული ენა ამოუდგა და გაცოცხლებული ბაგეებით გამარჯვების საზეიმო „ვაშა!“ შესძახა.

ჩეხურიდან თარგმნა
**შალვა გვინჩიძემ**



ა. პუშკინი

# პოლტავა

ნახატი ს. ქობულაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ნაწყვეტი)

ღამეა ჩუმი, ვარსკვლავიანი.
ჩანს მხოლოდ ერთი მგზავრი გვიანი.
ვისია ნეტავ ეს მარდი ცხენი,
რომ არ ილლება ტრამალზე რბენით?

კაზაკმა გაჰკრა ბედაურს დეზი,
ჩრდილოეთისკენ აილო გეზი.
წინ მიისწრაფის ამ გეზით სულ ის,
არა სურს არსად მას მოთქმა სულის.

ვით მინა, ხმალი მისი კრიალებს,
უბის ქისაში ოქრო წკრიალებს.
ცხენმა არ იცის წაფორხილება
და სიჩქარეში ქარს ეცილება.

ვაუს იმედი აქვს ბასრი ხმალისა,
ცხენი ჩინია მისი თვალისა,
მას ოქროები გზაში სჭირია —
ქუდი კი მისთვის უფრო ძვირია.

ამ ქუდისათვის მზად არის ისა,
რომ დასთმოს ცხენი, ხმალი და ქისა;
ქუდს კი გაატანს შემომტევს ავსა,
თუ გააყოლებს თან გიჟმაჟ თავსა.

ნეტავი რა აქვს ამ ქუდის შიგნით?
შიგ დაუმალავს დასმენის წიგნი.
მას პეტრე მეფეს მიართმევს ხელში...
თოკს წაუჭერენ მაზეპას ყელში!

მაზეპას ეჭვიც არ ეპარება,
რა შავი ნისლიც თავს ეფარება,
და ვერაგ საქმეს განაგრძობს ფრთხილად.
იეზუიტი მას ახლავს ჩრდილად
და ურჩევს, ამბობს თუ რა სჭირდება;
თანაც მას მერყევ ტახტსა ჰპირდება.

ისინი ღამით, ქურდების მსგავსად,
ბჭობენ, ვაჭრობენ, პირობებს ჰკრავენ,
მანიფესტებსაც ერთადა სთხზავენ,
მომხრეთა ფიცს და თვით მეფის თავსა
ცივ ანგარიშით ადებენ ფასსა.
გლახაკ: ერთი კარგა ხანია
შემოდის ხოლმე ნაბიჯით ნელით.
მისი შემყვანი და გამყვანია
ორლიკ — მაზეპას მარჯვენა ხელი.
არ იცის კაცმა, საიდან, როდის,
რა საქმის გამო იგი აქ მოდის.
მსახურნი მისნი სულ დაძვრებიან
აქეთ-იქით და ღვარძლსა სთესავენ;
დონზე ბულავინს შეუკრებია
კაზაკები და კბილს ილესავენ.
აგრეთვე დნეპრის ჭორომს იქითაც
მისი კაცები დასისინებენ
და დაუდეგარ ხალხს აშინებენ
პეტრეს მეფური სისასტიკითა.
სწვდება ყველაფერს მაზეპას თვალი,
ჰგზავნის წერილებს, არ აგვიანებს:
მოსკოვის მიმართ ეშმაკურ ძალით
ბალჩისარაის აგულიანებს.
გეტმანს ყურს უგდებს ვარშავის სეფე,
აგრეთვე ფაშა, ოჩაკოვს მჯდარი,
ჯართა ბანაკში კარლოს და მეფე —
ყველამ გაუღო მას გულის კარი.
იგი ფიქრს ფიქრით ანვითარებდა,
რომ მოეტანა საქვეყნო ვნება,
დაღლას ახლოსაც არ იკარებდა,
გაიორკეცა ბოროტი ნება.

მაგრამ ვით შეკრთა, ვით დაჰკრა ფეხი
სიბრაზით მიწას, როდესაც მეხი
მის თავზე უცებ აგრგვინდა ავად!
იმას, რუსეთის მოძულეს, თავად
რუსეთისავე დიდებულები
გადუგზავნიან დასმენის ქაღალდს,
თანაც უთვლიან დიდ ერთგულებით,
ვით მსხვერპლს, ალერსის და ქების ღაღადს,
ნაცვლად მუქარის მართებულისა.
იმ ჟამად პეტრეს ფიქრის, გულისა
მპყრობელი იყო ომისთვის ზრუნვა;
დასმენა, რამაც შეჰყარა ჭმუნვა,
ჩასთვალა მხოლოდ ცილისწამებად;
ნუგეშის ცემით სცადა ამება
იმ იუდასი, თანაც მწვავეთა
დასჯას დაჰპირდა დამნაშავეთა.
მაზეპას ვითომც ნაღველი მწველი
სდაგავს და ჩივილს მეფის წინ ჰბედავს:
„უფალმა უწყის და ხალხიც ხედავს,
რომ, ვით გეტმანი, ის ოცი წელი
მეფეს ერთგულად ემსახურება.
იგი ბედს როგორ დაემდურება,
მაშინ როდესაც ხელმწიფე ქველი
უსაზღვროდ მისი მწყალობელია?
ო, რა სამძიმო, ო, რა ძნელია
კაცთა შური და სიავე ბნელი!
ის არის უკვე კუბოს წინ მდგარი
და ნუთუ ახლა მან გულის კარი
გაუღოს ღალატს, მთლად მისთვის უცხოს?
თუ კი მეფის მტრებს იგი ხელს უწყობს,
ფიქრობს ღალატზე, ფიქრობს ვნებაზე,
მაშინ სტანისლავს დახმარებაზე
რად უთხრა იმან ზიზღით უარი?
თუ სხვა რამ უნდა, ანე თუ არი,
რად დაჰგმო ტახტი უკრაინისა?
ყველა პირობას, ფარულ წერილსა,
მისგან მიღებულს, ან დაჭერილსა,
არ წარადგენდა მეფის წინ ისა,
როგორც ეს იმას ევალებოდა?
განა მან ხანის ხმა აღგზნებული
ან სულთნის თხოვნა დაჟინებული
ყურთ ილო? იგი მტრულად ხვდებოდა,
ხმლითა და ჰკუით ეომებოდა
თეთრი ხელმწიფის თვითეულ მტერსა,
და ბევრიც შესძლო აქ ჭირთა თმენა.
ახლა მას უხდის ბოროტი ენა
საგინებელლად ჭაღარა წვერსა!
მერე ვინ არის მტერი უწყალო?
კოჩუბეი და ისკრა! უფალო!
ჩემივე ძმები ჭირსა და ლხინში!“
მხეცი გეტმანი, ჩამდგარი ჟინში,
მეფეს ამ საქმის მართებულ განსჯას
ენუკვის ბილწი ცრემლების დენით
და, თავხედობის გულცივი ჩენით,
მოითხოვს იმათ სიკვდილით დასჯას...
ვის დასჯას?.. მკაცრი მოხუცებულო!
იმის მკლავებში ვისი ქალია?
ურჩობს გულისხმა მისუსტებული,
მაგრამ ამ ხმისთვის როდი სცალია.
ის ამბობს: „ბრძოლა წასაგებელი
ამ გაგიჟებულს რად განუზრახავს?
თავის მომსპობი და ამკლებელი
საშუალება თვითვე უნახავს.
საითკენ გარბის დახშულ თვალებით?
რისი იმედით, რა დავალებით?
ან... მაგრამ ქალის სიყვარულს განა
ძალუძს, რომ იხსნას მშობელის თავი?
სჯობს მიჯნურს დაჰკრას გეტმანმა დანა,
თორემ დადგება დღე ჩემთვის შავი“.
მარია! ვაი, ბედშავო ქალო,
ჩერკასელ ქალთა დამაშვენარო!
იცოდე მაინც, თუ ვისა სწყალობ,
რა გველს ეხვევი, ტანო კენარო!
როგორის ძალით გაუგებარით
გატაცებული, ვნებით მგზნებარი,
მიჰკედლებიხარ იმ გარყვნილ სულსა?
მსხვერპლად ექეცი რა მხეცის გულსა?
მისი ჭაღარა თმების რკალები,
სახის ნაოჭი, მისი ძლიერი,
ღრმად შეწეული ცეცხლის თვალები
და საუბარი მისი ცბიერი
შენთვის გამხდარა თვით სულზე ტკბილი.
გულს მათთვის დედა დაათმობინე,
და სარეცელი, ცთუნებით შლილი,
მშობელი სახლის კარს ამჯობინე.
თილისმურ თვალთა სხივების ფენით
მოგაჯადოვა მოხუცმა შენა,
და მოთაფლულმა იმისმა ენამ
სულ მიაძინა სინდისი შენი.
გსურს ჭვრეტა შენი მომხიბლავისა
და საუბარი მისი გწყურია;
შენი შერცხვენა, მოჭრა თავისა
თვით შენთვისავე საამურია;
შენ ამ შერცხვენით გაგიჟებული,
ამაყობ, როგორც უბიწოებით;
დაჰგმე მორცხვობა მუდამ ქებული,
და ცოდვას უკმევ ღრმა სასოებით...

თარგმანი
კონსტანტინე ჭიჭინაძისა



# კინოტექნიკის ისტორიიდან

დავით კანდელაკი
კინოოპერატორი

ხელოვნების დარგთა შორის კინო ყველაზე ნორჩი დარგია.

1895 წლის 28 დეკემბერს ნაჩვენები იქნა „სინემატოგრაფის" პირველი წარმოდგენა. სინათლე ჩაქრა და თეთრი ტილოს ეკრანზე გამოჩნდა ვაგზლის პერონი, რომელსაც მატარებელი უახლოვდებოდა. ამ სანახაობამ დააფრთხო და გაAოცა მაყურებელი. პირველ წუთებში ისინი შიშისაგან აქეთ-იქით იწევდნენ — თითქოს ეკრანს თავს არიდებდნენ, რადგან ლოკომოტივი პირდაპირ მაყურებლისაკენ მოექანებოდა! მაგრამ შიში და გაოცება თანდათან გაიფანტა და აღტაცებითა და ტაშისცემით შეიცვალა. სეანსის შემდეგ მაყურებლები რიდითა და უნდობლობით ხელს კიდებდნენ და სინჯავდნენ ეკრანის ტილოს.

რა არის კინემატოგრაფი? როგორ გაჩნდა იგი პირველად და როგორაა მოწყობილი? როგორ ცოცხლდება ეკრანზე კინოფირის უძრავი ფოტოგრაფიული სურათი? როგორ ხდება კინოფირზე ბგერის ჩაწერა და საერთოდ როგორ იქმნება კინოსურათი?

მრავალი ათასეული წლის წინათ ადამიანი ქვაზე ამოკვეთდა ცხოველთა გამოსახულებას. ასეთ სურათებზე მხეცები თითქოს მოძრაობაში არიან გამოხატულნი. ადამიანმა უძველეს დროშივე ისწავლა გარემო ცხოვრების ასახვა სურათებში, თიხის ქანდაკებებში. ყველა დროისა და ყველა ხალხის მხატვრები ცდილობდნენ გამოესახათ ცხოვრება ისე, როგორც ის სინამდვილეშია ე. ი. მოძრაობაში.

მაგრამ რაგინდ სრულქმნილიც არ უნდა ყოფილიყო სურათი, თუ ქანდაკება, მას შეეძლო მოვლენის მხოლოდ ერთი მდგომარეობის აღბეჭდვა. მერედა, რა წარმტაცი იქნებოდა მოძრავი გამოსახულების მიღება! ადამიანს მუდამ ხიბლავდა ეს აზრი.



ას წელზე მეტი ხნის წინათ გაჩნდა ერთი საინტერესო სათამაშო — სტრობოსკოპი (ბერძნული სიტყვა — სტრობოს ნიშნავს ბრუნვას) (იხ. სურ. 1). ის ძალიან უბრალოდ არი გაკეთებული. მცირე ზომის ღერძზე ამაგრებენ მუყაოს ორ წრე-ფირფიტას. ერთ მათგანზე ათავსებენ რაიმე მოძრავი ფიგურის სურათებს მოძრაობის სხვადასხვა თანმიმდევრულ მდგომარეობაში. მაგალითად, პატარა ბიჭს, რომელიც თოკზე ხტება (სურ. 2); თვითეული მომდევნო სურათი ოდნავ განსხვავდება წინამდებარისაგან და ასახავს ბიჭის მოძრაობის ახალ მომენტს, თოკის ახალ მდგომარეობას. მეორე წრე — ფირფიტაზე გაკეთებულია გრძელი ვიწრო ჭუჭრუტანები, ამასთან, თვითეული ჭუჭრუტანა სწორედ პირველ წრე — ფირფიტაზე მოთავსებული სურათის პირდაპირ მოდის. თუ სტრობოსკოპის წრეებს ავამოძრავებთ და მბრუნავ სურათებს ჭუჭრუტანიანი წრის მხრიდან დავუწყებთ ცქერას, სრული შთაბეჭდილება შეგვექმნება, რომ ბიჭუნა მოძრაობს — იგი ხელებს იქნევს და მარჯვედ ახტება თოკს.



ყოველივე ზემონათქვამი იმის დამამტკიცებელია, რომ ადამიანი ერთ ხანს ინარჩუნებს მხედველობითს შთაბეჭდილებებს. ეს მხედველობის ორგანოებში მიმდინარე რთული პროცესებით აიხსნება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მიღებულ მხედველობითს შთაბეჭდილებას ადამიანის თვალი მიახლოებით 0,1 წამის განმავლობაში ინარჩუნებს. მაშასადამე, თუ ორ მხედველობითს შთაბეჭდილებას შორის დროის შუალედი 0,1 წამს არ აღემატება, ეს შთაბეჭდილებანი ერთიმეორეს შეერწყმიან.

ამრიგად, მხედველობის მეხსიერება გვეხმარება, რომ მოხდეს რამდენიმე უძრავი გამოსახულების შერწყმა, ხოლო ტვინი ავტომატურად ავსებს არარსებულ მოძრაობებს და გვაძლევს მოძრაობის სრულ ილუზიას.

ასე გაჩნდა და ცხოვრებაში დამკვიდრდა პირველი კინემატოგრაფიული, ან, როგორც მას ადრე უწოდებდნენ, სტრობოსკოპული ეფექტი.

მაგრამ ეს მაინც სათამაშო იყო და სხვა არაფერი. უნდა გამონახულიყო შესაძლებლობა, რომ გაცოცხლებული სურათები ფართო საზოგადოებას ენახა. მაშინ მეცნიერებმა გაიხსენეს თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი გამოგონებანი — ჯადოფარანი და ფოტოგრაფიული კამერა.



ჯადოფარნის გამოგონება ძალზე შორეულ დროს განეკუთვნება. ისტორია გვიმოწმებს, რომ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში ქურუმნი ცრუმორწმუნე ხალხის დასაშინებლად ჯადოფარნის მსგავს რაღაც ხელსაწყოს ხმარობდნენ. ამ ხელსაწყოს ისინი ტაძრის კედლებს მიაშუქებდნენ და მასზე გამოისახებოდა მხეცისებრ ღმერთთა უცნაური ფიგურები.

საპროექციო ჯადოფარნის „შთამომავალი" — ფარანი საკმაოდ მარტივი კონსტრუქციის აპარატია. ობიექტივსა და სინათლის წყაროს შორის თავსდება დიაპოზიტივი ზედ გამოსახული სურათით. სინათლის სხივები დიაპოზიტივში გაივლის და სურათს გადიდებული სახით ჩარჩოზე გადაჭიმულ თეთრი ტილოს ეკრანზე გადაისვრის.

თანამედროვე საპროექციო ფარნები ეკრანზე ასჯერ და მრავალ ათასჯერაც გადიდებულ გამოსახულებებს გვაძლევენ. მაგრამ ამ აპარატს ის ნაკლი აქვს, რომ გამოსახულება ეკრანზე უძრავი რჩება. საპროექციო კინოაპარატი კი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ეკრანზე მოძრავი გამოსახულებანი — კინოფილმები, რომლებსაც დღეს ჩვენს კინოთეატრებში უჩვენებენ.

ვნახოთ, როგორ წარმოებდა მოძრავი საგნების გადაღება. მოძრაობის გადმომცემი პირველი აპარატებისათვის, რომლებშიაც შეერთებული იყო სტრობოსკოპი და ჯადოფარანი, სურათების სერიას მხატვრები ხატავდნენ. ფოტოგრაფიის გამოგონებამ შესაძლებელი გახადა ადამიანთა, ცხოველთა და საგანთა ზუსტი გამოსახულების შექმნა ტექნიკური საშუალებებით; ამიტომ ამ გამოგონებამ მიიპყრო მათი ყურადღება, ვინც სტრობოსკოპულ ხელსაწყოთა გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა. წარსული საუკუნის 50-60-იან წლების დასაწყისიდან სერიული და მომენტალური ფოტოგრაფიის საკითხებზე მუშაობდნენ მთელი მსოფლიოს მეცნიერები და პრაქტიკოსები. ამ დროს კიდევ არ არსებობდა საკმარისად შუქმგრძნობიარე ფოტოფირფიტები, რომელიც შესაძლებელს გახდიდა მოძრავი ობიექტის მომენტალურად გადაღებას.



ე. წ. ფოტოდრომის გამოგონებისთანავე 1880 წელს პორუჩიკმა იზმაილოვმა გააკეთა საინტერესო ფოტოკამერა, რომელსაც ფოტოგრაფიული თოფი უწოდა. (სურ. 3) ამ თოფით შეიძლებოდა თანმიმდევრობით 12 გადაღების შესრულება. იზმაილოვმა პირველმა დაადგინა ქრონოფოტოგრაფიის, ე. ი. დროის გარკვეული თანატოლი შუალედებით ფოტოგრაფირების მეთოდები. შემდეგში ფირფიტა შეიცვალა ქაღალდის გრძელი ლენტით, ეს უკანასკნელი კი ცელულოიდმა შესცვალა.

ამგვარად, 90-იანი წლების დასასრულს უკვე მზად იყო ყველა ტექნიკური წინაპირობა კინემატოგრაფიის შესაქმნელად: 1) სტრობოსკოპული აპარატი, 2) სერიული ფოტოგრაფია და 3) პროექცია.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაკეთებულ იქნა თავისებური აპარატი, რომელსაც ეწოდა კინეტოგრაფი, ხოლო ცოტა უფრო გვიან — კინეტოსკოპი.

კინეტოსკოპის ლენტი აჩვენებდა მოძრავ სურათს, რომელიც იმ დროს ბავშვებისათვის კი არა, მოზრდილებისთვისაც საინტერესო იყო. კინეტოსკოპს ორი ძირითადი ნაკლი ჰქონდა: 1) სურათი 10-15 მეტრზე გრძელი ვერ იქნებოდა და 2) სურათის ნახვა მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო.

ნიჭიერმა გამომგონებელმა ი. ა. ტიმჩენკომ (1893-94 წელს) შექმნა კამერა კინოგადაღებისათვის და მოძრავ გამოსახულებათა პროექცირებისათვის; მან წამოაყენა კინოფირის წყვეტილი მოძრაობის პრინციპი გამოსახულებათა წყვეტილი ცვლისათვის, ხოლო შემდეგ პირველმა განახორციელა ერთ მთელად შეხამება კინემატოგრაფის ორი (სამიდან) ძირითადი ელემენტისა — ხტომითი მექანიზმისა და უწყვეტი მოძრაობის ეკრანზე პროექციისა (გადაცემისა) დიდი აუდიტორიის წინაშე. ი. ა. ტიმჩენკოს გამოგონებანი პრინციპულად ურღვევნი დარჩნენ დღემდე.

კამერაში ფირის მოძრაობის სისწრაფე იმ დროს იყო 16 კადრი წამში. კადრების გავლის ეს რიცხვი შენარჩუნებულია თანამედროვე კინოკამერების ყველა კონსტრუქციაში. ბევრად უფრო გვიან ხმოვანი კინოს განსაკუთრებულმა მოთხოვნამ გამოიწვია გადაღებისა და პროექციის სისწრაფის გადიდება 24 კადრამდე წამში (მუნჯი კინოსურათების გადაღება პირველ ხანებში ხდებოდა 16 კადრის რაოდენობით წამში, ხოლო ხმოვან სურათებს იღებენ 24 კადრს).

ამგვარად, პირველ კინოკამერაში გამოყენებული იყო ყველაფერი საუკეთესო, რაც მანამდე გამოგონებული და აღმოჩენილი იყო სტრობოსკოპის, ოპტიკისა და ფოტოტექნიკის დარგში. მას შემდეგ კინოკამერა მხოლოდ ტექნიკურად უმჯობესდებოდა.

ამრიგად, 1894 წლის დეკემბრის დასასრულისათვის მთავრდება კინოგადამღები კამერის კონსტრუირება და მას კინემატოგრაფს (ბერძნული სიტყვიდან Kinema — მოძრაობა, graphos — ვწერ) უწოდებენ.

კინემატოგრაფს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: ეკრანზე მოძრავი გამოსახულებანი ჩნდებოდნენ უხმოდ, უბგეროდ. ამიტომ კინემატოგრაფს მაშინ „დიდებულ მუნჯს" უწოდებდნენ. საჭირო გახდა კიდევ მრავალი წლის გულდადებული მუშაობა, რომ ამ „დიდებულ მუნჯს" ენა ამოედგა.

ბგერა კინემატოგრაფის განუყრელი ნაწილია. არსებითად, გაჩნდა თუ არა კინემატოგრაფი, მაშინვე დაიწყო საშუალებათა ძებნა იმისათვის, რომ იგი ენას, სიტყვას, ბგერას დაუფლებოდა. 80 წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც პირველად შეიქმნა ბგერის მექანიკურად ჩამწერი პრიმიტიული აპარატი ფონოგრაფის სახელწოდებით (სურ. 4). ფონოგრაფი მარტივი მოწყობილობისა იყო.

ბგერითი კინოდანადგარის სწორი მუშაობის ძირითად პირობას წარმოადგენს ეკრანზე გამოსახული კადრების სრული დამთხვევა ბგერებთან (ან როგორც ამბობენ, სინქრონულობა). მაგრამ ამის განხორციელება დიდხანს არ ხერხდებოდა. ამიტომ ასობით კინოსაქმოსნები ცდილობდნენ კუსტარული ხერხით გამოესწორებინათ ჯერ კიდევ ნორჩი კინოხელოვნების მანკი — მისი სიმუნჯე. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ — აელაპარაკებინათ, გაეხმოვანებინათ მუნჯი ეკრანი. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მათ გრამოფონი გამოიყენეს. გრამოფონს განსაკუთრებული მექანიზმით საპროექციო აპარატს უკავშირებდნენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გრამოფონთა სისტემის გასაუმჯობესებლად თვალსაჩინო მუშაობა იყო ჩატარებული, ამ სისტემამ მალე შეწყვიტა არსებობა თავისი ძირითადი ნაკლის გამო, რომ კინოსურათის გამოსახულება არ ემთხვეოდა

# ხელოვნების იშვიათი ძეგლი

ალბათ ბევრს გაუგონია მონათხრობი, რომ სოხუმის ნავსადგურის ფარგლებში, მოწმენდილი ცის დროს ზღვის ფსკერზე შეიმჩნევა ძველ შენობათა კედლები და სვეტების ღეროები, მაგრამ ეს ცნობები დღემდე არ იქნა განმტკიცებული მეცნიერული საბუთებით.

1953 წლის აგვისტოში ქალ. სოხუმში, მდ. ბესლეთის შესართავთან, ერთ-ერთი სანატორიუმის თანამშრომლებმა ზღვაში, ნაპირიდან 6-7 მეტრის მანძილზე ყურადღება მიაქციეს მოზრდილ საგანს, რომელიც შემდგომ ნაპირზეც გამოიტანეს. მაშინვე არ-



ქეოლოგებმა ალ. კალანდაძემ და მ. ტრაპშმა გაწმინდეს იგი და გამოავლინეს უძველესი საფლავის ქვა სტელა, რომელიც თავის დროზე აღმართული იქნებოდა წარჩინებული მანდილოსნის სამარხზე.

ძეგლი წარმოადგენს თეთრი მარმარილოს ფილას ზომით 154×91×12 სმ. მისი რელიეფი შედარებით სრულადაა შემორჩენილი, მხოლოდ ჩამოტეხილი აქვს მარცხენა კუთხის მოზრდილი ნაწილი და დაკარგულია დამაგვირგვინებელი, ჩვეულებრივად წარწერის შემცველი დეკორატიული ფრონტონი, რომელიც ქვედა ფილაზე ლითონის მრგვალი სამაგრებით მაგრდებოდა (მათი ღრმულები დაცულია ფილის ზედა ზოლზე).

რელიეფი ასახავს ბერძნულ საფლავის სტელებზე ფრიად გავრცელებულ გამოთხოვების კომპოზიციას. მარჯვნივ, ცხოველის ტყავით გადაკერებულ სავარძელზე ზის ქალი, თხელი ქსოვილის ქიტონში, რომლის გამჭვირვალე და ფაქიზი ნაოჭები მშვენივრად ავლენენ სხეულის ნაკვთებს. ქალი მწუხარებით დასცქერის მის კალთაზე დაყრდნობილ ბავშვს და ეხვევა მას მარჯვენა ხელით. ბავშვი ასეთივე ვედრებით შესცქერის დედას და ეხება მარცხენა უსიცოცხლოდ დაშვებულ ხელს. მათ უკან დგას ახალგაზრდა მსახური ქალი მსუბუქ ქიტონში, რომელსაც უჭირავს ყუთი მიცვალებულის ძვირფასი ნივთებით. რელიეფის განხილვა გვიკარნახებს, რომ სავარძელში მჯდომი ქალის ფეხები ეყრდნობოდა პატარა სკამს.

აღნიშნულ რელიეფში გადმოცემულია უკანასკნელი განშორების გულითადი და ღრმა მწუხარების ტრადიციული სურათი.

რელიეფის შესრულების მაღალი ოსტატობა და მისი დამახასიათებელი ნიშნები: სავარძლის ფორმა, ნაკვთების მოხდენილი პროპორციები, სახის ფაქიზი ხაზები, სხეულის გამომსახველი და სადად მოდელირებული სამოსელი, ზუსტი და მოხდენილი ნაოჭებით მიგვითითებენ საბერძნეთის დიდ მოქანდაკეთა ხელოვნების წრეზე.

როგორც ჩანს, ჩვენს წინაშეა ძველი წ. ა. მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებული, ანტიკური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუში.

უცილობელია რომ სოხუმის რელიეფი დაიკავებს საპატიო ადგილს ხელოვნების საგანძურში.

ახალი აღმოჩენა (და მასთან დაკავშირებით ზღვაში მიკვლეულ ნაგებობათა ნაშთები) მოწმობს შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროს ანტიკური ქალაქების მაღალ კულტურას. იგი აზუსტებს ძველი დიოსკურიის ადგილმდებარეობას და ამგვარად, რამდენადმე ავსებს ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის ფურცლებს.

ირ. ციციშვილი

# გოლიათი ბავშვი

ჯანმრთელობის სამინისტროს სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში მოიყვანეს მშობიარე ქალი, პროფესიით ინჟინერი. მშობიარემ დაბადა იშვიათი გოლიათი — ბიჭი 6,800 გრამი წონისა და 59 სანტ. სიგრძისა.

ეს მისი მეორე მშობიარობაა. პირველადაც მას შეეძინა ბიჭი — გოლიათი 5½კლგ. წონისა.

ჩვეულებრივად ცხრათვიანი ბავშვი 50 სანტ. სიგრძისაა და 3-3,5 კილოგრამადე იწონის. ახლად დაბადებულებს, რომელთა წონა ოთხ კილოგრამს აღემატება არანორმალურ დიდ ბავშვებად თვლიან. თუ კი წონა 5 კილოგრამზე მეტია, ასეთ ბავშვებს გოლიათებს, გიგანტებს ეძახიან. ასეთი გიგანტური ბავშვების დაბადება იშვიათი მოვლენაა. მე, პირადად, ჩემი 34 წლის პრაქტიკის განმავლობაში, არ შემხვედრია ახლად დაბადებული 5 კილოგრამზე მეტი წონისა.

გოლიათი ბავშვი ამჟამად კარგად არის და ნორმალურად იზრდება.

დოცენტი ა. ბაქრაძე


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ვ. ჩერკასოვისა

გრამოფონის ფირფიტაზე ჩაწერილ ბგერებს; ამის გარდა, კინოსურათის სიგრძე სულ უფრო იზრდებოდა, ხოლო გრამოფონის ფირფიტის ზომა უცვლელი რჩებოდა. მალე უფრო მოხერხებულად ჩათვალეს, რომ კინოსურათის თანმხლებლად გამოეყენებინათ ადამიანის ცოცხალი ხმა და მუსიკა. კინოთეატრების მფლობელნი ქირაობდნენ სპეციალურ მოლაპარაკეთ, რომელნიც, ეკრანის უკან დამალულნი, საჭირო დროს წარმოსთქვამდნენ საჭირო ფრაზებს; ამასთან, მოლაპარაკენი ცდილობდნენ რომ მათი ფრაზები კინოსურათის ამა თუ იმ გამოსახულებას დამთხვეოდა. მაგრამ, ცხადია, ეს ყოველთვის არ ხერხდებოდა. გახმოვანების პრიმიტიულ, ტლანქ და მხატვრულად ნაკლებ დამაჯერებელ საშუალებათა მოთხოვნილება თანდათანობით გაქრა, მაგრამ ბგერის მოთხოვნილება ოდნავადაც არ შესუსტებულა.

ძნელი იყო დიდმეტრაჟიანი მუნჯი კინოსურათის ყურება, როდესაც საპროექციო აპარატის ხმაურის გარდა არაფერი ისმოდა. მაშინ ბგერის უქონლობის ანაზღაურება მუსიკით სცადეს.

მუნჯი კინოსურათებისათვის მუსიკა, როგორც ჩანს, კარგი საშუალება აღმოჩნდა; ძალიან მალე იგი ყველგან მოიწონეს და აღიარეს. სულ მცირე კინოთეატრებშიც კი ეკრანის ქვეშ ისხდნენ პიანისტები და საქომპანიმენტოდ ამა თუ იმ მუსიკას ასრულებდნენ. ხოლო დიდი ქალაქების კინოთეატრებში კინოსურათების მუსიკალურ გაფორმებისათვის მცირე სიმფონიური ორკესტრიც კი ჰყავდათ. გამოცდილი დირიჟორები ცდილობდნენ შეერჩიათ კინოსურათის შინაარსისა და რიტმის შესატყვისი მუსიკა.

ამრიგად, კინო ბგერას მთლად მოკლებული არასოდეს არა ყოფილა. მაგრამ მეცნიერები და პრაქტიკოსები ყველა ქვეყანაში განაგრძობდნენ მუშაობას, რათა განეხორციელებინათ სრული სინქრონიზმი კინოფირზე გამოსახულების გვერდით ბგერის ჩაწერის საშუალებით.

მეოცე საუკუნის დასაწყისში და უფრო ადრეც ფიზიკამ აღმოაჩინა და ახსნა მთელი რიგი მოვლენები, გზადაგზა გადაწყვეტილ იქნა კინოფირზე ბგერის ჩაწერის პრობლემაც. შესაძლებელი აღმოჩნდა ბგერის ფოტოგრაფირება, მისი ჩაბეჭდვა ფირზე გამოსახულებასთან ერთად და ამ გზით სრული სინქრონიზაციის განხორციელება.

ბგერის ჩაწერის განვითარებასთან ერთად, სცადეს — ბგერა სინათლის საშუალებით ჩაეწერათ და მიაღწიეს კიდევაც ამას.

ამგვარად, ელექტრობამ ხელი შეუწყო ბგერის ჩაწერის საქმეს. მაგრამ ბგერის ჩაწერა ერთ ფირზე სურათის გამოსახულებასთან ერთად სრულყოფილი და ტექნიკურად დამაკმაყოფილებელი არ იყო.

1926 წელს მიეკუთვნება დასაწყისი საბჭოთა გამომგონებლების — შორინის, ტაგერის და ოხოტნიკოვის მუშაობისა ხმოვანი კინემატოგრაფიის სისტემების შექმნის საქმეში. ბგერათჩამწერი აპარატით—ტაგეფონით იყო ჩაწერილი პირველი საბჭოთა ხმოვანი მხატვრული სურათი „საგზური ცხოვრებაში".

ამგვარად, 1926 წელი დასაწყისია იმ მუშაობისა, რომელიც პროფესიული ხმოვანი კინოს დამკვიდრების საქმეში გაჩაღდა.

ამჟამად აღმოჩენილი და შესწავლილი დოკუმენტები და საარქივო მასალები, მათი შედარება უცხოურ დოკუმენტებთან არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ რუსეთი კინემატოგრაფის ნამდვილი სამშობლოა. პრიორიტეტი კინემატოგრაფის შექმნაში სრული უფლებით ნიჭიერ რუს მეცნიერებსა და გამომგონებლებს ეკუთვნით.

საკუთარ მშობლიურ ნიადაგზე ამოიზარდა და განვითარდა ჩვენი — საბჭოთა კინემატოგრაფია. საბჭოთა წყობილების პირობებში კინო სარგებლობს პარტიისა და მთავრობის ყოველმხრივი დახმარებით. ჩვენი კინოტექნიკა გააუმჯობესეს, გაამდიდრეს და წინ წასწიეს საბჭოთა მეცნიერებმა, ინჟინრებმა და გამომგონებლებმა, რომელთაც შექმნეს ხმოვანი, ფერადი და სტერეოსკოპული კინო. სამამულო კინოტექნიკის ყველა მონაპოვარის გამოყენების გზით ჩვენი კინოხელოვნება ყველაზე იდეური და მხატვრული, ყველაზე სრულქმნილი და ყველაზე მოწინავე გახდა მთელს მსოფლიოში.

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ., № 91. ტელ. 3-95-38

ფასი 3 მან.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IX-54 წ. გამომც. № 212 ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ნაბეჭდი ფურც. 3¹/₂ ტირაჟი—15.000 შეკვეთის № 620 უე 15381

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а" (на грузинском языке)

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



ქუთაისი. სტალინის სახელობის ქუჩა. ფოტო პ. ლუცენკოსი.

ფასი 3 მან.

36/105

ეროვნული ბიბლიოთეკა



სარწყავი არხი ტირიფონის ველზე.

ფერადი ფოტო ბ. გურავლიოვისა.